



საცნობარო
სასწავლო გეგმა

კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა და
ანგარიშვალდებულება თავდაცვის და მასთან
დაკავშირებულ უსაფრთხოების სექტორში



კარგი მმართველობა და
კეთილსინდისიერების ამაღლება
თავდაცვასა და მასთან დაკავშირებული
უსაფრთხოების სექტორში

ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების
განათლებისა და მომზადების საგანი



კარგი მმართველობა და
კეთილსინდისიერების
ამაღლება თავდაცვასა და მასთან
დაკავშირებული უსაფრთხოების
სექტორში

**„ლიდერობის უმაღლესი თვისება უეჭველად კეთილსინდისიერებაა. მის გარეშე შუბლე-
ბელია ნამდვილი წარმატების მიღწევა, სადაც არ უნდა იყო, რკინიგზელთა ბრიგადაში, სა-
ფეხბურთო მოედანზე, ჯარში, თუ ოფისში.“**

დუაიტ დ. ეიზენჰაუერი



ნატო-ში, ევროპაში მოკავშირეთა პირველი უმაღლესი სარდლის მემკვიდრეობის სუ-
ლისკვეთების გავლენით კეთილსინდისიერება ჩვენი საქმიანობის დედააზრად ვაქცი-
ეთ.

კეთილსინდისიერების ამაღლება ჩვენი მიდგომაა თავდაცვის სექტორში კორუფციის
რისკთან გასამკლავებლად და მის უარყოფით გავლენასთან თავდაცვის ბიუჯეტზე, სა-
ზოგადოებრივ ნდობაზე და ოპერატიულ ეფექტურობაზე. ჩვენ გვესმის, თუ რაოდენ
ძლიერია ურთიერთკავშირი კორუფციასა და უსაფრთხოებას შორის და, რომ კარგი
მმართველობის ნაკლებობა თავდაცვის სექტორში უსაფრთხოების გამოწვევას წარმო-
ადგენს.

ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი კეთილსინდისიერების ამაღლება ნატო-ს ცალკე
აკადემიური დისციპლინის სახით. 2012 წლიდან მოყოლებული, ჩრდილო-ატლანტი-
კური საბჭოს მიერ ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების განათლების და მისი
გეგმის მიღებისთანავე, ჩვენ ვიღვით თავდაცვით ინსტიტუტებში კეთილსინდისიე-
რების გასაძლიერებლად განათლების მეშვეობით.

კეთილსინდისიერების და კარგი მმართველობის გაძლიერება რთული ამოცანაა და აქ არ არსებობს მზა გადა-
წყვეტილებები. იგი მოითხოვს პოლიტიკური ჩართულობის, ძლიერი ხელმძღვანელობის, ხანგრძლივადიანი
ხედვის და კარგი პრაქტიკის შესაბამის ნაზავს ცვლილებების სტიმულირებისთვის და მდგრადი რეფორმების
ხელშეწყობისთვის. განათლება რეფორმების მდგრადობის და კეთილსინდისიერების კულტურის ხელშეწყო-
ბის და ასევე ახალი პოტენციალის განვითარების ვექტორია.

ამ ხედვის მისაღწევად ჩვენ შევიმუშავეთ წინამდებარე საცნობარო სასწავლო გეგმა ნატო-ს კეთილსინდისი-
ერების ამაღლების ოფისის ხელმძღვანელობით მომუშავე პროფილის ექსპერტების მრავალეროვანი სამუშაო
ჯგუფის მხარდაჭერით. იგი შეასრულეს გზამკვლევის როლს იმ ქვეყნებისთვის, ალიანსის წევრებისა და პა-
რტნიორი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ჩართულები არიან კარგი მმართველობის რეფორმების აღსრუ-
ლებაში და საკუთარი ეროვნული სასწავლო გეგმის გადახედვაში კეთილსინდისიერების ამაღლების თემატი-
კის ჩართვის მიზნით, ანდა ახალი კურსების შესამუშავებლად კეთილსინდისიერების ამაღლების ეროვნული
მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მინდა მაღლობა გამოვხატო სამუშაო ჯგუფის ყველა წევრის მიმართ, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ გზამკვლე-
ვის შემუშავებაში. რესურსები გზამკვლევის შესამუშავებლად უზრუნველყო ნატო-ს კეთილსინდისიერების
ამაღლების სატრასტო ფონდმა და აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის უწყებამ.

ნატო-ს თანამშრომლები მოუთმენლად ელიან პარტნიორებთან და ქვეყნების ხელისუფლებებთან მუშაობის გა-
გრძელებას კეთილსინდისიერების ამაღლების განათლების ხელშესაწყობად და საუკეთესო პრაქტიკის გასა-
ზიარებლად.

დოქტ. ჯონ მანზა
გენერალური მდივნის თანაშემწე ოპერაციების დარგში

წინამდებარე სასწავლო გეგმის შესახებ

არაეფექტური მმართველობის და კორუფციის, როგორც უსაფრთხოების რისკის, გავლენის გაცნობიერებით, კეთილსინდისიერების ამაღლების პრინციპების არსებულ საგანმანათლებლო მეთოდურ საქმიანობაში ასახვის მნიშვნელობის გათვალისწინებით გათვალისწინებული საცნობარო სასწავლო გეგმას, რომელიც შეასრულებს გზამკვლევის როლს ნატო-ს მოკავშირე და პარტნიორი ქვეყნების საგანმანათლებლო-მეთოდური გაძლიერების და კეთილსინდისიერების ამაღლების საქმეში. თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობა და გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და კეთილსინდისიერების გაძლიერება თავდაცვის და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების სექტორებში ნატო-ს შეუვალი მისწრაფებაა.

სასწავლო გეგმა კარგი მმართველობის და კორუფციასთან ბრძოლის ყველა შესაძლო სასწავლო მიზნის და საცნობარო მასალის სახით წარმოდგენილი ამომწურავი გზამკვლევის როლს ვერ შეასრულებს. ჩვენი მიზანია კეთილსინდისიერების ამაღლებასთან დაკავშირებული მასალის მოწოდება, რომელიც შეიძლება აისახოს არსებულ სასწავლო კურსებში და თანაც გვთავაზობს მოქნილი ფორმატის ვარიანტებს, რომელთა მორგება შესაძლებელია ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად. სასწავლო ამოცანები შემუშავდა სამოქალაქო მუშაკებისთვის და სამხედრო პერსონალის ოფიცრებისთვის განყოფილების უფროსის დონის ჩათვლით (სამხედრო აუდიტორია OF2-OF5) ცოდნის საშუალო დონით. ნატო-ს შტაბ-ბინის გაეროს 1325 რეზოლუციის ჯგუფის რჩევით შეთავაზებულ მოდულებს დაემატა გენდერის საკითხები. კეთილსინდისიერების ამაღლება მრავალწახნაგოვანი საკითხია და ინსტიტუტებს ეძლევათ რეკომენდაცია ისარგებლონ ეროვნული და საერთაშორისო ადმინისტრაციებიდან, სამოქალაქო საზოგადოებიდან და კერძო სექტორიდან მოწვეული დარგის ექსპერტების ცოდნით.

სასწავლო გეგმა იყოფა ოთხ ძირითად თავად, რომლებიც შეიცავს სასწავლო ამოცანებს, საკვლევ საკითხებს და საცნობარო მასალას. ქვემოთ გთავაზობთ აღნიშნულ ოთხ თავს:

- კორუფციის, როგორც უსაფრთხოების რისკის აღქმა და კეთილსინდისიერების ამაღლების მნიშვნელობა
- კეთილსინდისიერების ამაღლება და საჯარო ადმინისტრაცია
- კეთილსინდისიერების ამაღლება მმართველობაში და თავდაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში
- კეთილსინდისიერების ამაღლება და თავდაცვითი ჩართულობა

აღნიშნული სასწავლო გეგმა შემუშავდა ნატო-ს საერთაშორისო სამდივნოს ხელმძღვანელობით კეთილსინდისიერების ამაღლების მოკავშირე და პარტნიორი ქვეყნების დარგის ექსპერტების სამუშაო ჯგუფის მიერ. იგი ავსებს ნატო-ს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ ანალოგიურ მეთოდურ პროგრამებს. აღნიშნული გეგმა უნდა აღვიქვათ კეთილსინდისიერების ამაღლების ნატო-ს და ეროვნული სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემებში ფართოდ ასახვის პირველ ნაბიჯად. ქვეყნებს მოვუწოდებთ მოგვაწოდონ საკუთარი აზრი გეგმაზე და გაგვიზიარონ ეროვნული გამოცდილება, კონკრეტული მაგალითების ჩათვლით, რათა კიდევ უფრო შევავსოთ მოცემული გეგმა. მეტი სიმარტივისთვის მეთოდურ პროგრამას ახლავს საცნობარო დოკუმენტები.

გეგმას შეიძლება დაემატოს ახალი თავები დამატებით საჭიროებათა, ან მოთხოვნათა დადგენის შემთხვევაში.

ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პოლიტიკა

1. ნატო-ს წევრი ქვეყნები საერთო ღირებულებების მქონე უნიკალურ თანამეგობრობას წარმოადგენენ, რომელიც პიროვნების თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის ერთგულია. ისინი საერთო მიზნის გარშემო ერთიანდებიან: რაც გულისმობს იმის უზრუნველყოფას, რომ ალიანსი დარჩეს როგორც თავისუფლების, მშვიდობის, უსაფრთხოების და საზიარო ღირებულებების უმაღლესი ერთობა. დიალოგს და თანამშრომლობას პარტნიორ ერებთან, ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს დამაარსებელ დოკუმენტში ასახული პრინციპების კვალდაკვალ, შეუძლია კონკრეტული წვლილი შეიტანოს საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერებაში და იმ ღირებულებათა დაცვაში, რაზეც დგას ალიანსი.
2. მოკავშირეები კვლავ ადასტურებენ თავიანთ რწმენას, რომ გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თავდაცვითი ინსტიტუტები დემოკრატიული კონტროლის ქვეშ მნიშვნელოვანია ევრო-ატლანტიკური სივრცის სტაბილურობისთვის და არსებითია უსაფრთხოების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ისინი აგრეთვე აღიარებენ, რომ კორუფცია და არაეფექტური მმართველობა წარმოადგენს გამოწვევას უსაფრთხოებისთვის, რადგან ძირს უთხრის დემოკრატიას, კანონის უზენაესობას და ეკონომიკურ წინსვლას, აკნინებს საზოგადოების ნდობას თავდაცვითი ინსტიტუტებისადმი და უარყოფითი გავლენა აქვს ოპერატიულ ეფექტურობაზე.
3. წინამდებარე დოკუმენტში აღწერილი ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პოლიტიკა ემყარება კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის განხორციელებისას მიღებულ გამოცდილებას, რომელიც 2007 წელს დაიწყო ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს თაოსნობით. ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამა ხორციელდება ნატო-ს მიერ აღებული კურსის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს თავდაცვის და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების სექტორში კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას. კეთილსინდისიერება ქმნის კავშირს ქვევსა და პრინციპებს შორის. ინსტიტუციური თვალსაზრისით კეთილსინდისიერება პირდაპირ კავშირშია კარგ მმართველობასთან. რომელიმე ინსტიტუტის კეთილსინდისიერების გაძლიერება ნიშნავს იმ პრინციპების ინსტიტუციონალიზაციას, რომელსაც, ჩვენი სურვილის თანახმად, უნდა ემყარებოდეს ინსტიტუტი და ამასთან ერთად ამ ნორმების და ღირებულებების სოციალიზაციას აღნიშნული ინსტიტუტის კოლექტივის წევრებში.
4. ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების აქტივობების პროგრამა ღიაა ნატო-ს მოკავშირეებისთვის,

ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს, ხმელთაშუაზღვის დიალოგის, სტამბოლის თანამშრომლობის ინიციატივის, პარტნიორობისთვის მთელ მსოფლიოში და კოლუმბიისთვის. სხვა ქვეყნებიდან შემოსულ თხოვნებს ნატო იხილავს ინდივიდუალურად. ეს ხელს უწყობს კარგი პრაქტიკის განვითარებას და მონაწილე ქვეყნებს სთავაზობს მათზე მორგებულ გამოცდილებას და მხარდაჭერას, რაც თავდაცვის და უსაფრთხოების ინსტიტუტებს უფრო ქმედითს და ეფექტურს ხდის.

ზოგადი პრინციპები

5. ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პოლიტიკა ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:
 - 5.1. კეთილსინდისიერების ამაღლება ალიანსის საქმიანობის არსებითი ელემენტია. კეთილსინდისიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება ერთნაირად მნიშვნელოვანია, როგორც ნატო-სთვის, ასევე მისი მოკავშირეებისა და პარტნიორობისთვის. მოკავშირეების და პარტნიორობის ძალისხმევა მიმართულია პრინციპების მხარდაჭერაზე და ხელშეწყობაზე და კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების დანერგვაზე თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის მიმართ დაწესებული საერთაშორისო ნორმებისა და პრაქტიკის თანახმად.
 - 5.2. ქვეყნებში უნდა არსებობდეს ეფექტური და გამჭვირვალე პროცედურები კორუფციასთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკების და თავდაცვის მოთხოვნათა შესაფასებლად და, ამასთან ერთად აღნიშნული მოთხოვნების და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისი ეფექტური და ოპერატიულად თავსებადი თავდაცვითი პოტენციალის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად.
 - 5.3. კეთილსინდისიერების ამაღლება ნატო-ს მოღვაწეობის და საქმიანობის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს თავად ამ ორგანიზაციის შიგნით და აუცილებლად უნდა განვითარდეს ინსტიტუციური ადაპტაციის ფარგლებში. საერთაშორისო სამდივნო, საერთაშორისო სამხედრო შტაბი, სამხედრო სარდლობები და სააგენტოები უნდა აგრძელებდნენ თავიანთ ძალისხმევას კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გასაძლიერებლად და კარგი მმართველობის ხელშესაწყობად თავიანთ სტრუქტურებში.

უმთავრესი მიზანი

6. კეთილსინდისიერების ამაღლებას და ეფექტური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თავდაცვითი ინსტიტუტების განვითარებას, რომლებსაც შეუძლიათ რეაგირება მოახდინონ უსაფრთხოების გაუთვალისწინებელ, მათ შორის ჰიბრიდული ხასიათის გამოწვევებზე, არსებითი წვლილი შეაქვს ალიანსის მიერ საკუთარი წევრების თავისუფლების და უსაფრთხოების დაცვის მისიაში.
7. კეთილსინდისიერების ამაღლების ყოვლისმომცველი ხასიათის გათვალისწინებით და ნატო-ს, მის მოკავშირეთა და პარტნიორთა შესაბამისი პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე, აღნიშნული პოლიტიკა მიზნად ისახავს:

ნატო

7.1. ჩართოს კეთილსინდისიერების ამაღლება ნატო-ს უფრო ფართო პოლიტიკური მიზნების და ალიანსის ძირითადი ამოცანების განხორციელების კონტექსტში.

7.2. უზრუნველყოს სინქრონიზებული და სტრუქტურირებული მიდგომა, რათა კეთილსინდისიერების ამაღლება კონცეფტუალურად მყარი და ქმედითი გახადოს ნატო-ს პოლიტიკური და სამხედრო საქმიანობის ყველა მიმართულებაზე.

7.3. საკითხის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე შეთანხმებულად იმოქმედოს სხვა საერთაშორისო ოგანიზაციებთან.

მოკავშირეები და პარტნიორები

7.4. კეთილსინდისიერების ამაღლების პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული ეროვნული კურსის, დოქტრინების და სწავლების ნებაყოფლობით განვითარებასა და განახლებას.

7.5. ქვეყნების მზადყოფნის დადასტურებას ნებაყოფლობით გაიზიარონ ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის და მისი ღონისძიებების ფარგლებში ათვისებული გაკვეთილები და საუკეთესო პრაქტიკა.

7.6. ხელი შეუწყოს ადგილობრივ დონეზე თანაზიარობის განვითარებას და გააღრმავოს ინსტიტუციური და პირადი პოტენციალის ზრდა.

ძირითადი ამოცანები

8. კეთილსინდისიერების ამაღლების ელემენტები, კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ელემენტების ჩათვლით, უნდა გამოყენებულ იქნას თავდაცვითი რესურსების მართვის გასაუმჯობესებლად და პოტენციალის გასაზრდელად. აღნიშნული ელემენტები უნდა აისახოს ნატო-ს ძირითადი ამოცანების შესრულებაში.

კოლექტიური თავდაცვა

8.1. კოლექტიური თავდაცვა დამოკიდებულია თავდაცვის ქმედით და ეფექტურ ინსტიტუტებზე და უნდა დაეფუძნოს კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების პრინციპებს, თავდაცვის პოტენციალის განვითარებლად დაბანდებული სახსრების მაქსიმალური უკუგების მიღწევით და შეიარაღებული ძალების რესურსებით უფრო კარგად აღჭურვილ. აუცილებელია კეთილსინდისიერების ამაღლების კურსის კვლავ გაძლიერება ქვეყნების თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორში, რათა მიღწეულ იქნას მათი მედეგობა, განსაკუთრებით კორუფციის მიმართ.

კრიზისის მართვა

8.2. ნატო ფლობს პოლიტიკურ და სამხედრო საშუალებათა უნიკალურ და მტკიცე არსენალს კრიზისების ფართო სპექტრის სამართავად. მი-

მდინარე ოპერაციის კონტექსტში პოტენციალის ზრდის ღონისძიებები ტარდება არსებული კრიზისის მართვის რეაგირების თანადროულად. იმის გათვალისწინებით, რომ კორუფცია აკნინებს საზოგადოების ნდობას მთავრობისადმი, აზიანებს ეკონომიკის განვითარებას და მუდმივ ხასიათს სძენს კონფლიქტებს, კეთილსინდისიერების ამაღლებას შეუძლია პრევენციული როლი ითამაშოს. კეთილსინდისიერების ამაღლება გათვალისწინებულ უნდა იქნას ნატო-ს წინამძღოლობით მიმდინარე ყველა ოპერაციაში და მისიებში.

უსაფრთხოება თანამშრომლობის საფუძველზე

8.3. ნატო-სა და მის პარტნიორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებს შორის ქმნის განსაკუთრებულ სტიმულს კეთილსინდისიერების ასამაღლებლად. ნატო-ს პარტნიორობის პოლიტიკიდან გამომდინარე, ნატო და მისი პარტნიორები კვლავ აგრძელებენ ერთად მუშაობას და შეძლებისდაგვარად თანამშრომლობის გაზრდას პარტნიორობის სხვადასხვა ფორმატის ფარგლებში და ამ ფორმატებს შორის ურთიერთქმედებაში, კეთილსინდისიერების ამაღლების პრინციპების ხელშესაწყობად, ათვისებული გაკვეთილების და პრაქტიკის გასაზიარებლად.

მრავალგანზომილებიანი პერსპექტივები

9. კეთილსინდისიერების ამაღლების საკითხების გათვალისწინებას ნატოს ძირითად ამოცანებში დამატებითი წვლილი შეაქვს ქვეყნების ძალისხმევაში. კეთილსინდისიერების ამაღლების ღონისძიებები უნდა იყოს მოქნილი და ინდივიდუალურად მორგებული.

10. ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების ძალისხმევა მიმართულია კორუფციის პრევენციაზე თავდაცვის და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორში, იგი ავსებს სხვა საერთაშორისო სტრუქტურების ქმედებებს. თანამშრომლობის ორმხრივი, რეგიონული და მრავალმხრივი პროგრამების კონტექსტში კეთილსინდისიერების ამაღლების პოლიტიკა შეთანხმებული უნდა იყოს ამ ძალისხმევასთან, ხოლო სხვადასხვა ჩართულ სტრუქტურებს შორის კოორდინაცია უნდა გაძლიერდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე და ყოვლისმომცველი მიდგომის სამოქმედო გეგმის თანახმად.

11. ნატო მოწოდებულია უზრუნველყოს, რომ კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამაში მონაწილე ქვეყნების თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის ყველა სამხედრო მოსამსახურეს და სამოქალაქო თანამშრომელს ესმოდეს, თუ სად მივყავართ კორუფციის შედეგებს, ხოლო ხელმძღვანელობას ჰქონდეს შესაბამისი გათვითცნობიერება და ცოდნა კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების კორპორაციული კულტურის შესაქმნელად. ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსთან 2012 წელს შეთანხმებული ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების სასწავლო-საგანმანათლებლო გეგმა მოწოდებულია ჩართოს კეთილსინდისიერების

ასპექტები ნატოს სასწავლო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, რომლებიც იმართება მიმდინარე და მომავალ ოპერაციებთან და ინსტიტუციურ აღმშენებლობასთან დაკავშირებით ქვეყნების მიერ ამასთან დაკავშირებით განხორციელებული ინიციატივების მხარდასაჭერად. აღნიშნული გეგმა მხარს უჭერს ქვეყნების უკვე არსებულ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია ეროვნული ინდივიდუალური და ინსტიტუციური პოტენციალის განვითარების გასაძლიერებლად და ამასთან ერთად მათი შეიარაღებული ძალების ოპერატიული თავსებადობის გასაზრდელად სასწავლო-საგანმანათლებლო მომზადების გზით.

12. კეთილსინდისიერების ამალლების პოლიტიკა კვლავ აგრძელებს ნატო-ს პრიორიტეტების მხარდაჭერას გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ქალებს, მშვიდობასა და უსაფრთხოებას და ასევე მასთან დაკავშირებული სხვა რეზოლუციების აღსრულებასთან მიმართებით. ამრიგად გენდერული პერსპექტივა კვლავ იქნება ჩართული ნატო-ს კეთილსინდისიერების ამალების ინსტრუმენტებში და ღონისძიებათა პროგრამაში სასწავლო-საგანმანათლებლო მომზადების ჩათვლით.
13. ნატო-ს კეთილსინდისიერების ამალებისკენ მიმართული ძალისხმევა ეხმიანება ნატო-ს პარტნიორობის პოლიტიკას. იგი კვლავ გააგრძელებს პარტნიორობის ისეთი ინსტრუმენტების სინერგიის განვითარებას, როგორიცაა თავდაცვის დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი (PARP), სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა (DEEP) და პროფესიული განვითარების პროგრამა (PDP). ნატო-ს მუშაობა კეთილსინდისიერების ამალების მიმართულებით ასევე გააგრძელებს თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის თავდაცვითი შესაძლებლობების გაზრდის ინიციატივის (DCBI) და პარტნიორობის ოპერატიული თავსებადობის ინიციატივის" (PII) მხარდაჭერას.
14. განმახორციელებელი პარტნიორების ქსელს, რომელიც შედგება ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნებისგან ასევე შეაქვს საკუთარი წვლილი ნატო-ს კეთილსინდისიერების ამალების პროგრამაში. ქსელი გააგრძელებს საკუთარი ექსპერტული ცოდნის გაზიარებას, ღონისძიებების მასპინძლობას და კვლევისა და ანალიზის წარმოებას.
15. ნატო-მ, მისმა მოკავშირეებმა და პარტნიორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კეთილსინდისიერების ამალების პრინციპები შევიდეს სახალხო დიპლომატიის შესაბამის სტრატეგიებში და ღონისძიებებში. კომუნიკაციის საფუძვლიანი სტრატეგია დაეხმარება თავდაცვის და უსაფრთხოების მესვეურებს კარგი მმართველობის გაძლიერებაზე მიმართული რეფორმების ხელშეწყობასა და მხარდაჭერაში.
16. სამოქალაქო საზოგადოებას და მას-მედიას არსებითი წვლილი შეაქვთ კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფაში. მათ ასევე საკვანძო როლი აკისრიათ კორუფციის და რესურსების უგერგილო მართვის შესახებ ინფორმირებულობის გაუმჯობესებაში.

ჯობესებაში. ნატო-ს კეთილსინდისიერების ამალების კონტექსტში ფართოვდება კავშირები და თანამშრომლობა.

განხორციელება და შემდგომი ძალისხმევა

17. მას შემდეგ, რაც ვარშავის სამიტზე ნატო-ს წევრი ქვეყნების სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა მიერ მიღებულ იქნა ნატო-ს კეთილსინდისიერების ამალების პოლიტიკა, მოხდა მისი გამყარება სამოქმედო გეგმით. კეთილსინდისიერების ამალების სამოქმედო გეგმის შემუშავებას, განხორციელებას და მიმოხილვას გაუძღვება კეთილსინდისიერების ამალების სპეციალური ჯგუფი პოლიტიკურ საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის განყოფილების თაოსნობით, რაც ასახავს საერთაშორისო სამდივნოს და ნატო-ს სამხედრო მმართველობის ორგანოთა ერთობლივ ძალისხმევას. ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს ყოველწლიურად მოახსენებენ ნატო-ს კეთილსინდისიერების ამალების პოლიტიკის შესრულების შესახებ.

შინაარსი

I. კორუფცია როგორც უსაფრთხოების რისკი და კეთილსინდისიერების ამაღლების მნიშვნელობა

ბლოკი პირველი: რა არის კორუფცია?

მოდული 1.1.1: კორუფცია, როგორც უსაფრთხოების რისკი.....	10
მოდული 1.1.2: კორუფცია თავდაცვასა და უსაფრთხოებაში: ხელშემწყობი ფაქტორები და ზეგავლენა..	12
მოდული 1.1.3: კორუფციის რისკების კომპლექსური შეფასება	14
მოდული 1.1.4: სამართლებრივი მექანიზმები	15

ბლოკი მეორე: კეთილსინდისიერება, ეთიკა და კულტურა

მოდული 1.2.1: ეთიკა	18
მოდული 1.2.2: კეთილსინდისიერების ამაღლების კულტურული განზომილება.....	19

II. კარგი მმართველობა და საჯარო ადმინისტრაცია

ბლოკი პირველი: კარგი მმართველობის პრინციპები

მოდული 2.1.1: წარმომადგენლობა.....	23
მოდული 2.1.2: ადამიანის უფლებები.....	24
მოდული 2.1.3: გენდერი	25
მოდული 2.1.4: გამჭვირვალობა	26
მოდული 2.1.5: ანგარიშვალდებულება.....	27
მოდული 2.1.6: კონტროლი და ბალანსი	28
მოდული 2.1.7: კანონის უზენაესობა	29
მოდული 2.1.8: მიუკერძოებლობა	29
მოდული 2.1.9: სანდოობა და პროგნოზირებადობა.....	30
მოდული 2.1.10: სტრატეგიული მიდგომა კეთილსინდისიერების ამაღლებისადმი	30

ბლოკი მეორე: საჯარო ინსტიტუტების ფუნქციონირება

მოდული 2.2.1: აღმასრულებელი შტო.....	32
მოდული 2.2.2: საკანონმდებლო შტო.....	33
მოდული 2.2.3: სასამართლო შტო.....	33

ბლოკი მესამე: კონტროლი და ბალანსი

მოდული 2.3.1: სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობები.....	34
მოდული 2.3.2: საპარლამენტო ზედამხედველობა კეთილსინდისიერებაზე თავდაცვის სექტორში	35
მოდული 2.3.3: სასამართლო ზედამხედველობა კეთილსინდისიერებაზე თავდაცვის სექტორში.....	36
მოდული 2.3.4: მედია	36
მოდული 2.3.5: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.....	37
მოდული 2.3.6: -კორუფციასთან ბრძოლის სპეციალიზირებული ორგანოები (მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციები)	38

III. კეთილსინდისიერების ამაღლება მართვასა და მომარაგებაში

ბლოკი პირველი: ადამიანური რესურსების მართვა

მოდული 3.1.1: ადამიანური რესურსების სტრატეგია.....	42
მოდული 3.1.2: გადაწყვეტილებების მიღება ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით	43
მოდული 3.1.3: თანამდებობის პირთა ეთიკური ქცევა და მამხილებელთა დაცვა.....	43
მოდული 3.1.4: გენდერი	44

ბლოკი მეორე: ფინანსები და შესყიდვები

მოდული 3.2.1: თავდაცვის დაგეგმვა, ბიუჯეტირება და ფინანსების მართვა.....	45
მოდული 3.2.2: გამჭვირვალობა და კორუფციის რისკები შესყიდვებში.....	46

ბლოკი მესამე: კეთილსინდისიერების ამაღლების ფართო დანერგვა

მოდული 3.3.1: კეთილსინდისიერება გადაწყვეტილებების მიღებისას	47
მოდული 3.3.2: შიდა კონტროლი და ბალანსი	48
მოდული 3.3.3: კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამების შემუშავება და მართვა	49

IV. ოპერაციები და თავდაცვითი ჩართულობა

ბლოკი პირველი: კეთილსინდისიერების ამაღლება სამხედრო ოპერაციებისას

მოდული 4.1.1: სამხედრო ოპერაციების მსვლელობაზე გავლენის მქონე კორუფციის ტიპები და გავრცელების გზები	54
მოდული 4.1.2: კორუფციის რისკები და მისიის წარმატება.....	55
მოდული 4.1.3: კორუფციასთან ბრძოლა ნატო-ს დაგეგმვის პროცესის მეშვეობით	56
მოდული 4.1.4: სტანდარტული ოპერატიული პროცედურები: მეთოდები, პრაქტიკა და პროცესები კორუფციის რისკის შესამცირებლად სამხედრო მისიის დროს.....	56
მოდული 4.1.5: მეთოდები, პრაქტიკა და პროცესები ოპერაციებისას კორუფციის რისკის შესამცირებლად	57
მოდული 4.1.6: კორუფციის რისკები მისიის ზურგის უზრუნველყოფისას.....	58
მოდული 4.1.7: კორუფციასთან ბრძოლა კომპლექსური მიდგომის მეშვეობით.....	59
მოდული 4.1.8: ხელმძღვანელობა და გადაწყვეტილებების მიღების ეფექტური მექანიზმი.....	60
მოდული 4.1.9: მასპინძელი ქვეყნის სამხედრო, უსაფრთხოების და პოლიციის ძალების განვითარება	60
მოდული 4.1.10: სამხედრო ოპერაციებისას კორუფციასთან ბრძოლის და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შეფასება და მონიტორინგი.....	62

ბლოკი მეორე: თავდაცვითი ჩართულობა და პოტენციალის გაზრდა

მოდული 4.2.1: კორუფციის რისკები თავდაცვით ჩართულობაში, უსაფრთხოების ძალების მხარდაჭერაში, პოლიციის მიერ სტაბილურობის უზრუნველყოფაში და თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის პოტენციალის გაზრდაში	64
მოდული 4.2.2: კორუფციის გავრცელების გზების და კორუფციის რისკის შეფასება მასპინძელი ქვეყნის თავდაცვის კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესში	65
მოდული 4.2.3: კორუფციის რისკების შერბილება თავდაცვით ჩართულობაში: კეთილსინდისიერების ამაღლება, პოტენციალის გაზრდა	66
მოდული 4.2.4: კორუფციის რისკების შერბილება თავდაცვით ჩართულობაში: გარე პარტნიორებთან მუშაობა.....	67
მოდული 4.2.5: მდგრადი ზედამხედველობის სისტემის შექმნის, კორუფციასთან ბრძოლის და შიდა კონტროლის სტრუქტურების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები.....	68

1

კორუფცია როგორც
უსაფრთხოების რისკი და
კეთილსინდისიერების
ამაღლების
მნიშვნელობა

თემის აღწერილობა

მოცემული თემა აცნობს სტუდენტებს კორუფციის, როგორც უსაფრთხოების რისკის ცნებას, იმას თუ როგორ ზემოქმედებს იგი თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორებზე და აგრეთვე კავშირს კორუფციას და კონფლიქტს შორის. იგი აგრეთვე მიმოიხილავს კორუფციის რისკების შეფასების მეთოდებს, სამართლებრივ მექანიზმებს, ეთიკას და სხვადასხვა კორპორაციული კულტურის როლს კორუფციის თავიდან აცილებაში, თუ ხელშეწყობაში.

სასწავლო ამოცანები

- კორუფციის, როგორც უსაფრთხოების რისკის გააზრება და მისი ახსნა;
- კორუფციის ფენომენის გააზრება და ახსნა და იმის, თუ რა გავლენას ახდენს იგი თავდაცვისა და უსაფრთხოების ინსტიტუტებზე;
- თავდაცვის და უსაფრთხოების ინსტიტუტებში კორუფციის წყაროების და ხელშემწყობი გარემოებების დადგენა და გაანალიზება;
- თავდაცვის და უსაფრთხოების ინსტიტუტებში კორუფციის რისკების დადგენა და შეფასება;
- კორუფციის შესახებ არსებული სამართლებრივი მექანიზმების გაანალიზება საერთაშორისო ნორმების და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შუქზე;
- პიროვნებების და ორგანიზაციების იმგვარი ქცევის ახსნა, რომელიც ხელს უწყობს, ან ხელს უშლის კორუფციას და იმის გარკვევა, თუ რა გავლენას ახდენს ქცევის ჩამოყალიბებაზე ეთიკა და კულტურა, მათ შორის გენდერი.

თემების ჩამონათვალი

ბლოკი პირველი: რა არის კორუფცია?

მოდული 1.1.1: კორუფცია, როგორც უსაფრთხოების რისკი

მოდული 1.1.2: კორუფცია თავდაცვისა და უსაფრთხოებაში: ხელშემწყობი ფაქტორები და ზეგავლენა

მოდული 1.1.3: კორუფციის რისკების კომპლექსური შეფასება

მოდული 1.1.4: სამართლებრივი მექანიზმები

ბლოკი მეორე: კეთილსინდისიერება, ეთიკა და კულტურა

მოდული 1.2.1: ეთიკა

მოდული 1.2.2: კეთილსინდისიერების ამაღლების კულტურული განზომილება

ბლოკი პირველი: კორუფცია, როგორც უსაფრთხოების რისკი

ბლოკის აღწერილობა

მოცემული ბლოკის მიზანია კორუფციის ცნების და სხვადასხვა შესაძლო წყაროს მნიშვნელობის და კორუფციის ზეგავლენის განხილვა, მათ შორის, სტუდენტების დახმარება იმის გააზრებაში, რომ კორუფცია და არაეფექტური მმართველობა უსაფრთხოების გამოწვევას წარმოადგენს, რადგან ძირს უთხრის დემოკრატიას, კანონის უზენაესობასა და ეკონომიკურ განვითარებას, აკნინებს საზოგადოების ნდობას თავდაცვითი ინსტიტუტებისადმი და უარყოფითი გავლენა აქვს ოპერატიულ ეფექტურობაზე.

მიღებული აზრია, რომ თავდაცვის და უსაფრთხოების ინსტიტუტები სწრაფად და გადამწყვეტად უნდა რეაგირებდნენ კრიზისულ სიტუაციებზე და აკმაყოფილებდნენ საჩქარო და გადაუდებელ მოთხოვნებს, რაც, როგორც წესი, გულისხმობს მგრძნობიარე ინფორმაციის გადაცემასა და ოპერატიულად მოქმედების აუცილებლობას. ზოგიერთი ქმედების განხორციელებისას შეზღუდული გამჭვირვალობა, ზეწოლის ქვეშ მოქმედება საგანგებო დისკრეციულ უფლებამოსილებასთან ერთად შეიძლება ხელს უწყობდეს კორუფციას გარკვეულ გარემოებებში.

აღნიშნული ბლოკი აგრეთვე მიმოიხილავს სამართლებრივ მექანიზმებს და ასწავლის კორუფციის რისკების დადგენის და შეფასების მეთოდებს. მიზანშეწონილია, რომ ამ ბლოკის წაყვანა დაევალოს თეორიული და იურიდიული ცოდნის და თავდაცვის და უსაფრთხოების სექტორის გამოცდილების მქონე ექსპერტს. სტუდენტები უნდა გაეცნონ გაეროს, ევროსაბჭოს, ეთგოს და ეუთოს შესაბამის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს და კონვენციებს.

ბლოკის სასწავლო ამოცანები

ბლოკის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტები:

- შეძლებენ კორუფციასა და კონფლიქტს შორის არსებული კავშირის და საერთაშორისო უსაფრთხოებაზე კორუფციის გავლენის გააზრებას;
- გაეცნობიან კორუფციის გასააზრებლად აუცილებელ ცნებებს და მეთოდოლოგიებს;
- გაეცნობიან კორუფციის რისკების შესაფასებლად აუცილებელ ცნებებს და მეთოდოლოგიებს;
- გაეცნობიან კორუფციის განსაზღვრებასა და პრევენციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლებრივ მექანიზმებს, რათა შეძლონ ეროვნული და ინსტიტუციური კანონმდებლობის გაგება და გაანალიზება.

განსახილველი საკითხები

- კორუფციის რომელ საყოველთაოდ მიღებულ განსაზღვრებებს იყენებენ საერთაშორისო და ეროვნული ინსტიტუტები?
- კორუფციის რომელი თეორიული განსაზღვრებები არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში?
- რა კავშირი არსებობს კორუფციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმს შორის?
- რა კავშირი არსებობს კორუფციას, კონფლიქტსა და უკანონო საქმიანობას შორის, როგორიცაა ადა-

მიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და ვაჭრობა კონფლიქტის ზონაში მოპოვებული რესურსებით?

- რომელი მოწინავე პრაქტიკა/მეთოდები დაგვეხმარება კორუფციის გავლენის შეფასებაში და კორუფციის რისკის შემცირებაში?
- კორუფციის რა კონკრეტული ტიპები არსებობს თავდაცვის სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა შესყიდვები, ფინანსები, პირადი შემადგენლობა, სამშვიდობო ოპერაციები და ა.შ.?
- რომელ რისკ-ფაქტორებს შეუძლია ხელი შეუწყოს კორუფციის გავრცელებას თავდაცვით ინსტიტუტებში?
- როგორ შეგვიძლია კორუფციის რისკების შეფასება თავდაცვით ინსტიტუტებში?
- რა კავშირი არსებობს კორუფციასა და გენდერს შორის?
- დაგვისახელეთ საერთაშორისო სამართლის ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც ეხება კორუფციას თავდაცვაში?
- რომელი საერთო ასპექტები უწყობენ ხელს ან ზღუდავენ ეროვნული კანონმდებლობის ეფექტურობას პრაქტიკაში?
- როგორ შეიძლება ეროვნული კანონმდებლობის შეცვლა საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოებთან დასაახლოებლად?
- როგორ შეუძლიათ სხვადასხვა ქვეყნებს კორუფციასთან საბრძოლველი მექანიზმების და კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის ჩატარება?

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ექსპერტი პრაქტიკოსების მიერ ჩატარებულ ლექციებს და კონკრეტულ მაგალითებს. ამ მაგალითებში შეიძლება შედიოდეს საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების შედარება და შეპირისპირება;
- მოხდება სტუდენტების ცოდნის და მათ მიერ კორუფციის ცნებების და რისკების გააზრების შეფასება, რაც შეიძლება შეფასდეს მათ მიერ კონკრეტული მაგალითების განხილვისას.

გამოყენებული ლიტერატურა

- Alex Cobham, Corrupting Perceptions: Why Transparency International's flagship corruption index falls short, Foreign Policy, 2013. [ალექს კობჰამი, კორუმპირებული წარმოდგენები: რატომ არ გვყავს საერთაშორისო გამჭვირვალობის საფლაგმანო კორუფციის ინდექსი, Foreign Policy, 2013 წ.] <http://foreignpolicy.com/2013/07/22/corrupting-perceptions/>
- Centre for Integrity in the Defence Sector, Criteria for good governance in the defence sector International standards and principles, 2015. [თავდაცვის სფეროში კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი, თავდაცვის სფეროში კარგი მმართველობის კრიტერიუმები საერთაშორისო სტანდარტები და პრინციპები, 2015 წ.] <http://cids.no/wp-content/uploads/pdf/7215-Criteria-for-Good-Governance-in-the-Defence-Sector-k6.pdf>
- Mitchell A. Seligson, The impact of corruption on regime legitimacy: A comparative study of four Latin American countries, The Journal of Politics 64.02, 2002:408-433. [მიტჩელ ა. სელიგსონი, კორუფციის გავლენა რეჟიმის ლეგიტიმურობაზე: ლათინური ამერიკის ოთხი ქვეყნის შედარებითი კვლევა, ჟურნალი Politics 64.02, 2002: 408-433]
- Gabriella R. Montinola, Robert W. Jackman, Sources of corruption: a cross-country study, British Journal of Political Science 32.01, 2002:147-170. [გაბრიელა რ. მონტინოლა, რობერტ ჯეკმანი, კორუფციის წყაროები: ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევა, British Journal of Political Science 32.01, 2002: 147-170.]
- NATO, Building Integrity Self-Assessment Questionnaire and Peer Review Process A Diagnostic Tool for National Defence

Establishments, 2015. [ნატო, კეთილსინდისიერების თვითშეფასების კითხვარი და საექსპერტო მიმოხილვის პროცესი, ეროვნული თავდაცვის დაწესებულებების დიაგნოსტიკური ინსტრუმენტი, 2015 წ.]

http://www.nato.int/nato_static_f12014/assets/pdf/pdf_2015_03/20150309_150309-bi-saq-en.pdf

- NORAD, Contextual Choices in Fighting Corruption: Lessons Learned, 2011. [NORAD, კონტექსტური არჩევანი კორუფციასთან ბრძოლაში: გამოცდილების განზოგადება, 2011. წ.] http://evalueringsportalen.no/evaluating-contextual-choices-in-fighting-corruption-lessons-learned/Report_4_2011_web.pdf/@inline
- OECD, Consequences of Corruption at the Sector Level and Implications for Economic Growth and Development, March 2015. [ეთოგო, კორუფციის შედეგები სექტორის დონეზე და შედეგები ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის, 2015 წლის მარტი.] <http://www.oecd.org/publications/consequences-of-corruption-at-the-sector-level-and-implications-for-economic-growth-and-development-9789264230781-en.htm>
- Paul Collier, The Bottom Billion: Why the poorest countries are failing and what can be done about it, Oxford University Press, 2008. [პოლ კოლიერი, ქვედა მილიარდი: რატომ ვერ აღწევენ უღარიბესი ქვეყნები წარმატებას და რა შეიძლება გაკეთდეს ამასთან დაკავშირებით, Oxford University Press, 2008 წ.]
- Lawrence Lessig, Institutional Corruption Defined, Journal of Law, Medicine and Ethics, Vol. 41, No. 3, 2013. [ლოურენს ლესიგი, ინსტიტუციური კორუფცია, განსაზღვრება. Journal of Law, Medicine and Ethics, ტ. 41, No3, 2013 წ.]
- Staffan Andersson, Paul N. Heywood, The Politics of Perception: Use and Abuse of Transparency International's Approach to Measuring Corruption. Political Studies 57(4), 2009. [შტეფან ანდერსონი, პოლ ჰეივუდი, აღქმის პოლიტიკა: საერთაშორისო გამჭვირვალობის მიდგომით სარგებლობა და ბოროტად გამოყენება კორუფციის გაზომვაში. Political Studies 57 (4), 2009 წ.]
- Transparency International, Building integrity and reducing corruption in defence & security: 20 practical reforms", 2011. [საერთაშორისო გამჭვირვალობა, კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის შემცირება თავდაცვისა და უსაფრთხოებაში: 20 პრაქტიკული რეფორმა", 2011 წ.] https://www.dropbox.com/s/iuob15qfyc32ihj/2011-02_Handbook_IntegrityReducingCorruption.pdf
- Transparency International, Corruption Perceptions Index. [საერთაშორისო გამჭვირვალობა, მთავრობის თავდაცვის ანტიკორუფციული ინდექსი 2015 წ.] <http://www.transparency.org/research/cpi/overview>
- Transparency International, Global Corruption Barometer. [საერთაშორისო გამჭვირვალობა, კორუფციის გლობალური ბარომეტრი.] <http://www.transparency.org/research/gcb/overview>
- Transparency International, Government Defence Anticorruption Index 2015. <http://government.defenceindex.org>
- Vikas Anand, Blake E. Ashforth, and Mahendra Joshi, Business as usual: The acceptance and perpetuation of corruption in organizations, Academy of Management Executive, Vol. 18, No. 2, 2004. [ვიკას ანანდი, ბლეიკ აშფორტი და მაჰენდრა ჯოში, ბიზნესი, როგორც ყოველთვის: კორუფციის მიმდებლობა და ფეხის მოკიდება ორგანიზაციებში, Academy of Management Executive, ტ. 18, No2, 2004 წ.]
- UK Department for International Development, Why corruption matters: understanding causes, effects and how to address them. Evidence paper on corruption, January 2015. [დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი, რატომ არის კორუფცია მნიშვნელოვანი: მიზეზების, შედეგების გააზრება და მათი გადაჭრის გზები. კორუფციის შესახებ მტკიცებულებების დოკუმენტი, 2015 წლის იანვარი.]
- U4 Anti-Corruption Resource Centre, International Good Practice in Anti-Corruption Legislation'. U4 Expert Answer. [U4 ანტიკორუფციული რესურსცენტრი, საერთაშორისო კარგი პრაქტიკა ანტიკორუფციულ კანონმდებლობაში". U4 ექსპერტის პასუხი.] <http://www.u4.no/publications/international-good-practice-in-anti-corruption-legislation/>
- World Bank, World Development Report, Conflict, Security and Development, 2011. [მსოფლიო ბანკი, მსოფლიოს განვითარების ანგარიში, კონფლიქტები, უსაფრთხოება და განვითარება, 2011 წ.]
- http://siteresources.worldbank.org/INTWDRS/Resources/WDR2011_Full_Text.pdf

მოდული 1.1.1: კორუფცია, როგორც უსაფრთხოების რისკი

მოდულის აღწერილობა

წინამდებარე მოდული გვაცნობს კორუფციის ზოგად თეორიულ განსაზღვრებებს და ცნებებს, უსაფრთხოების სექტორზე ყურადღების გამახვილებით. მოდული აღწერს კორუფციის პოტენციურ მამოძრავებელ ფაქტორებს და კორუფციას და კონფლიქტს შორის დამოკიდებულებას.

მოდულის სასწავლო ამოცანები

მოდულის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტებს შეეძლებათ:

- “კორუფციის” და “კარგი მმართველობის”, როგორც ტერმინების განსაზღვრებათა შედარება;
- კორუფციის მამოძრავებელი და ხელშემწყობი ფაქტორების დადგენა თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში;
- კორუფციის მშვიდობის მშენებლობაზე გავლენის გააზრება;
- იმის გააზრება, თუ როგორ გამოიყენება კორუფციული საქმიანობა კონფლიქტის დასაფინანსებლად;
- “სახელმწიფოს მიტაცების” ცნების გააზრება და მისი მაგალითების ანალიზი;
- იმის გააზრება, თუ როგორ კვებავენ ერთმანეთს (ურთიერთდამოკიდებულნი არიან) კორუფცია და კონფლიქტი და იმის, თუ როგორ უკავშირდება ეს საკითხები უსაფრთხოების და თავდაცვითი ინსტიტუტების როლს.

განსახილველი საკითხები

- დაგვისახელეთ კორუფციისა და კარგი მმართველობის სხვადასხვა განსაზღვრება?
- რა შედეგები მოჰყვება კორუფციას თავდაცვაში, თავდაცვისუნარიანობის, საბრძოლო ეფექტურობის და თავდაცვის სტრუქტურების წარმადობის თვალსაზრისით?
- დაგვისახელეთ კორუფციის მამოძრავებელი და ხელშემწყობი ფაქტორები თავდაცვის და უსაფრთხოების ინსტიტუტებში?
- რა კავშირი არსებობს თავდაცვასა და უსაფრთხოებაში კორუფციულ პრაქტიკასა და მმართველობის ინსტიტუტებს შორის?
- რა პირობები აჩენს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრუქტურების მიდრეკილებას კორუფციისადმი? რა კავშირი არსებობს კორუფციასა და კონფლიქტს შორის?

სასწავლო მეთოდოლოგია

- ლექცია;
- კონკრეტული მაგალითების ჯგუფური განხილვა;
- სტუდენტების შეფასება მოხდება დისკუსიის და კონკრეტული მაგალითების ანალიზისას მათი აქტიურობიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა

- Alina Mungiu-Pippidi, How Societies Develop Control of Corruption, Cambridge University Press, 2015. [ალი-

ნა მუნგიუ-პიპიდი, კარგი მმართველობის ძიებაში: როგორ გამოიმუშავენ საზოგადოებები კორუფციის კონტროლს, Cambridge University Press, 2015 წ.]

- Alix J. Boucher, Mapping and Fighting Corruption in War-torn States, Henry L. Stimson Centre, 2007. [ალიქს ჯ. ბუშერი, კორუფციის აღნიშვნა და მასთან ბრძოლა ომით გაყოფილ საზოგადოებებში. Henry L. Stimson Centre, 2007 წ.]
- Cheyanne Church, Thought Piece: Peacebuilding and Corruption: How many they collide?, The Nexus: Corruption, Conflict and Peacebuilding Colloquium, The Fletcher School, 2007. [შეიან ჩერჩი, ნააზრევი: მშვიდობის მშენებლობა და კორუფცია: რამდენის ერთმანეთზე დაჯახება შეიძლება გამოიწვიონ მათ?, კავშირი: კორუფცია, კონფლიქტი და მშვიდობის მშენებლობის კოლოკვიუმი, The Fletcher School, 2007 წ.]
- Daniel Jordan Smith, A Culture of Corruption: Everyday Deception and Popular Discontent in Nigeria, Princeton University Press, 2007. [დენიელ ჯორდან სმიტი, კორუფციის კულტურა: ყოველდღიური მოტყუება და მისახლეობის უკმაყოფილება ნიგერიაში, Princeton University Press, 2007 წ.]
- Emil Bolongaita, Controlling Corruption in Post-conflict Countries, Joan B. Kroc Institute for International Peace Studies, 2005. [ემილ ბოლონგაიტა, კორუფციის გაკონტროლება პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში, Joan B. Kroc Institute for International Peace Studies, 2005 წ.]
- Institute for Economics and Peace, Peace and Corruption: Lowering Corruption, a Transformative Factor for Peace, 2015. [ეკონომიკის და მშვიდობის ინსტიტუტი, მშვიდობა და კორუფცია: კორუფციის შემცირება, გარდაქმნის ფაქტორი მშვიდობის საკეთილდღეოდ, 2015 წ.]
- Jessica C. Teets, Erica Chenoweth, To bribe or to bomb; do corruption and terrorism go together?, in Robert I. Rotberg, Corruption, Global Security and World Order, Brookings Institution Press, 2009. [ჯესიკა ც. ტეტსი, ერიკა ჩენოვეტი, მოვქრთამოთ, თუ დავბომბოთ; რამდენად თავსებადია კორუფცია და ტერორიზმი?, რობერტ. ი. როტბერგის კრებულში, კორუფცია, გლობალური უსაფრთხოება და მსოფლიო წესრიგი, Brookings Institution Press, 2009 წ.]
- Kimberly Thachuk, Corruption and International Security, SAIS Review, Vol. 25, no. 1, 2005. [კიმბერლი ტაჩუკი, კორუფცია და საერთაშორისო უსაფრთხოება, SAIS Review, ტომი 25, no. 1, 2005 წ.]
- Louise I. Shelley, Dirty Entanglements: Corruption, Crime and Terrorism, Cambridge University Press, 2015. [ლუიზა ი. შელი, ბინძური პერიპეტეიები: კორუფცია, დანაშაული და ტერორიზმი, Cambridge University Press, 2015 წ.]
- Louise I. Shelly, The Unholy Trinity: Transnational Crime, Corruption and Terrorism, Brown Journal of World Affairs, no. 2, 2005:101-111. [ლუიზა ი. შელი, უწმინდური სამეზობა: ტრანსნაციონალური დანაშაული, კორუფცია და ტერორიზმი, Brown Journal of World Affairs, no. 2, 2005 წ.:101-111.]
- Phil Williams, Criminals, Militias and Insurgents: Organized Crime in Iraq, US Army Strategic Studies Institute, 2009. [ფილ უილიამსი, კრიმინალები, ბოევნიკები და მეამბოხეები: ორგანიზებული დანაშაული ერაყში, US Army Strategic Studies Institute, 2009 წ.] <http://www.strategicstudiesinstitute.army.mil/pubs/display.cfm?pubid=930>
- Philippe Le Billon, Corruption Peace? Peacebuilding and Post- conflict Corruption, International Peacekeeping, no. 3, 2008:344- 361. [ფილიპ ლე ბილონი, კორუფციული მშვიდობა? მშვიდობის მშენებლობა და პოსტ-კონფლიქტის კორუფცია, International Peacekeeping, no. 3, 2008:344- 361.]

- Robert I. Rotberg, How Corruption Compromises World Peace and Stability in Robert I. Rotberg, Corruption, Global Security and World Order, Brookings Institution Press, 2009. [რობერტ ი. როტბერგი, როგორ უთხრის კორუფცია ძირს მშვიდობას და სტაბილურობას მსოფლიოში, კრებული რობერტ ი. როტბერგის რედაქციით, კორუფცია, გლობალური უსაფრთხოება და მსოფლიო წესრიგი, Brookings Institution Press, 2009 წ.]
- Sarah Chayes and the Working Group on International Security. Corruption: The Unrecognized Threat to International Security. Carnegie Endowment for International Peace. Washington D.C., June 2014. [სარა ჩეისი და საერთაშორისო უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფი. კორუფცია: საერთაშორისო უსაფრთხოების შეუცნობელი საფრთხე. Carnegie Endowment for International Peace. Washington D.C., 2014 წლის ივნისი]. http://carnegieendowment.org/files/corruption_and_security.pdf.
- Sarah Chayes and the Fragility Study Group, Corruption and State Fragility, Policy Brief No. 1, 2016. [სარა ჩეისი და ქვეყნების არამდგრადობის შემსწავლელი ჯგუფი, კორუფცია და ქვეყნების არამდგრადობა, Policy Brief No. 1, 2016 წ.]
- Sarah Chayes, Thieves of State. Why Corruption threatens Global Security. New York: W.W. Norton and Company, 2015. [სარა ჩეისი, სახელმწიფოს ქურდები. რატომ ემუქრება კორუფცია გლობალურ უსაფრთხოებას. New York: W.W. Norton and Company, 2015 წ.]
- Susan Rose-Ackerman, Corruption and Government, International Peacekeeping, no. 3, 2008:328-343 [სიუზენ როუზ-აკერმანი, კორუფცია და მთავრობა, International Peacekeeping, no. 3, 2008:328-343]
- UK Department for International Development, Why corruption matters: understanding causes, effects and how to address them. Evidence paper on corruption, 2015. [გერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი, რატომაც მნიშვნელოვანი კორუფცია: გარკვევა მიზეზებში, შედეგებში და როგორ ვებრძოლოთ მათ. დოკუმენტი კორუფციის ფაქტებზე, 2015 წ.]
- UNESCAP, What is good governance? 2013. 2013www.unescap.org/sites/default/files/good-governance.pdf [UNESCAP, რა არის კარგი მმართველობა?]
- Victoria K. Holt and Alix J. Boucher, Framing the issue: UN Responses to corruption and Criminal Networks in post-conflict settings, International Peacekeeping, no. 3, 2008:20-32. [ვიქტორია კ. ჰოლტი და ალიქს ჯ. ბუშერი, საკითხის ფორმულირება: გაეროს პასუხი კორუფცია-სა და დანაშაულებრივ ქსელებზე პოსტ-კონფლიქტის გარემოში, International Peacekeeping, no. 3, 2008:20-32.]
- Walter A. Kemp, The Business of Ethnic Conflict, Security Dialogue 35, 2004:43-59. [უოლტერ ა. კემპი, ეთნიკური კონფლიქტის ბიზნესი, Security Dialogue 35, 2004:43-59.]
- World Bank, World Development Report 2011. Conflict, Security and Development. http://siteresources.worldbank.org/INTWDRS/Resources/WDR2011_Full_Text.pdf. [მსოფლიო ბანკი, მსოფლიოს განვითარების ანგარიში 2011 წ. კონფლიქტი, უსაფრთხოება და განვითარება.]

მოდული 1.1.2: კორუფცია თავდაცვასა და უსაფრთხოებაში: ხელშემწყობი ფაქტორები და ზეგავლენა

მოდულის აღწერილობა

წინამდებარე მოდული აგრძელებს კორუფციის და მისი გავლენის კვლევას თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე. მოდული აღწერს კორუფციის პოტენციურ მამოძრავებელ ფაქტორებს და იმ ფაქტორებს,

რომლებიც შესაძლებელს ხდიან კორუფციულ ქცევას, იკვლევს სხვადასხვა ქვეყნის და კულტურის მაგალითს. შემდგომში მოდული იხილავს კორუფციის გავლენის მოსალოდნელ შედეგებს თავდაცვითი ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე, ისევე როგორც მის უფრო ფართო გაგებით გავლენას ამ ინსტიტუტების ლეგიტიმურობაზე და ეროვნულ ანტი-კორუფციულ ვითარებაზე.

მოდულის სასწავლო ამოცანები

მოდულის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტებს შეეძლებათ:

- განიხილონ თავდაცვის და უსაფრთხოების ინსტიტუტების სპეციფიკური როლი გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და კეთილსინდისიერების ხელშეწყობაში;
- გაიაზრონ კორუფციის გავლენის შედეგები თავდაცვისუნარიანობაზე, მზადყოფნაზე და შეიარაღებული ძალების და უსაფრთხოების სტრუქტურების პირადი შემადგენლობის მორალურ სულისკვეთებაზე;
- გაიაზრონ, თუ როგორ აკნინებს კორუფცია თავდაცვის და უსაფრთხოების ინსტიტუტების ლეგიტიმურობას და მათ მიმართ საზოგადოების ნდობას.

განსახილველი საკითხები

- რა გავლენა აქვს კორუფციას პიროვნებაზე, ინსტიტუტზე, მოსახლეობაზე და სახელმწიფოზე?
- როგორ მოქმედებს კორუფცია ჯარის საბრძოლო სულისკვეთებაზე და შემდგომში მათ მიერ საბრძოლო ამოცანების შესრულებაზე?
- რა გავლენას ახდენს კორუფცია საზოგადოების ნდობაზე შეიარაღებული ძალებისადმი და რა შედეგები მოჰყვება ამას?
- რა კავშირი არსებობს თავდაცვასა და უსაფრთხოებაში კორუფციულ პრაქტიკას და მმართველობის სტრუქტურებს შორის?
- როგორ ზრდის კორუფციის რისკებს მოქმედების თავისუფლება და კონკურენციის, ზედამხედველობის, გამჭვირვალობის და შედეგებისთვის ანგარიშვალდებულების არ არსებობა?
- როგორ იცვლება კორუფციის რისკები და შედეგები გენდერიდან გამომდინარე?
- როგორ უწყობს ხელს კორუფციას გასაიდუმლოება, საჩქაროობა და ადგილობრივი მრეწველობის ხელშეწყობის სურვილი?
- რა წვლილი შეაქვს უსაფრთხოების და თავდაცვის სტრუქტურებში კორუფციის გავრცელებაში სამოქალაქო და სამხედრო კადრებში პროფესიული ჩვევების ნაკლებობას მმართველობის, ისტორიული გამოცდილების და უსაფრთხოების გარემოს სფეროში?

სასწავლო მეთოდოლოგია

- ლექცია;
- კონკრეტული მაგალითების ჯგუფური განხილვა;
- სტუდენტების შეფასება მოხდება დისკუსიის და კონკრეტული მაგალითების ანალიზისას მათი აქტიურობიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა

- Eurasia Daily Monitor, Black Holes, Vanishing Roubles and Corruption in the Russian Military, Eurasia Daily Monitor, Issue 7, 2010. [Eurasia Daily Monitor, შავი ხვრელები, გამქრალი რუბლები და კორუფცია რუსეთის ჯარში, Eurasia Daily Monitor, ნომერი 7, 2010 წ.]
- http://www.jamestown.org/programs/edm/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=37150
- Joel S. Hellman, Geraint Jones and Daniel Kaufmann, Seize the State, Seize the Day: State Capture, Corruption, and Influence in Transition, Policy Research Working Papers, World Bank, 2000. [ჯოელ ს. ჰელმანი, ჯერენტ ჯონსონი და დანიელ კაუფმანი, მიიტაცე სახელმწიფო, დაიჭირე მომენტი: სახელმწიფოს მიტაცება, კორუფცია, და გავლენა გარდამავალ პერიოდში, Policy Research Working Papers, World Bank, 2000 წ.] <http://dx.doi.org/10.1596/1813-9450-2444>.
- Mark Sedra, Towards Second Generation Security Sector Reform in Mark Sedra, The Future of Security Sector Reform, The Centre for International Governance Innovation, 2010:102-116. [მარკ სედრა, უსაფრთხოების სექტორის მეორე თაობის რეფორმისკენ, კრებული მარკ სედრას რედაქციით, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მომავალი, ინოვაციური გადაწყვეტილებების ცენტრი საერთაშორისო მმართველობის სფეროში, 2010:102-116.] https://www.cigionline.org/sites/default/files/the_future_of_security_sector_reform.pdf
- Nathaniel Heller, Defining and Measuring Corruption: Where Have we Come From, Where Are We Now, and What Matters for the Future in Robert I. Rotberg, Corruption, Global Security and World Order, Brookings Institution Press, 2009. [ნათანიელ ჰელერი, კორუფციის განსაზღვრება და გაზომვა: საიდან მოვედით, ახლა სად ვართ და რა არის მნიშვნელოვანი სამომავლოდ? კრებულში რობერტ როტბერგის რედაქციით, კორუფცია, გლობალური უსაფრთხოება და მსოფლიო წესრიგი, Brookings Institution Press, 2009 წ.]
- Richard Kleinfeld and the Fragility Study Group, Fragility and Security Sector Reform, 2016. [რიჩარდ კლეინფილდი და ქვეყნების არამდგრადობის შემსწავლელი ჯგუფი, კორუფცია და ქვეყნების არამდგრადობა, Policy Brief No. 1, 2016 წ.]
- Todor Tagarev, The Corruption Curse in Building Integrity and Reducing Corruption in Todor Tagarev, Defence: A Compendium of Best Practices, Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces, 2010:3-12. [ტოდორ ტაგარევი, კორუფციის წყველა კეთილსინდისიერების ამალგებისას და კორუფციის შემცირებისას, კრებულში ტოდორ ტაგარევის რედაქციით, თავდაცვა: საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების ცნობარი, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, 2010:3-12.]
- <http://defenceintegrity.eu/en/publication/corruption-curse>.
- World Bank, World Development Report 2011, Conflict, Security and Development. [მსოფლიო ბანკი, მსოფლიოს განვითარების ანგარიში, კონფლიქტები, უსაფრთხოება და განვითარება, 2011 წ.] http://siteresources.worldbank.org/INTWDRS/Resources/WDR2011_Full_Text.pdf

მოდული 1.1.3: კორუფციის რისკების კომპლექსური შეფასება

მოდულის აღწერილობა

კორუფციული ქმედებების აღბათობა და მათი გავლენა განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში და უსაფრთხოების სექტორის სტრუქტურებში და დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდის. შედეგად, ყველა ორგანიზაცია თავისებურად განმარტავს კორუფციულ გამოწვევებს და შესაბამისად ახდენს კორუფციასთან ბრძოლის საკუთარი ქმედებების პრიორეტიზაციას. უახლესი პროცესები ამ სფეროში გვიჩვენებს, რომ მიზანმიმართული მიდგომა კორუფციის გამოწვევებთან საბრძოლველად ასევე გულისხმობს რისკების შერბილების მექანიზმებსაც, რომლის ფარგლებშიც კეთილსინდისიერების ამაღლების ძირითადი ზომები მომართულია კორუფციის მთავარი რისკების კომპლექსურ შემცირებაზე. ამგვარი რისკების შერბილების მექანიზმების აღსრულების წინაპირობა თითოეული ორგანიზაციისთვის მდგომარეობს კორუფციის რისკების გამოწვლილვით მიმოხილვაში და ყოვლისმომცველ განსაზღვრაში.

აღნიშნული მოდული გვიჩვენებს რისკების რუკის განსაზღვრის მეთოდებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურებში, რაც იძლევა ორგანიზაციის შეზღუდული რესურსების ეფექტური განაწილების, საერთაშორისო დახმარების მიზანმიმართული ხასიათის მიღწევის და ადგილობრივი მონაწილეების მიერ პროექტის გათავისების შესაძლებლობას. მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამების პროგრესის შესაფასებელი ღონისძიებების განსაზღვრას და შერჩევას.

მოდულის სასწავლო ამოცანები

მოდულის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტებს შეეძლება:

- გაერკვნენ, თუ რა ადგილი უჭირავს რისკების რუკის შედგენას კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამების შემუშავებისას;
- გამოიყენონ რისკების კარტოგრაფიის მოწინავე მეთოდები და ხერხები;
- გაიაზრონ კორუფციის აღქმის და რისკების შეფასების მიდგომების ძლიერი და სუსტი მხარეები;
- გაიაზრონ შეჯერებითი ანალიზის სარგებლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორებში კორუფციის რისკების შეფასებისას;
- ჯეროვნად შეაფასონ რისკების კარტოგრაფიის მონაცემთა და კონკრეტულად თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურებში კორუფციის არსებობის მონაცემების და მტკიცებულებების სისტემატური შეგროვების და გაზიარების საჭიროება

განსახილველი საკითხები

- რისკების მართვის რა მექანიზმები არსებობს რესურსების განაწილებაზე გადაწყვეტილებების მიღებისას?

- კორუფციის რისკების კარტოგრაფიის რა მიდგომები და მეთოდები არსებობს?
- როგორ გავზომოთ კორუფციის ალბათობა და ზეგავლენა?
- რა შეზღუდვები ახლავს რისკების მართვის მექანიზმებს და შერბილების სტრატეგიებს?
- რომელია რისკების შეფასების და რისკების მართვის საუკეთესო პრაქტიკა მოცემულ სფეროში?

სასწავლო მეთოდოლოგია

- ლექცია;
- კორუფციის რისკების კარტოგრაფიის სავარჯიშო (მაგ. რისკების რუკის შედგენა შერჩეულ ფუნქციურ სფეროში);
- სტუდენტების შეფასება მოხდება დისკუსიის და რისკების კარტოგრაფიის შედეგების წარდგენისას მათი აქტიურობიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა

- Alex Cobham, Corrupting Perceptions: Why Transparency International's flagship corruption index falls short, Foreign Policy, 22 July 2013. [ალექს კობჰემი, კორუმპირებული წარმოდგენები: რატომ არ გვყოფნის საერთაშორისო გამჭვირვალობის საფლავმანო კორუფციის ინდექსი, Foreign Policy, 2013 წ.]
- <http://foreignpolicy.com/2013/07/22/corrupting-perceptions/>
- Exercise materials from the DCAF/SEDM BI capacity building series [სასწავლო მასალები სერიიდან „კეთილსინდისიერების ამაღლების პოტენციის შექმნა შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ქვენების ცენტრის და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის თავდაცვის მინისტრიალის ეგიდით.“]
- ISO 31000 - Risk management. [ISO 31000 - რისკების მართვა.]
- ISO 31000:2009, Risk management – Principles and guidelines. [ISO 31000:2009, რისკების მართვა – პრინციპები და გაიდლაინები.]
- ISO/IEC 31010, Risk management – Risk assessment techniques. [ISO/IEC 31010, რისკების მართვა – რისკის შეფასების ხერხები.]
- John Flaherty, Role of Internal Auditors in the Anti-Corruption Battle, The 8th International Anti-Corruption Conference. [ჯონ ფლაჰერტი, შიდა აუდიტორების როლი კორუფციასთან ბრძოლაში, კორუფციასთან ბრძოლისადმი მიძღვნილი 8-ე საერთაშორისო კონფერენცია.] <http://www.8iacc.org/papers/jflaherty.html>
- NATO, Building Integrity Self-Assessment Questionnaire and Peer Review Process A Diagnostic Tool for National Defence Establishments, 2015. [ნატო, კეთილსინდისიერების ამაღლების თვითშეფასების კითხვარი და საექსპერტო შეფასების პროცესი. დიაგნოსტიკური ინსტრუმენტი ეროვნული თავდაცვითი ინსტიტუტებისათვის, 2015 წ.] http://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2015_03/20150309_150309-bi-saq-en.pdf

- Staffan Andersson and Paul N. Heywood, The Politics of Perception: Use and Abuse of Transparency International's Approach to Measuring Corruption, Political Studies 57(4), December 2009. [შტევან ანდერსონი, პოლ ჰეიუუდი, აღქმის პოლიტიკა: საერთაშორისო გამჭვირვალობის მიდგომით სარგებლობა და ბოროტად გამოყენება კორუფციის გაზომვაში. Political Studies 57 (4), 2009 წ.]
- Transparency International, Government Defence Anticorruption Index, 2015. <http://government.defenceindex.org> [საერთაშორისო გამჭვირვალობა, სახელმწიფო თავდაცვის ანტიკორუფციული ინდექსი, 2015 წ.] <http://government.defenceindex.org>

მოდული 1.1.4: სამართლებრივი მექანიზმები

მოდულის აღწერილობა

კორუფცია საყოველთაოდაა აღიარებული როგორც კანონდარღვევა, თუმცა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობაში კორუფციის ერთმანეთისგან ბევრად განსხვავებულ განსაზღვრებებს იყენებენ, როგორც შინაარსით, ასევე კორუფციასთან ბრძოლის მასშტაბებით და ზომებით. მოცემული მოდული იკვლევს სხვადასხვა მიდგომის ძლიერ და სუსტ მხარეებს კორუფციასთან ბრძოლის ეფექტური სამართლებრივი გარემოს შესაქმნელად. მოდული ასევე გვაცნობს კორუფციასთან ბრძოლის შესახებ არსებულ საერთაშორისო კანონმდებლობას, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორუფციის წინააღმდეგ კონვენციას (UNCAC) და ევროსაბჭოს კონვენციებს და ასევე სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ანტი-კორუფციული რეგულაციების ნიმუშებს. სტუდენტებს საშუალება ექნებათ შეადარონ ეროვნული ნორმები საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებთან და დაადგინონ ხარვეზები და აღსრულების გამოწვევები.

მოდულის სასწავლო ამოცანები

მოდულის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტებს შეეძლებათ:

- გაერკვნენ თავიანთ ორგანიზაციაში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის აღსრულების მოთხოვნებში;
- იმსჯელონ „კეთილსინდისიერების“ სამართლებრივი განმარტების არგუმენტაციაზე;
- აღწერონ და ახსნან კორუფციის სამართლებრივი განმარტები;
- შეადარონ სხვადასხვა ქვეყნის კორუფციის-საწინააღმდეგო ეროვნული საკანონმდებლო მექანიზმების ძლიერი და სუსტი მხარეები კორუფციის შემცირების მიმართებით;
- გაანალიზონ საგამოძიებო და აღმასრულებელი უფლებამოსილების მქონე ორგანოების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები;
- გაანალიზონ შესაბამისი ფუნქციური კანონმდებლობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა შესყიდვები, სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეთა ქცევის წესები, ფინანსების მართვა, ან რესურსების გამოყენება;

- გაიაზრონ ქცევის კოდექსების მნიშვნელობა და სარგებელი;
- გაერკვნენ კორუფციის საწინააღმდეგო საერთაშორისო ნორმების აღსრულების მოთხოვნებსა და მიდგომებში, გაეროს კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ კონვენციაზე (UNCAC) ყურადღების გამახვილებით;
- გაეცნონ სხვა რელევანტურ საერთაშორისო/რეგიონულ კანონმდებლობას, როგორიცაა ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული, ქონების ჩამორთმევის და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ნორმები;
- გაეცნონ საერთაშორისო სპეციალიზირებულ ორგანოებს, როგორიცაა ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (FATF).

განსახილველი საკითხები

- რომელია კორუფციის ძირითადი სამართლებრივი განსაზღვრებები და მათი მთავარი ელემენტები?
- რა ხარვეზები ახასიათებს ამ განსაზღვრებებს?
- როგორ შევავსოთ კორუფციის წინააღმდეგ მიმართული პრევენციული და სადამსჯელო ზომები?
- რამდენად განსხვავებულია და რამდენად ავსებს ერთმანეთს სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის ნორმები კორუფციასთან დაკავშირებით?
- რა სპეციალური საგამოძიებო ხერხები გამოიყენება კორუფციის ფაქტების დადგენისას და გამოძიებისას?
- რა განსხვავებაა კორუფციის შედეგად მოპოვებული აქტივების „გაყინვას“, „ჩამორთმევას“, და „კონფისკაციას“ შორის?
- საკმარისია თუ არა არსებული სამართლებრივი ზომები მოწმეთა, ექსპერტთა, დაზარალებულთა და განმცხადებელთა/მამხილებელთა ეფექტურად დასაცავად?
- საჭიროა, თუ არა საგანგებო უფლებამოსილების მინიჭება კორუმპირებული თანამდებობის პირების და შუამავლების საქმეთა გამოძიებისა და გასამართლებისთვის?
- კორუფციის რა ფორმები გვხვდება საჯარო სექტორის მიღმა და რა გავლენა აქვთ მათ თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე?

სასწავლო მეთოდოლოგია

- ლექცია;
- კონკრეტული მაგალითების ჯგუფური განხილვა;
- სტუდენტების შეფასება მოხდება დისკუსიის და კონკრეტული მაგალითების ანალიზისას მათი აქტიურობიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა

- Corruption Laws: A non-lawyers' guide to laws and offences in the UK relating to corrupt behaviour, Transparency International-UK, 2016. [კორუფციის შესახებ კანონმდებლობა: კანონების და სამართალდარღვევების გზამკვლევი არა-იუ-

რისტებისთვის გაერთიანებულ სამეფოში, კორუმპირებულ ქვეყასთან დაკავშირებით, საერთაშორისო გამჭვირვალობა-დიდი ბრიტანეთი, 2016 წ.]

<http://www.transparency.org.uk/publications/corruption-laws-a-non-lawyers-guide-to-laws-and-offences-in-the-uk-relating-to-corrupt-behaviour/>

- Council of Europe Conventions. [ევროსაბჭოს კონვენციები.]
- Criminal Law Convention on Corruption (ETS No. 173). [სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციის შესახებ (ETS No. 173).]
- Civil Law Convention on Corruption (ETS No. 174). [სამოქალაქო სამართლის კონვენცია კორუფციის შესახებ (ETS No. 174)]
- Additional Protocol to the Criminal Law Convention on Corruption (ETS No. 191). [კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციის დამატებითი ოქმი]
- Recommendation of the GRECO Council of Ministers (No. R (2000) 10) on codes of conduct for public officials, including a Model code of conduct for public officials. [კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის GRECO-ს რეკომენდაცია მინისტრთა საბჭოსადმი (No. R (2000) 10) საჯარო მოხელეთა ქცევის კოდექსების შესახებ, საჯარო თანამდებობის პირთათვის სანიმუშო ქცევის კოდექსის ჩათვლით.]
- Model code of conduct for public officials. [ქცევის სანიმუშო კოდექსი საჯარო თანამდებობის პირთათვის]
- Francisco Cardona, Tackling conflicts of interest in the public sector, Guides to Good Governance. no 2, Centre for Integrity in the Defence Sector, 2015. [ფრანცისკო კარდონა, ინტერესთა კონფლიქტების მოგვარება საჯარო სექტორში, კარგი მმართველობის გზამკვლევი. no 2, თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი, 2015 წ.] <http://cids.no/wp-content/uploads/>

[pdf/cids/7250-DSS-Tackling-conflicts-Skjerm.pdf](http://cids.no/wp-content/uploads/pdf/cids/7250-DSS-Tackling-conflicts-Skjerm.pdf)

- OECD Convention, Combating Bribery of Foreign Public Officials in International. [ეთგოს კონვენცია, უცხოელ საჯარო მოხელეთა მექრთამეობასთან ბრძოლა საერთაშორისო ბიზნეს გარიგებებისას.] <http://www.oecd.org/corruption/oecdantibriberyconvention.htm>
- The Bribery Act 2010. [მექრთამეობასთან ბრძოლის აქტი 2010 წ.] <http://www.transparency.org.uk/our-work/business-integrity/bribery-act/>
- Todor Tagarev, Regulatory Frameworks in Todor Tagarev, Building Integrity and Reducing Corruption in Defence: A Compendium of Best Practices, Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces, 2010:172-192. . [ტოდორ ტაგარევი, მარეგულირებელი მექანიზმები, კრებულში ტოდორ ტაგარევის რედაქციით, კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის შემცირება თავდაცვაში: საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების ცნობარი, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, 2010:172-192] <http://defenceintegrity.eu/en/publication/regulatory-frameworks>.
- United Nations Convention Against Corruption Background on the United Nations Convention Against Corruption. [გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორუფციის წინააღმდეგ კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის საწყისი მასალები.] <https://www.unodc.org/unodc/en/treaties/CAC/>
- U4 Anti-Corruption Resource Centre, International Good Practice in Anti-Corruption Legislation [[U4 ანტიკორუფციული რესურსცენტრი, საერთაშორისო კარგი პრაქტიკა ანტიკორუფციულ კანონმდებლობაში] <http://www.u4.no/publications/international-good-practice-in-anti-corruption-legislation/>

ბლოკი მეორე: კეთილსინდისიერების საფუძვლების, ეთიკური პრინციპების და კულტურის ზეგავლენის გააზრება

ბლოკის აღწერილობა

წინამდებარე ბლოკი იკვლევს ეთიკის როლს და კეთილსინდისიერების ამაღლების ცნებას საჯარო ადმინისტრაციაში. იგი მიზნად ისახავს სტუდენტებს უზიარებელი მათი პირადი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის უფრო ღრმა გააზრებისკენ მორალური და სოციალური ნორმების, გარემოს ზეწოლის და ზოგადად კორპორაციული კულტურის გათვალისწინებით. ბლოკი გვთავაზობს საკითხის ანალიზს და მორალურ მსჯელობას ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორებში სახელმწიფო სამსახურის კონტექსტში. იგი იწყება იმით, რომ განასხვავებს ეთიკასა და კანონს, განიხილავს რა მაგალითებს, რომლებიც წარმოგვიდგენს ისეთ ეთიკურ საკითხებს, რომლებზეც კანონი დუმს, ხოლო შემდეგ აგრძელებს მორალური მსჯელობის ამ კლასიკური ფორმების მიმოხილვას (როგორიცაა უტილიტარიანიზმი და მოვალეობის ეთიკა), რომლებიც მიმართულია ეთიკურ პრობლემებზე და გვეხმარება მათ გადაწყვეტაში. თავისუფალი ბაზრიდან აღებული მოგების მიღების ცნება აქ შედარებულია სახელმწიფო და საჯარო სამსახურში შესყიდვების და კონტრაქტების პროცესთან და აგრეთვე განიხილება იმ ინსტიტუტების და პროცედურების შექმნის წინადადებები, რომლებიც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას, ზედამხედველობას და გამჭვირვალობას საჯარო სექტორში კორუფციის წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად.

ბლოკის სასწავლო ამოცანები:

- თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის ადმინისტრირებაში ეთიკის როლის და მნიშვნელობის გააზრება;
- ეთიკის გაგების გამოყენება კეთილსინდისიერების გამოწვევების ამსახველი კონკრეტული მაგალითების განხილვისას;
- იმის ახსნა, თუ როგორ შეუძლია ორგანიზაციულ კულტურას იმოქმედოს ორგანიზაციის კორუფციისადმი მედეგობაზე, ან მოწყვლადობაზე;

რუფციისადმი მედეგობაზე, ან მოწყვლადობაზე;

- კორპორაციული კულტურის გაანალიზება იმ სფეროების გამოვლენის მიზნით, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ კორუფციისადმი მოწყვლადობას.

განსახილველი საკითხები

- რატომაა ეთიკა მნიშვნელოვანი თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორისათვის და როგორ გვეხმარება იგი მორალური დილემების გადაწყვეტაში, რომლებიც წარმოიქმნება ორგანიზაციის გარემოში?
- როგორ ეწინააღმდეგებიან ცალკეული პირები ზეწოლას კორუმპირებული კორპორაციული კულტურის პირობებში?
- როგორ უწყობენ ხელს ეთიკურ ქცევას სხვადასხვა ორგანიზაციები?
- როგორ ხდება კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბება და როგორაა შესაძლებელი მისი შეცვლა?
- როგორ ხდება კორუფციის განსხვავებული გაგების განვითარება სხვადასხვა ქვეყნის თუ ორგანიზაციის კულტურაში და როგორ მოქმედებს ეს თავდაცვისუნარიანობის განვითარებაზე?

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ექსპერტი პრაქტიკოსების მიერ ჩატარებულ ლექციებს და კონკრეტულ მაგალითებს. ამ მაგალითებში შეიძლება შედიოდეს საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების შედარება და შეპირისპირება;
- მოხდება სტუდენტების ცოდნის და მათ მიერ კორუფციის ცნებების და რისკების გააზრების შეფასება, რაც შეიძლება შეფასდეს მათ მიერ კონკრეტული მაგალითების განხილვისას.

მოდული 1.2.1: ეთიკა

მოდულის აღწერილობა

წინამდებარე მოდული უზიძგებს სტუდენტებს მათი პირადი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის უფრო ღრმა გააზრებისკენ (მაგ. ჩაერთონ თუ არა კორუფციულ საქმიანობაში ერთგულების, შიშის, ან გამორჩენის გამო), მორალური და სოციალური ნორმების, გარემოს ზეწოლის და ზოგადად კორპორაციული კულტურის გავლენის წინაშე, ისევე როგორც ეთიკის კოდექსების ძლიერი და სუსტი მხარეების მხედველობაში მიღებით. გვთავაზობს საკითხის ანალიზს და მორალურ მსჯელობას ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორებში სახელმწიფო სამსახურის კონტექსტში და ყურადღებას ამახვილებს კაპიტალური ფონდების შეძენაზე, სახელმწიფო პროგრამების მართვაზე და სამსახურში აყვანის და დაწინაურების გადაწყვეტილებებზე.

მოდულის სასწავლო ამოცანები

ლექციების, რეკომენდებული საკითხავი მასალების შესწავლის, დისკუსიების და კონკრეტული მაგალითების ანალიზის შედეგად სტუდენტებს შეეძლება:

- შეაფასონ განსხვავება ეთიკას და კანონს შორის, როგორც 'მმართველობის ცნებების' პოზიციიდან;
- ახსნან ორგანიზაციულ სისტემებში და ცალკეულ თანამშრომლებში შიდა და გარე კეთილსინდისიერების ცნებების შინაარსი და ევოლუცია;
- სწორად განასხვავონ მორალური დილემები (როგორც გაურკვევლობა სწორი ან საუკეთესო ეროვნული სტრატეგიის განსაზღვრისას) და ხასიათის, ან კეთილსინდისიერების გამოცდა (როდესაც პირი არღვევს კანონს, უგულვებელყოფს ნორმებს და შეგნებულად ებმება თაღლითობაში, კორუფციაში, ნეპოტიზმსა და ძალადუფლების ბოროტად გამოყენებაში);
- გამოიყენონ „კონკრეტული სიტუაციის ანალიზის“ მეთოდი კეთილსინდისიერების მიმართ ეროვნული უსაფრთხოების მთელ სისტემაში.

განსახილველი საკითხები

- რა არის ეთიკა და რომელი ძირითადი ეთიკური ღირებულებები მოქმედებს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრუქტურებში?
- რა სახის კრიტიკული მსჯელობა, შეფასება და პრობლემის გადაჭრის ჩვევები გვჭირდება მორალური დილემების, როგორც ანალიტიკური პრობლემების გადასაჭრელად?
- რამ შეიძლება მოახდინოს გავლენა ინდივიდუალურ არჩევანზე და გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ინსტიტუტსა, თუ ორგანიზაციაში (რომელიც ზოგჯერ ხასიათდება გარემოს ზეწოლით და კორუფციული ქმედებებით)?
- როგორ მოქმედებს კლასიკური „კეთილისა და ბოროტის მორალური თეორია“ „სტრატეგიული აზროვნების“ ჩამოყალიბებაზე ინდივიდუალური, თუ კორპორაციული ქმედებების საბოლოო მიზნების და ამ მიზნების მისაღწევად ყველაზე შესაფერისი საშუალებების თაობაზე? (განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, სადაც საყოველთაოდ მიღებული მოქმედი კანონმდებლობა ვერანაირ გონივრულ მიმართულებას ვერ გვთავაზობს)

- რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ხასიათის მორალური საწყისების არისტოტელესეული იდეიდან და კანტის მორალური პრინციპების თეორიიდან კორუფციასთან ბრძოლის სტრატეგიების შემუშავებისას?
- რა აცალიბებს მედეგობას („მორალურ გამბედაობას“) ჯგუფის და ჩვეული კორუფციული პრაქტიკის ზეწოლის ქვეშ მყოფ პირებში, რაც ამ ადამიანებს აძლევს ძალას დაუპირისპირდნენ კორუფციის გავრცელებულ ტენდენციებს?
- რა მექანიზმების გამოყენება შეიძლება უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრუქტურებში ეთიკური ქცევის ხელშესაწყობად?

სასწავლო მეთოდოლოგია

- ლექცია;
- კონკრეტული მაგალითების ჯგუფური განხილვა;
- სტუდენტების შეფასება მოხდება დისკუსიის და კონკრეტული მაგალითების ანალიზისას მათი აქტიურობიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა

- Alain Fogue-Tedom, Effective Democratization and the Development of Moral Competencies in the Armed Forces of African States in Jr. George R. Lucas, Routledge Handbook of Military Ethics, Routledge Publishers, Ch. 10, 2015. [ალენ ფოგ-ტედომი, ეფექტური დემოკრატიზაცია და მორალური კომპეტენციების განვითარება აფრიკის ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში, კრებულიდან ჯორჯ ლუკას უმცროსის რედაქციით, რაუთლეჯის სამხედრო ეთიკის ცნობარი, Routledge Publishers, Ch. 10, 2015 წ.]
- George Lucas, Military Ethics: What Everyone Needs to Know, Oxford University Press: Ch. 5., 2015. [ჯორჯ ლუკასი, სამხედრო ეთიკა: რა უნდა იცოდეს ყველამ, Oxford University Press: Ch. 5., 2015 წ.]
- George Lucas, Rick Rubel, Case Studies in Military Ethics, Pearson, 3 Ed., 2012. [ჯორჯ ლუკასი, რიკ რუბელი, სამხედრო ეთიკის კონკრეტული მაგალითები, Pearson, 3 Ed., 2012 წ.]
- Husbandry Provisioning Scandal in U.S. Navy. [სკანდალი აშშ სამხედრო საზღვაო ფლოტის მომარაგების მართვის სისტემაში.] <http://archive.defensenews.com/article/20131121/DEFREG02/311210016/Another-US-Navy-Officer-Implicated-Bribery-Scandal-Sacked>.
- Patricia J. Cook, Problem Analysis and Ethical Dilemmas (PAED), Pearson, 2010. [პატრიცია ჯ. კუკი, პრობლემის ანალიზი და ეთიკური დილემები (პაედ), Pearson, 2010 წ.]
- Philip M. Nichols, The Psychic Costs of Violating Corruption Laws, Vanderbilt Journal of Transnational Law, 45, 2012. [ფილიპ მ. ნიკოლსი, კორუფციის შესახებ კანონების დარღვევის ფსიქიკური საფასური, Vanderbilt Journal of Transnational Law, 45, 2012 წ.]
- Major General Robert Latiff, Ethical Issues in Defense Systems Acquisition in Jr. George R. Lucas,

Routledge Handbook of Military Ethics, Routledge Publishers, Ch. 20, 2015. [გენერალ მაიორი რობერტ ლატიფი, თავდაცვის სისტემათა შესყიდვის ეთიკური საკითხები, კრებულიდან ჯორჯ ლუკას უმცროსის რედაქციით, რაუთლეჯის სამხედრო ეთიკის ცნობარი, Routledge Publishers, Ch. 20, 2015 წ.]

- Stephen Coleman, Military Ethics, Oxford OUP, 2012. [სტივენ კოულმანი, სამხედრო ეთიკა, Oxford OUP, 2012 წ.]
- U.S. Department of Defence, Encyclopaedia of Ethical Failure: Department of Defense, Office of Gen Counsel, Standards of Conduct Office, 2014. [აშშ თავდაცვის დეპარტამენტი, ეთიკური მარცხის ენციკლოპედია: თავდაცვის დეპარტამენტი, გენერალური იურისკონსულტის ოფისი, ქცევის სტანდარტების ოფისი, 2014 წ.] http://www.dod.mil/dodgc/defense_ethics/dod_oge/eef_complete.pdf

მოდული 1.2.2: კეთილსინდისიერების ამაღლების კულტურული განზომილება

მოდულის აღწერილობა

ინდივიდუალური ქცევა ყალიბდება აღქმების, დამოკიდებულებების ტრადიციების, ორგანიზაციაში მიღებული პრაქტიკის და სოციალური ნორმების გავლენით. წინამდებარე მოდული აცნობს სტუდენტებს კორპორაციულ კულტურას, თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურებში გავრცელებული კორპორაციული კულტურის ფესვებსა და მახასიათებლებს და მის მიმართებას კორუფციისადმი. სტუდენტები გაანალიზებენ კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებაზე გავლენის მომხდენ გარე ფაქტორებს და იმას, თუ როგორ ზრდიან ან ამცირებენ ეს ფაქტორები კორუფციის რისკებს. სტუდენტებს შესთავაზებენ იმის პრაქტიკულ მაგალითებს, თუ როგორ უწყობს ხელს კორპორაციული კულტურა კორუფციის სხვადასხვა ქვეყნების თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურებში. ისინი გაანალიზებენ კონკრეტულ მაგალითებს იმისთვის, რათა გაერკვნენ თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურებში კორპორაციული კულტურისა და კორუფციის ურთიერთმიმართებაში. მოდულის მიზანია დაგვეხმაროს იმის გააზრებაში, თუ რა გავლენა აქვს კორპორაციულ კულტურას თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურებში კორუფციის ხელშეწყობასა, თუ თავიდან აცილებაზე.

მოდულის სასწავლო ამოცანები

ლექციების, რეკომენდებული საკითხავი მასალების შესწავლის, დისკუსიების და კონკრეტული მაგალითების ანალიზის შედეგად სტუდენტებს შეეძლებათ:

- გაერკვნენ კორპორაციული კულტურის ცნებაში;
- გაიგონ, თუ რა გავლენას ახდენს კორპორაციული კულტურა პიროვნების, თუ ჯგუფის ქცევის ჩამოყალიბებაზე და რამდენად შეუძლია კორუფციის ხელშეწყობა, თუ თავიდან აცილება;
- განსაზღვრონ კორპორაციული კულტურის მახასიათებლები (ღირებულებები, აღქმები, დამოკიდებულებები, ნორმები) და გაანალიზონ,

თუ რა კავშირი აქვთ მათ თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურებში გავრცელებულ კორუფციულ პრაქტიკასთან;

- გაანალიზონ გარე ფაქტორების გავლენა (მემკვიდრეობა, ისტორია, ეროვნული კულტურა, ტრადიციები და ა. შ.) კორპორაციულ კულტურაზე;
- გააზრონ პიროვნებების/ლიდერების და მათი ძალაუფლების წყაროების როლი კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებაში, კორუფციის რისკების კუთხით;
- დაადგინონ კეთილსინდისიერების წინააღმდეგ მიმართულმა რა საფრთხეებმა შეიძლება შეაღწიონ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და პრაქტიკაში ეროვნული და საერთაშორისო სისტემების კორუმპირებულობის გამო;
- გააზრონ ეროვნულ/კორპორაციულ კულტურულ თვისებებსა და „5P“-ს მოდელს (ფილოსოფია, პოლიტიკა, პროგრამები, პროცესები, პრაქტიკა) შორის ურთიერთდამოკიდებულება კეთილსინდისიერების ამაღლების კუთხით;
- გაერკვნენ ფსიქოლოგიურ კონტრაქტსა და ოფიციალურ კონტრაქტს შორის არსებულ დიქტომიაში და იმაში, თუ კეთილსინდისიერების რა დილემებს წარმოქმნის ეს.

განსახილველი საკითხები

- რომელია კულტურის/კორპორაციული კულტურის ძირითადი მახასიათებლები და განსაზღვრებები?
- როგორ ყალიბდება კორპორაციული კულტურა და რა ფაქტორები ახდენს გავლენას მის ჩამოყალიბებაზე?
- რამდენად განსხვავდება კორუფციის ცნება სხვადასხვა ქვეყანასა, თუ საზოგადოებაში?
- რა გავლენას ახდენს კულტურული გარემო კორუფციის თავიდან აცილებაზე, ან ხელშეწყობაზე - შეიძლება, თუ არა კორუფციული ქცევის გამართლება ამგვარი „საპატიო მიზეზით“?
- როგორ მოქმედებს კორუფცია კორპორაციულ კულტურაზე?
- როგორ წყდება სხვადასხვა განსხვავებულ კორპორაციული კულტურაში გენდერთან და კორუფციასთან დაკავშირებული საკითხები?
- როგორ აისახება კორპორაციულ კულტურაზე ერის ჩამოყალიბების და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის ისტორიული პროცესები?
- რა კულტურული სპეციფიკა ახასიათებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურებს?
- როგორ იცვლება კულტურა? როგორია ამ პროცესის დროითი ჩარჩო და როგორია ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის მახასიათებლები?

სასწავლო მეთოდოლოგია

- ლექცია;
- კონკრეტული მაგალითების ჯგუფური განხილვა;
- სტუდენტების შეფასება მოხდება დისკუსიის და კონკრეტული მაგალითების ანალიზისას მათი აქტიურობიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა

- Alison Taylor, What impact does organizational culture have on corruption? [ელისონ ტეილორი, რა გავლენას ახდენს კორპორაციული კულტურა კორუფციაზე? <http://www.ethic-intelligence.com/experts/8879-relationship-organisational-culture-corruption/>]
- David Gebler, The 3 Power Values: How Commitment, Integrity, and Transparency Clear the Roadblocks to Performance, Jossey-Bass, 2012. [დევიდ გებლერი, ძალაუფლების 3 ღირებულება: როგორ შეუძლია პასუხისმგებლობას, კეთილსინდისიერებას და გამჭვირვალობას გადაგვალახინოს წინაღობები ეფექტური ფუნქციონირებისაკენ მიმავალ გზაზე, Jossey-Bass, 2012 წ.]
- Ed Voerman, Fons Trompenaars, Servant Leadership Across Cultures, Infinite Ideas, 2009. [ედ ვორმანი, ფონს ტრომპენაარსი, ლიდერობა, როგორც მსახურება სხვადასხვა კულტურაში, Infinite Ideas, 2009 წ.]
- Geert Hofstede, Gert Jan Hofstede, Michael Minkov, Cultures and Organizations, Software of the Mind, 3 Ed., McGraw-Hill, 2010. [გეერტ ჰოფსტედე, გერტ იან ჰოფსტედე, მაიკლ მინკოვი, კულტურები და ორგანიზაციები, გონების პროგრამული უზრუნველყოფა, 3-ე გამოცემა, McGraw-Hill, 2010 წ.]
- George Lucas, Military Ethics: What Everyone Needs to Know, Oxford University Press: Ch. 5, 2015. [ჯორჯ ლუკასი, სამხედრო ეთიკა: რა უნდა იცოდეს ყველამ, Oxford University Press: Ch. 5., 2015 წ.]
- George Lucas, Rick Rubel, Case Studies in Military Ethics, 3rd Edition, Pearson, 2012. [ჯორჯ ლუკასი, რიკ რუბელი, სამხედრო ეთიკის კონკრეტული მაგალითები, 3-ე გამოცემა, Pearson, 2012 წ.]
- Lawrence Lessig, "Institutional Corruption" Defined, Journal of Law, Medicine and Ethics, 41, no. 3, 2013:553- 555. [ლორენს ლესიგი, "ინსტიტუციური კორუფცია" განსაზღვრება, Journal of Law, Medicine and Ethics, 41, no. 3, 2013:553- 555.]
- Nickolay Slatinski, Cultural Awareness in Implementing Integrity Building Programmes" in Todor Tagarev, Building Integrity and Reducing Corruption in Defence: A Compendium of Best Practices, Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces, 2012:312-322. [ნიკოლაი სლატინსკი, კულტურული ცნობიერება კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამების ასრულებისას" კრებულში ტოდორ ტაგარევის რედაქციით, კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის შემცირება თავდაცვაში: საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების ცნობარი, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, 2012:312-322.]
- Paul Gibbons, The Science of Successful Organizational Change: How Leaders Set Strategy, Change Behavior, and Create an Agile Culture, Pearson Business, 2015. [პოლ გიბონსი, წარმატებული ორგანიზაციული ცვლილებების მეცნიერება: როგორ შეიმუშავებენ სტრატეგიას, ცვლიან ქცევას და ამკვიდრებენ მოქნილ კულტურას ლიდერები, Pearson Business, 2015 წ.]
- Robert E. Quinn, Kim S. Cameron, Diagnosing and Changing Organizational Culture: Based on the Competing Values Framework, Jossey-Bass, 3 Ed., 2011. [რობერტ ე. ჟუინი, კიმ ს. კამერონი, ორგანიზაციული კულტურის დიაგნოსტიკა და შეცვლა: კონკურენტული ღირებულებების ქსელზე დაყრდნობით, Jossey-Bass, 3 Ed., 2011 წ.]
- Stephen Coleman, Military Ethics, Oxford University Press, 2012. [სტივენ კოულმანი, სამხედრო ეთიკა, Oxford Oxford University Press, 2012 წ.]
- Vikas Anand, Blake E. Ashforth, Mahendra Joshi, Business as usual: The acceptance and perpetuation of corruption in organizations, Academy of Management Executive, 18, no. 2, 2004. [ვიკას ანანდი, ბლეიკ აშფორტი და მაჰენდრა ჯოში, ბიზნესი, როგორც ყოველთვის: კორუფციის მიმდებლობა და ფეხის მოკიდება ორგანიზაციებში, Academy of Management Executive, ტ. 18, No2, 2004 წ.]
- The Hofstede Centre, Country comparison. [ჰოფსტედის ცენტრი, ქვეყნების შედარებითი ანალიზი.] <https://geert-hofstede.com/countries.html>

2

კარგი მმართველობა
და საჯარო ადმინისტრაცია

თემის აღწერილობა

მოცემული თემა სთავაზობს სტუდენტებს კარგი მმართველობის ცნების გააზრებას და იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იგი საჯარო ადმინისტრაციისთვის. იგი აგრეთვე მიმოიხილავს კარგი მმართველობის მთავარ პრინციპებს, საჯარო ინსტიტუტების ფუნქციონირებას და სხვადასხვა კონტროლსა და ბალანსს, რომლებიც უზრუნველყოფს თავდაცვის და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგსა და ზედამხედველობას.

სასწავლო ამოცანები

- საჯარო ადმინისტრაციაში კარგი მმართველობის იდეის გააზრება, ისევე როგორც თავდაცვის და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორებში სამართლებრივი და ეთიკური სტანდარტების გამოყენების მნიშვნელობის გაცნობიერება;
- კარგი მმართველობის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა და თანამედროვე თავდაცვით ინსტიტუტებში მისი შესაძლო გამოყენების ფორმების დადგენა;
- მსჯელობა იმაზე, თუ როგორ ეხმარება საზოგადოებას კეთილსინდისიერების მაღალი დონე თავდაცვის სექტორში მდგრადი დემოკრატიის მიღწევასა და შენარჩუნებაში;
- საჯარო ინსტიტუტების ფუნქციონირების გააზრება ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე და თავდაცვითი ინსტიტუტების შესაბამისი როლის გაანალიზება აღნიშნულ მოცემულობაში;
- კონტროლისა და ბალანსის სისტემის და მისი ძირითადი ელემენტების განსაზღვრა თანამედროვე თავდაცვის სექტორში;
- სამოქალაქო და სამხედრო ინსტიტუტებს შორის ურთიერთობის ხასიათზე და მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე მსჯელობა;
- იმის განსაზღვრა, თუ როგორ გავლენას ახდენს კეთილსინდისიერების მაღალი, თუ დაბალი დონე უსაფრთხოების და თავდაცვის სექტორებში ამ ინსტიტუტების მუშაობაზე და საზოგადოებაში არსებულ კანონის უზენაესობაზე;
- გენდერის გააზრება კარგ მმართველობასთან და საჯარო ადმინისტრაციასთან მიმართებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- Centre for Integrity in the Defence Sector, Guides to Good Governance. [თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი, კარგი მმართველობის გზამკვლევები. http://cids.no/?page_id=4596

თემების ჩამონათვალი

ბლოკი პირველი: კარგი მმართველობის პრინციპები

მოდული 2.1.1: წარმომადგენლობა

მოდული 2.1.2: ადამიანის უფლებები

მოდული 2.1.3: გენდერი

მოდული 2.1.4: გამჭვირვალობა

მოდული 2.1.5: ანგარიშვალდებულება

მოდული 2.1.6: კონტროლი და ბალანსი

მოდული 2.1.7: კანონის უზენაესობა

მოდული 2.1.8: მიუკერძოებლობა

მოდული 2.1.9: სანდოობა და პროგნოზირებადობა

მოდული 2.1.10: სტრატეგიული მიდგომა კეთილსინდისიერების ამაღლებისადმი

ბლოკი მეორე: საჯარო ინსტიტუტების ფუნქციონირება

მოდული 2.2.1: აღმასრულებელი შტო

მოდული 2.2.2: საკანონმდებლო შტო

მოდული 2.2.3: სასამართლო შტო

ბლოკი მესამე: კონტროლი და ბალანსი

მოდული 2.3.1: სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობები

მოდული 2.3.2: საპარლამენტო ზედამხედველობა კეთილსინდისიერებაზე თავდაცვის სექტორში

მოდული 2.3.3: სასამართლო ზედამხედველობა კეთილსინდისიერებაზე თავდაცვის სექტორში

მოდული 2.3.4: მედია

მოდული 2.3.5: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

მოდული 2.3.6: კორუფციასთან ბრძოლის სპეციალიზირებული ორგანოები (მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციები)

ბლოკი პირველი: კარგი მმართველობის პრინციპები

ბლოკის აღწერილობა

კარგი მმართველობა ემყარება პარლამენტის, აღმასრულებელი და სასამართლო შტოების ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ხელისუფლების დანაწილებამ უნდა წარმოშვას კონტროლისა და ბალანსის ეფექტური სისტემა, რაც ზღუდავს ხელისუფლების რომელიმე შტოს მიერ ძალაუფლების თვითნებურ, ან ცალმხრივ გამოყენებას. მიუკერძოებელ, სანდო და პროგნოზირებად საჯარო ადმინისტრაციასთან ერთად კანონის უზენაესობის დაცვის პირობებში, კარგი მმართველობა ქმნის გარემოს, სადაც თავდაცვით ინსტიტუტებში ინერგება კეთილსინდისიერების კულტურა, რომელიც ზღუდავს კორუფციას.

ბლოკის სასწავლო ამოცანები

- თავდაცვით ინსტიტუტებში კარგი მმართველობის დანერგვის და შენარჩუნების მნიშვნელობის გააზრება, კანონის უზენაესობაზე, ანგარიშვალდებულებაზე, წარმომადგენლობასა და კეთილსინდისიერებაზე ყურადღების გამახვილებით;
- ისეთი მთავრობის მთავარი მახასიათებლების დადგენა, რომელიც კონსტრუქციულად ხელს უწყობს კარგ მმართველობას და საჯარო ადმინისტრაციას;
- მმართველობის და ადმინისტრაციის სტრუქტურებში არსებული მახასიათებლების და ქცევების გააზრება, რომლებიც გავლენას ახდენს თავდაცვითი ინსტიტუტების მიერ ჩატარებულ ოპერაციებზე და მათ ორგანიზაციულ გარემოზე;
- ხელისუფლების შტოებს შორის არსებული ურთიერთმიმართების გააზრება იმის შესაფასებლად, თუ რა გავლენას ახდენს ეს თავდაცვის სექტორზე და ეხმარება თავდაცვითი ინსტიტუტების შესაფერისი როლის განსაზღვრაში სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობებისას;
- ეფექტური მმართველობისთვის და ადმინისტრირებისათვის აუცილებელი მთავარი კომპეტენციების დადგენა (მათ შორის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და ადამიანის უფლებების დაცვის);
- იმის დადგენა, თუ რამდენად ქმნის კარგი მმართველობა და საჯარო ადმინისტრაცია წინაპირობას კორუფციის რისკის შესამცირებლად და კეთილსინდისიერების კულტურის ასამაღლებლად თავდაცვით ინსტიტუტებში.

განსახილველი საკითხები

- რომელი ძირითადი ცნებები უკავშირდება კარგი მმართველობის პრინციპებს?
- როგორ წარმოვაჩინოთ კარგი მმართველობის და ეფექტური ადმინისტრაციის მნიშვნელობა დემოკრატიულ ქვეყანაში?
- შეუძლიათ, თუ არა მონაწილეებს დაადგინონ კავშირი კარგ მმართველობას და კეთილსინდისიერების ამაღლებას შორის თავდაცვის სფეროში?

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

მოდული 2.1.1: წარმომადგენლობა

მოდულის აღწერილობა

დემოკრატია ეფუძნება წარმომადგენლობის პრინციპს, რომლის გამოხატვა ხდება თავისუფალი, შეჯიბრებით პრინციპზე დამყარებული და სამართლიანი არჩევნების შედეგად. ხელისუფლების აღმასრულებელი შტო (რასაც განეკუთვნება თავდაცვის სისტემა) აღასრულებს მანდატს, რომელიც მას პარლამენტის მიერ მიენიჭება და ექვემდებარება კონტროლს საპარლამენტო ზედამხედველობის სისტემის მეშვეობით, რომელიც უნდა აიგოს სამართლებრივი და ეთიკური ნორმების შესაბამისად. ამ მოდულის მეშვეობით თავდაცვითი ინსტიტუტების თანამშრომლები შეიტყობენ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაფუძნებული წარმომადგენლობის ცნების პოლიტიკური ასპექტების და თავდაცვის სექტორის მართვაზე მისი გავლენის შესახებ დემოკრატიის პირობებში.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- განსაზღვრეთ წარმომადგენლობის ცნება თანამედროვე პოლიტიკურ აზროვნებაში და მისი გავლენა თავდაცვის მართვაზე;
- წარმოადგინეთ პოლიტიკურ ცხოვრებაში და თანამედროვე საზოგადოებაში არსებული წარმომადგენლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმები და მათი გავლენა თავდაცვის სექტორზე;
- იმსჯელეთ, თუ როგორ შეუძლია პოლიტიკური პარტიების დაფინანსების სქემებს გაამრუდოს წარმომადგენლობითი დემოკრატია;
- იმსჯელეთ, თუ როგორ და რატომ შეუძლია პოლიტიკური პარტიების გავლენას ძირი გამოუთხაროს თავდაცვისუნარიანობას და საზოგადოების ნდობას შეიარაღებული ძალებისადმი და უსაფრთხოების სამსახურებისადმი.

სასწავლო მეთოდოლოგია/შეფასება

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Irwin Shapiro, Susan Stokes, Elisabeth Wood, Alexander Kirshner, Political Representation, Cambridge University Press, 2010. [ირვინ შაპირო, სიუზან სტოუკსი, ელიზაბეთ ვუდი, ალექსანდერ კირშნერი, პოლიტიკური წარმომადგენლობა, Cambridge University Press, 2010 წ.] <https://www.princeton.edu/~ppettit/papers/2010/Varieties%20of%20Public%20Representation.pdf>
- M.J.C. Vile, Constitutionalism and the ხელისუფლების დანაწილება, Indianapolis, Liberty Fund, 2 Ed., 1998. [მ. ვაილი, კონსტიტუციონალიზმი და ხელისუფლების დანაწილება, Indianapolis, Liberty Fund, 2 Ed., 1998 წ.]
- Nadia Urbinati, Representative Democracy, Principles and Genealogy, University of Chicago Press, 2008. [ნადია ურბინატი, წარმომადგენლობითი დემოკრატია, პრინციპები და გენეალოგია, University of Chicago Press, 2008 წ.]

მოდული 2.1.2: ადამიანის უფლებები

მოდულის აღწერილობა

გაეროს განსაზღვრების მიხედვით, ადამიანის უფლებები არის ყველა ადამიანის თანდაყოლილი უფლებები, მიუხედავად მოქალაქეობისა, საცხოვრებელი ადგილის, სქესის, ეროვნული, თუ ეთნიკური წარმომავლობის, კანის ფერის, რელიგიური მრწამსის, ენის, ან ნებისმიერი სხვა მდგომარეობის. თითოეული ადამიანი თანაბრად უნდა ფლობდეს ადამიანის უფლებებს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ყველა ეს უფლება ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთდამოკიდებული და განუყოფელია. ადამიანის საყოველთაო უფლებები ხშირად აისახება კანონში და გარანტირებულია მის მიერ, ხელშეკრულებების, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის, საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების და სხვა წყაროების შესაბამისად. ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს ქვეყნების ხელისუფალთა ვალდებულებებს, რომლებიც მოუწოდებს გარკვეული მოქმედებების განხორციელებისკენ, ან მათგან თავისშეკავებისკენ, ადამიანის უფლებების და ცალკეული პირების და ჯგუფების ძირითადი თავისუფლებების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით. ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ მორალური ნორმაცაა, რაც ადამიანის უფლებებისადმი მიდგომას კეთილსინდისიერების სფეროსთან აკავშირებს. თავდაცვისა და უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებს სამართლებრივად მოეთხოვება ადამიანის უფლებების (მაგ. სიცოცხლის და ფიზიკური ხელშეუხებლობის, წამების თავიდან აცილების, ადამიანის ღირსების, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების, გამოხატვის, სინდისის და მრწამსის თავისუფლების და ასე შემდეგ) პატივისცემა და დაცვა. აღნიშნული მოდული განიხილავს, თავდაცვის სექტორის სპეციფიკური ხასიათის გამო, ეროვნული უსაფრთხოების დაცვის და შეიარაღებულ კონფლიქტებში, თუ საგანგებო სიტუაციებში მონაწილეობის აუცილებლობიდან გამომდინარე, თუ როგორ შეიძლება დადგენ თავდაცვის სექტორის მუშაკები სერიოზული გამოწვევების წინაშე, რომელთა გადაჭრა მოითხოვს შესა-

ბამის განათლებას და მომზადებას ადამიანის უფლებების ჯეროვნად დაცვის უზრუნველსაყოფად.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- ადამიანის უფლებების ევოლუციის წარმოადგენა ისტორიულ პერპექტივაში;
- თანამედროვე მსოფლიოში მოქმედი ადამიანის უფლებების საკითხების მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი ინსტრუმენტების და ეთიკური ნორმების, მათ შორის სამხედრო მოსამსახურეთათვის აქტუალური კანონმდებლობების და კოდექსების გაცნობა;
- ადამიანის უფლებების ჰუმანიტარულ სამართალზე გავლენის გაანალიზება თანამედროვე თავდაცვის სისტემებში;
- პოლიციური და შეიარაღებული ძალების (მათ შორის სამოქალაქო თავდაცვის პირადი შემადგენლობის) ქცევის სტანდარტის უზრუნველყოფა ადამიანის უფლებებთან, ან ადამიანის უფლებების დარღვევებთან მიმართებით.

სასწავლო მეთოდოლოგია/შეფასება

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Council of Europe, Democratic and Effective Oversight of National Security Services, Council of Europe Commissioner for Human Rights, 2015. [ევროსაბჭო, დემოკრატიული და ეფექტური ზედამხედველობა ეროვნული უსაფრთხოების სამსახურებზე, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, 2015 წ.]
- Inderjit Singh, The United Nations Human Rights Regime: An Analysis, International Journal Of Multidisciplinary Approach & Studies, 3(1), 2016: 195-204. [ინდერჯიტ სინგხი, გაეროს ადამიანის უფლებათა რეჟიმი: ანალიზი, International Journal Of Multidisciplinary Approach & Studies, 3(1), 2016 წ.: 195-204.]

მოდული 2.1.3: გენდერი

მოდულის აღწერილობა

გენდერული თანასწორობის ცნება ემყარება მამაკაცსა და ქალს შორის სამართლებრივი და სოციალური თანასწორობის მიღწევის იდეას კანონსა და საზოგადოებაში, სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი სამუშაო ადგილებზე, თანაბარი შესაძლებლობების შეთავაზებით. ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში გენდერული საკითხები საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის შესწავლის საგანი გახდა, კერძოდ უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხების კვლევის კონტექსტში. უფრო მეტიც, ბოლო დროს მეტი ყურადღება ექცევა გენდერული თანასწორობის ხაზგასმას სამხედრო ოპერაციებში (გაეროს უს რეზოლუცია 1325). წინამდებარე მოდული განიხილავს კეთილსინდისიერების მნიშვნელობას და გავლენას გენდერული თანასწორობის ცნების ფარგლებში, კერძოდ კი, თუ როგორ ვრცელდება იგი სამხედრო გარემოზე.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- გენდერული თანასწორობის ცნების ისტორიული განვითარების გაცნობა;
- ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტების წარმოდგენა და განხილვა, რომლებიც არეგულირებს გენდერულ საკითხებს საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე;
- თავდაცვის თანამედროვე სისტემებში მიღწეული გენდერული თანასწორობის დონის გაანალიზება, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით ქვეყანაზე, სადაც ხდება მოდულის განხორციელება.

სასწავლო მეთოდოლოგია/შეფასება

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Consortium of Gender, Security and Human Rights, Syllabus Collection. [გენდერის, უსაფრთხოების და ადამიანის უფლებების კონსორციუმი, სასწავლო პროგრამების კრებული. <http://genderandsecurity.org/projects-resources/syllabus-collection>
- Nordic Centre for Gender, Whose Security, 2015. [სკანდინავიის გენდერული ცენტრი, ვისი უსაფრთხოება, 2015 წ.] <http://www.forsvarsmakten.se/siteassets/english/swedint/engelska/swedint/nordic-centre-for-gender-in-military-operations/whose-security-2015-low-resolution.pdf>
- Nordic Centre for Gender, UN resolutions on gender. [სკანდინავიის გენდერული ცენტრი, გაეროს რეზოლუციები გენდერულ საკითხებზე] <http://www.forsvarsmakten.se/siteassets/english/swedint/engelska/swedint/nordic-centre-for-gender-in-military-operations/un-resolutions.pdf>
- UN Women, Gender and Security Training Manual, 2012. [გაეროს ქალები, გენდერის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხთა სახელმძღვანელო, 2012 წ.] https://trainingcentre.unwomen.org/pluginfile.php/2484/mod_resource/content/1/Gender%20and%20Security%20training%20manual%20eng.pdf

მოდული 2.1.4: გამჭვირვალობა

მოდულის აღწერილობა

გამჭვირვალობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს დემოკრატიის ხელშეწყობაში და საჯარო თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულების დანერგვაში. იგი აგრეთვე საჯარო ადმინისტრაციაში გამოყენებული მართვის ერთ-ერთი მეთოდია, რაც გულისხმობს სამართლებრივ მექანიზმებზე დაყრდნობით ინფორმაციის გასაჯაროებას, მკაფიოობას და სიზუსტეს, რასაც მხარს უჭერს კონტროლისა და ზედამხედველობის განვითარებული სისტემები. იგი კეთილსინდისიერების კულტურის და კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. გამჭვირვალობა ვრცელდება ყველა სექტორზე დაგეგმვიდან და გადაწყვეტილებების მიღებიდან დაწყებული, ბიუჯეტის ათვისების და დანერგვის და სისტემების წარმადობის ჩათვლით. გარდა ამისა, იგი მოიცავს როგორც სტრატეგიულ, ასევე ოპერატიულ დონეებსაც. თავდაცვის თანამედროვე სისტემებში ხშირად ძნელია ბალანსის დაცვა საჯარო ადმინისტრაციის სხვა შტოებში არსებული გამჭვირვალობის სტანდარტების დაცვის აუცილებლობასა და მგრძნობიარე ინფორმაციის დაცვის საჭიროებას შორის, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ეროვნული უსაფრთხოებისა, ან თავდაცვისათვის. მოდული მიზნად ისახავს გამჭვირვალობას, დემოკრატია და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკას შორის მტკიცე კავშირის შესახებ ინფორმირებულობის გაუმჯობესებას.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- თანამედროვე საჯარო ადმინისტრაციაში ჩადებული გამჭვირვალობის ფუნდამენტური პრინციპების ახსნა და ამ ცნების ისტორიული განვითარების წარმოდგენა;
- საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე გამჭვირვალობის სტანდარტების მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი ინსტრუმენტების წარდგენა;
- თავდაცვის თანამედროვე სისტემებში გამჭვირვალობის არსებული სტანდარტების შედარებითი ანალიზის ჩატარება, მსოფლიო, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე;
- გამჭვირვალობის შეზღუდვაზე მსჯელობა და მისი მიზანშეწონილობის ახსნა;
- გამჭვირვალობის გაძლიერების საერთო სტრატეგიის განხილვა, კეთილსინდისიერ მამხილებელთა დაცვის ჩათვლით.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Amanda L. Jacobsen A, National Security and the Right to Information in Europe, University of Copenhagen, Centre for Advance Security Theory, 2013. [ამანდა ლ. ჯეიკობსენი, ეროვნული უსაფრთხოება და ინფორმაციაზე წვდომის უფლება ევროპაში, University of Copenhagen, Centre for Advance Security Theory, 2013 წ.]
- Council of Europe, The Protection of Whistle-blowers:

A study on the feasibility of a legal instrument on the protection of employees who make disclosures in the public interest, CDCJFIN, 2012 [ევროსაბჭო, მამხილებელთა დაცვა: სამართლებრივი ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობის კვლევა, იმ თანამშრომელთა დასაცავად, ვინც საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ახდენენ ინფორმაციის გამხელას. CDCJFIN, 2012 წ.] [http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/cdcj/Whistleblowers/CDCJ\(2012\)9F_Final.pdf](http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/cdcj/Whistleblowers/CDCJ(2012)9F_Final.pdf)

- Council of Europe, Recommendation CM/Rec (2014)7 of the Committee of Ministers to member States on the protection of whistle-blowers. [ევროსაბჭო, მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec (2014)7 წევრი სახელმწიფოებისადმი მამხილებელთა დაცვის შესახებ.] [https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=CM/c\(2014\)7&Language=lanEnglish&Site=CM&BackColorInternet=DBD CF2&BackColorIntranet=FDC864&BackColorLogged=FDC864](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=CM/c(2014)7&Language=lanEnglish&Site=CM&BackColorInternet=DBD CF2&BackColorIntranet=FDC864&BackColorLogged=FDC864)
- Francisco Cardona, Access to Information and Limits to Public Transparency, Guide to Good Governance 4, Centre for Integrity in the Defence Sector, Norwegian Ministry of Defence, 2016. [ფრანცისკო კარდონა, ინფორმაციაზე წვდომა და საჯარო გამჭვირვალობის საზღვრები, კარგი მმართველობის გზამკვლევი. no 4, თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი, 2016 წ.]
- Lawrence Friedman, Victor Hansen, Secrecy, Transparency and National Security, William Mitchell Law Review, Vol. 38:5, 2012:1610-1628. [ლორენს ფრიდმანი, ვიქტორ ჰანსენი, საიდუმლოება, გამჭვირვალობა და ეროვნული უსაფრთხოება, William Mitchell Law Review, ტომი 38:5, 2012:1610-1628.]
- OECD, The Right to Open Public Administrations in Europe: Emerging Legal Standards, Sigma Papers, No. 46, OECD Publishing, 2010. [ეთეო, ღია საჯარო ადმინისტრაციების უფლება ევროპაში: ახალი სამართლებრივი სტანდარტები, Sigma Papers, No. 46, OECD Publishing, 2010 წ.] <http://dx.doi.org/10.1787/5km4g0zfqt27-en>
- Robert G. Vaughn, The Successes and Failures of Whistle-blower Laws, Elgar Publishing, 2012. [რობერტ გ. ვონი, მამხილებელთა დამცავი კანონების წარმატება და მარცხი, Elgar Publishing, 2012 წ.]
- Tarlach McGonagle, Yvonne Donders, The United Nations and Freedom of Expression and Information: Critical Perspectives, Cambridge University Press, 2015. [ტარლაკ მაკგონაგლი, აივონ დონდერსი, გაერთიანებული ერები და გამომავტის და ინფორმაციის თავისუფლება: კრიტიკული თვალსაზრისები, Cambridge University Press, 2015 წ.]
- The Global Principles on National Security and the Right to Information (Tshwane Principles), Open Society Foundation, 12 June 2013. [ეროვნული უსაფრთხოების გლობალური პრინციპები და ინფორმაციაზე წვდომის უფლება (ცვანეს პრინციპები), Open Society Foundation, 2013 წლის 12 ივნისი.]
- Transparency International, Whistleblowing in Europe: Legal Protections for Whistle-blowers in the EU, 2013. [საერთაშორისო გამჭვირვალობა, ევროპაში: მამხილებლობა მამხილებელთა სამართლებრივი დაცვის მექანიზმები ევროკავშირში, 2013 წ.] http://issuu.com/transparencyinternational/docs/2013_whistleblowingineurope_en

მოდული 2.1.5: ანგარიშვალდებულება

მოდულის აღწერილობა

თანამედროვე ადმინისტრაცია ვალდებულია საკუთარი საქმიანობის ანგარიში წარადგინოს, იტვირთოს მასზე პასუხისმგებლობა და გამჭვირვალედ გაასაჯაროს თავისი მუშაობის შედეგები, აგრეთვე პასუხისმგებლურად უნდა მართოს მინდობილი ფინანსური რესურსები, მატერიალური აქტივები და ქონება. წინამდებარე მოდული იკვლევს, თუ როგორ შეუძლია თავდაცვის სექტორის სისტემებს სრულად განახორციელონ ანგარიშვალდებულების სამართლებრივი სტანდარტები და წახალისონ მსჯელობა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისადმი სხვადასხვა მიდგომაზე.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- ანგარიშვალდებულების ძირითადი პრინციპების ახსნა და ამ ცნების და სტანდარტების ისტორიული განვითარება;
- ანგარიშვალდებულების მარეგულირებელი ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტების წარმოდგენა საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე;
- თავდაცვის თანამედროვე სისტემებში ანგარიშვალდებულების არსებული დონის გაანალიზება, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით ქვეყანაზე, სადაც ხდება მოდულის განხორციელება;
- მსჯელობა ინტერესთა კონფლიქტის შემაკავებელ პოლიტიკაზე, რომელიც მიმართულია თავდაცვის სექტორის მუშაკთა ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის გაზრდაზე;
- თავდაცვის სექტორში მიღწეულ შედეგებზე ანგარიშვალდებულების სისტემის შექმნის საბაზისო საკითხების გააზრება;
- ანგარიშვალდებულების მექანიზმებთან დაკავშირებული კეთილსინდისიერების საკითხების გააზრება უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში.

სასწავლო მეთოდოლოგია/შეფასება

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Amanda Sinclair, The Chameleon of Accountability: Forms and Discourses, Accounting, Organization and Society, 1995:219-237. [ამანდა სინკლერი, ანგარიშვალდებულების ქამელეონი: ფორმები და დისკურსები, Accounting, Organization and Society, 1995:219-237.]
- Antonio B. Cendon, Accountability and

Public Administration: Concepts, Dimensions, Developments in Openness and Transparency in Governance: Challenges and Opportunities, NISPAcee and IEPA, 1999. [ანტონიო ბ. სენდონი, ანგარიშვალდებულება და საჯარო ადმინისტრაცია: ცნებები, განზომილებები, პროცესები მმართველობის ღიაობასა და გამჭვირვალობაში: გამოწვევები და შესაძლებლობები, NISPAcee and IEPA, 1999 წ.]

- Francisco Cardona, Guide to Good Governance No 2: Tackling Conflicts of Interest in the Public Sector, Centre for Integrity in the Defence Sector, Norwegian Ministry of Defence, 2015. [ფრანცისკო კარდონა, ინტერესთა კონფლიქტების მოგვარება საჯარო სექტორში, კარგი მმართველობის გზამკვლევი. no 2, თავდაცვის სექტორშივეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი, ნორვეგიის თავდაცვის სამინისტრო 2015 წ.]
- Melvin Dubnick, Clarifying accountability: an ethical theory framework, in C. Sampford, N. Preston, Public Sector Ethics, Routledge, 68-81, 1998. [მელვინ დუბნიკი, ანგარიშვალდებულების განმარტება: ეთიკური თეორიის ჩარჩო, კრებულიდან კ. სემპფორდის რედაქციით, ნ. პრესტონი, საჯარო სექტორის ეთიკა, Routledge, 68-81, 1998 წ.]
- OECD, Conflict of Interest Policies and Practices in Nine EU Member States: A Comparative Review, Sigma Papers, No. 36, OECD Publishing, 2007. [ეთგო, ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა და პრაქტიკა ევროკავშირის ცხრა წევრ ქვეყანაში: შედარებითი მიმოხილვა, Sigma Papers, No. 36, OECD Publishing, 2007 წ.]
- OECD, Managing Conflict of Interest in the Public Service: OECD Guidelines and Overview, OECD publishing, 2003. [ეთგო, ინტერესთა კონფლიქტის მართვა საჯარო სამსახურში: ეთგო-ს გაიდლაინები და მიმოხილვა, OECD publishing, 2003 წ.]
- OECD, Managing Conflict of Interest in the Public Service: OECD Guidelines and Overview, OECD publishing, 2003. [ეთგო, ინტერესთა კონფლიქტის მართვა საჯარო სამსახურში: ეთგო-ს გაიდლაინები და მიმოხილვა, OECD publishing, 2003 წ.]
- OECD Policy Brief, Public Sector Modernising Accountability and Control, OECD Observer, 2005. [ეთგო, ანალიტიკური ცნობა, საჯარო სექტორი ახდენს ანგარიშვალდებულების და კონტროლის მოდერნიზაციას, OECD Observer, 2005 წ.]
- Richard Mulgan, Accountability: an Ever-expanding Concept?, Public Administration, No 3, 2000:555-573. [რიჩარდ მალგენი, ანგარიშვალდებულება: მუდამ განვრცობადი ცნება?, Public Administration, No 3, 2000:555-573.]

მოდული 2.1.6: კონტროლი და ბალანსი

მოდულის აღწერილობა

კონტროლი და ბალანსი მექანიზმების ნაკრებია, რომელიც გვეხმარება შეცდომების, ან უჯერო ქცევის გამოვლინების შემცირებაში და იმავდროულად ზრდის ანგარიშვალდებულებას. ეს სისტემა ემყარება უფლებამოსილებების, პასუხისმგებლობების დანაწილებას და ინფორმაციის გაზიარებას, რაც მიზნად ისახავს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ცალკეულ პიროვნებას, ანდა ინსტიტუტს არ ექნება აბსოლუტური კონტროლი გადაწყვეტილებების მიღებაზე. ძალაუფლების კონცენტრაცია მთავარ კორუფციულ რისკ-ფაქტორად აღიქმება, მაშინ როდესაც ერთმანეთის გამაწონასწორებელი უფლებამოსილებების და გამჭვირვალობის სისტემა ხელს უწყობს დემოკრატიულ კონტროლს კორუფციაზე და არაეთიკურ ქცევაზე. კონტროლისა და ბალანსის სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტები შემდეგია: საპარლამენტო ზედამხედველობა, კორუფციასთან ბრძოლის სტრატეგია, კორუფციასთან ბრძოლის სპეციალიზირებული ორგანოები. ინტერესთა კონფლიქტის მოსაგვარებელი მექანიზმები, გამჭვირვალობის/ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფის მექანიზმები, გარე და შიდა აუდიტის მექანიზმები, ინსპექცია და ომბუდსმენის ინსტიტუტი. საკუთრივ აღნიშნული ცნების, კანონმდებლობის და სხვადასხვა სისტემების ანალიზის გზით მოდული განიხილავს იმას, თუ როგორ მოქმედებს კონტროლი და ბალანსი თავდაცვით ინსტიტუტებში.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- კონტროლისა და ბალანსის სისტემის განსაზღვრების შეთავაზება და მოცემული ცნების ისტორიული განვითარების აღწერა;
- კონტროლისა და ბალანსის მარეგულირებელი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების წარდგენა საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე;
- თავდაცვის სექტორებში ამჟამად მოქმედი კონტროლისა და ბალანსის სისტემების გაანალიზება, მათი ძლიერი, სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და გამოწვევების გამოკვეთით.

სასწავლო მეთოდოლოგია/შეფასება

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Daniel Lederman, Norman Loayza, Norman, Rodrigo Soares, Accountability and Corruption: Institutions Matter, Economics and Politics, Vol. 17, Issue 1, 2005. [დენიელ ლედერმანი, ნორმან ლოაიზა, როდრიგო სოარეს, ანგარიშვალდებულება და კორუფცია: ინსტიტუტები მნიშვნელოვანია, Economics and Politics, ტომი. 17, ნომერი 1, 2005 წ.]
- James Alt, David Lassen, Political And Judicial Checks on Corruption: Evidence from American State Governments, Economics and Politics, Vol. 20, Issue 1, 2007. [ჯეიმს ალტი, დევიდ ლასენი, პოლიტიკური და სასამართლო კონტროლი კორუფციაზე: ფაქტები ამერიკული შტატების მთავრობებიდან, Economics and Politics, ტომი 20, ნომერი 1, 2007 წ.],

მოდული 2.1.7: კანონის უზენაესობა

მოდულის აღწერილობა

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული სამართალი განსხვავებულია სხვადასხვა სისტემებში, მისი ზოგადად მიღებული განსაზღვრება შემდეგია, პრინციპების და წესების კრებული, რომელიც ვრცელდება საჯარო ადმინისტრაციის ორგანიზებასა და მართვაზე და ადმინისტრაციასა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობებზე. მოდული ხაზს უსვამს იმას, რომ კანონის უზენაესობის პრინციპები, როგორცაა მართლზომიერება, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების დასაბუთება, წვდომა ინფორმაციაზე, ანგარიშვალდებულება და ზეპირი მოსმენის უფლება საჯარო სამსახურის აღსრულების განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს, მათ შორის თავდაცვით ინსტიტუტებში.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- კანონის უზენაესობის განსაზღვრების და ცნების განმარტება და იმის ახსნა, თუ რატომაა იგი საჯარო ადმინისტრაციის ფუნქციონირების მთავარი კომპონენტი;
- იმის გაგება, თუ როგორ ხდება კანონის უზენაესობის კოდიფიცირება და პრაქტიკულად აღსრულება სხვადასხვა ქვეყნებში, ორგანიზაციებსა და თავდაცვით ინსტიტუტებში.

სასწავლო მეთოდოლოგია/შეფასება

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Rachel Kleinfeld, Advancing the Rule of Law Abroad: Next Generation Reform, Carnegie Endowment for International Peace, 2012. [რეიჩელ კლეინფილდი, კანონის უზენაესობის გავრცელება საზღვარგარეთ: შემდგომი თაობის რეფორმები, საერთაშორისო მშვიდობის კარნეგის ფონდი 2012 წ.]
- Richard Sannerholm, Shane Quinn, Andrea Rabus, Responsive and Responsible: Politically Smart Rule of Law Reform in Conflict and Fragile States, Folke Bernadotte Academy, 2016. [რიჩარდ სანერჰოლმი, შეინ ქუინი, ანდრეა რაბუსი, გულისხმიერი და პასუხისმგებლიანი: კანონის უზენაესობის პოლიტიკურად გამართული რეფორმები კონფლიქტით დაზარალებულ და შეუმდგარ სახელმწიფოებში, ფოლკე ბერნადოტის აკადემია, 2016 წ.] www.fba.se
- Tom Bingham, The Rule of Law, Allen Lane, Penguin Books, 2010. [ტომ ბინგჰემი, კანონის უზენაესობა, Allen Lane, Penguin Books, 2010 წ.]

მოდული 2.1.8: მიუკერძოებლობა

მოდულის აღწერილობა

მიუკერძოებლობის პრინციპი მოითხოვს საჯარო ადმინისტრაციის ორგანოებისგან, რომ მათ იმოქმედონ მიკერძოების გარეშე და მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესები დაიცვან, ხოლო სხვა ინტერესების გათვალისწინებისგან თავი შეიკავონ. პრაქტიკაში, მიუკერძოებლობა ხშირად მოითხოვს საჯარო მოხელეებისგან თავი შეიკავონ ისეთი თვალსაზრისების, პოზიციების, თუ ქმედებებისგან, რომლებიც ახდენს მიკერძოების დემონსტრირებას რომელიმე კონკრეტული შემთხვევის, თუ ქმედების სასარგებლოდ, ან მის წინააღმდეგ, მათ შორის თავი შეიკავონ მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის გამართლებისგანაც. პოლიტიკურად მიუკერძოებელი საჯარო სამსახური მხარს უჭერს ამომრჩეველთა მიერ ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის რიგებიდან არჩეულ მთავრობას და უარს აცხადებს უკანონო მითითებების, ანდა ეთიკურად საეჭვო ბრძანებების შესრულებაზე. მოდული მსჯელობს იმაზე, თუ რატომაა მიუკერძოებლობა მნიშვნელოვანი საჯარო ადმინისტრაციისთვის, თავდაცვით ინსტიტუტებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- იმის ახსნა, თუ რატომაა მიუკერძოებლობა ნებისმიერი კარგად გამართული საჯარო ადმინისტრაციული სისტემის არსებითი ელემენტი;
- მიუკერძოებლობის ცნების განმარტება მაგალითების მოშველიებით და იმის ახსნა, თუ რატომაა ის რელევანტური თავდაცვის სექტორისთვის.

სასწავლო მეთოდოლოგია/შეფასება

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Brian Head, Alexander Jonathan Brown, Carmel Connors, Promoting Integrity: Evaluating and Improving Public Institutions, Ashgate, 2008. [ბრაიან ჰედი, ალექსანდერ ჯონათან ბრაუნი, ქარმელ კონორსი, კეთილსინდისიერების ხელშეწყობა: საჯარო ინსტიტუტების შეფასება და გაუმჯობესება, Ashgate, 2008 წ.]
- Jan Teorell, The Impact of Quality of Government as Impartiality: Theory and Evidence, QoG Working Paper Series, 2009:25. [ჯენ ტეორელი, როგორ მოქმედებს მიუკერძოებლობა მთავრობის ხარისხიანობაზე: თეორია და მტკიცებულებები, პუბლიკაციების სერია მთავრობის ხარისხიანობაზე, 2009:25.] http://qog.pol.gu.se/digitalAssets/1350/1350721_2009_25_teorell.pdf

მოდული 2.1.9: სანდობა და პროგნოზირებადობა

მოდულის აღწერილობა

პროგნოზირებადობა მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული აპარატის ფუნქციონირებისთვის. საჯარო ადმინისტრაციის ქმედებების და გადაწყვეტილებების სანდობის და პროგნოზირებადობის წასახალისებლად მოწოდებულია ადმინისტრაციული სამართლის არაერთი პრინციპი და მექანიზმი. ადმინისტრაციული სამართლის ყველა ინსტიტუტი – ნორმატიული კანონმდებლობა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, სამართლებრივი საშუალებები, სამართლებრივი კონტროლი, ომბუდსმენი – სწორედ იმიტომ არსებობს, რომ ხელს უწყობდეს პროგნოზირებადობის ამაღლებას და სტაბილური მოლოდინების ჩამოყალიბების საშუალებას აძლევდეს მოქალაქეებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გადაწყდება მათი საქმეები.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- სანდობისა და პროგნოზირებადობის ცნების გაგება და იმის დადგენა, თუ როგორ ებმის იგი კანონის უზენაესობის იდეას;
- იმის გაგება, რომ კანონის უზენაესობა ყოველთვის წინააღმდეგობაში არ მოდის ადმინისტრაციულ დისკრეციასთან;
- იმის გარკვევა, თუ როგორ უწყობს ხელს პროპორციულობის პრინციპი სანდობას და პროგნოზირებადობას.

სასწავლო მეთოდოლოგია/შეფასება

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Stephanie Lindquist, Frank Cross, Stability, Predictability and the Rule of Law: State Decisions as Reciprocity Norm, University of Texas School of Law, 2008. [სტეფანი ლინდკვისტი, ფრენკ კროსი, სტაბილურობა, პროგნოზირებადობა კანონის უზენაესობა: შტატის გადაწყვეტილებები როგორც ნაცვალგების ნორმა, University of Texas School of Law, 2008 წ.] <https://law.utexas.edu/conferences/measuring/The%20Papers/Rule%20of%20Law%20Conference.crosslindquist.pdf>

მოდული 2.1.10: სტრატეგიული მიდგომა კეთილსინდისიერების ამაღლებისადმი

მოდულის აღწერილობა

კეთილსინდისიერების ამაღლებისადმი სტრატეგიული მიდგომა მოითხოვს საჯარო სექტორის მუშაკთა ეთიკის გაძლიერებას და თანაც უფრო მეტ გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. იმისთვის, რომ პოტენციურ დამრღვევთა დემოტივაცია მოვახდინოთ, აუცილებელია კორუმპირებული ქცევისგან მოსალოდნელი გამორჩენა შევამციროთ (მაქსიმალური მოგების შემცირებით) და გავზარდოთ მაქსიმალური საზღაური იმ პირთათვის, ვინც ფიქრობს ამგვარ ქმედებაში ჩაბმას.

კომპლექსური პროგრამის საჭიროება, კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად, მოითხოვს კომპონენტების/ფუნქციების იდენტიფიკაციას, რომელთა დამკვიდრებით სისტემას კეთილსინდისიერების ამაღლების უნარს შევძენთ. ხსენებულ ელემენტებში უნდა შედიოდეს: ქვეყნის შიგნით და სხვადასხვა ქვეყანას შორის არსებული კულტურული სხვაობები, ეთიკის/სტანდარტების ელემენტები (განსაკუთრებით შეიარაღებულ ძალებში), ინსტიტუტის სხვადასხვა დონეზე მოქმედი მაკონტროლებელი მექანიზმები (რომლებიც შესაძლო უსაქციელობის გამოსავლენად არეული გაფრთხილების სისტემის როლს ასრულებს), სხვადასხვა სიმკაცრის კონტროლი სხვადასხვა დონეზე, პრევენციული ზომების განხორციელების უნარი, მოკვლევის ჩატარების უნარი და სამართლებრივი დევნის და სიტუაციის გამოსწორების უნარი კორუფციული ქმედებების აღმოჩენისას (კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება).

მოდულის მიზანია სტრატეგიული მიდგომის მნიშვნელობის გაცნობიერება და თავდაცვის სექტორის პირადი შემადგენლობის განათლების აუცილებლობის გააზრება, რათა მათ შეძლონ მიღებული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელება

მოდულის სასწავლო ამოცანები

- თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლებისადმი სტრატეგიული მიდგომის იდეის გაგება;
- თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლებისადმი სტრატეგიული მიდგომის კომპონენტების/ფუნქციების დადგენა და გაანალიზება;
- თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლების მიზნით სტრატეგიული სისტემების მიერ გამოყენებული მიდგომების ფარგლებში ჯეროვანი და უჯერო ქცევის მაგალითების დასახელება (სიძლიერებები, სისუსტეები, შესაძლებლობები და გამოწვევები).

სასწავლო მეთოდოლოგია/შეფასება

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Ingrid Busterud, Stefanie O./ Nijssen, Integrity Action Plan – A Handbook for Practitioners in Defence Establishments, Centre for Integrity in the Defence Sector and Transparency International UK Defence and Security Programme, 2014. [ინგრიდ ბუსტერუდი, სტეფანი ო. ნისენი, კეთილსინდისიერების სამოქმედო გეგმა – თავდაცვის სტრუქტურებში მომუშავე პრაქტიკოსების სახელმძღვანელო, თავდაცვის სფეროში კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი და საერთაშორისო გამჭვირვალობა დიდი ბრიტანეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების პროგრამა, 2014 წ.]
- Mark Pyman, Anne-Christine Wegener, Building Integrity and Reducing Corruption in Defence: 20 Practical Reforms, Transparency International Defence and Security Programme, 2011. [მარკ პაიმენი, ენ-კრისტინ ვეგენერი, კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის შემცირება თავდაცვაში: 20 პრაქტიკული რეფორმა, საერთაშორისო გამჭვირვალობა, თავდაცვისა და უსაფრთხოების პროგრამა, 2011 წ.]
- Susan Pond, Mark Pyman, Integrity Self-Assessment Process: A Diagnostic Tool for National Defence Establishments, Transparency International, 2009. [სიუზან პონდი, მარკ პაიმენი, კეთილსინდისიერების თვით-შეფასების პროცესი: დიაგნოსტიკური ინსტრუმენტი ეროვნული თავდაცვის სტრუქტურებისთვის, საერთაშორისო გამჭვირვალობა, 2009 წ.]
- Todor Tagarev, Building Integrity and Reducing Corruption in Defence: A Compendium of Best Practices, NATO/DCAF, 2010. [ტოდორ ტაგარევი, კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის შემცირება თავდაცვაში: საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების ცნობარი, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, 2010 წ.]
- Valeri Ratchev, Civilianisation of the Defence Ministry: A Functional Approach to a Modern Defence Institution, DCAF, 2011. [ვალერი რაჩევი, თავდაცვის სამინისტროსთვის „სამოქალაქო“ იერის მიცემა: ფუნქციური მიდგომა თანამედროვე თავდაცვის სტრუქტურებისადმი, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, 2011 წ.]

ბლოკი მეორე: საჯარო ინსტიტუტების ფუნქციონირება

ბლოკის აღწერილობა

საჯარო ინსტიტუტები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ კეთილსინდისიერების ამაღლების ნებისმიერ პროგრამაში. მოცემული ბლოკის მიზანი კეთილსინდისიერების და კარგი მმართველობის კონტექსტში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გასააზრებლად აუცილებელი ცოდნის გადმოცემაში მდგომარეობს და ამასთან ერთად სამთავრობო ინსტიტუტების შესაბამისი როლების საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო განსაზღვრებების ანალიტიკურ გარჩევას გვთავაზობს და მათ შორის ურთიერთქმედებას აღწერს. დეტალურად იქნება განხილული ხელისუფლების სამივე შტო.

ბლოკის სასწავლო ამოცანები

- ხელისუფლების საპარლამენტო, აღმასრულებელი და სასამართლო შტოების მოვალეობების და პასუხისმგებლობების გაგება;
- იმის ახსნა, თუ როგორ წარმოადგენს შეიარაღებული ძალების და უსაფრთხოების სამსახურების დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლი კარგი მმართველობის პროცესის ნაწილს;
- იმის გაგება, თუ როგორ ქმნის ხელისუფლების დანაწილება კარგ მმართველობასთან და საჯარო ადმინისტრაციასთან ერთად პლატფორმას კეთილსინდისიერების ასამაღლებლად თავდაცვით ინსტიტუტებში.

განსახილველი საკითხები

- როგორ შეუძლია სხვადასხვა როლს და პასუხისმგებლობას წარმოშვას საპირისპირო ინტერესები?
- როგორ შეუძლია პოლიტიკურ კუთვნილებას და პოლიტიკურ როლებს მოახდინოს გავლენა ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შემადგენლობაზე?

გამოყენებული ლიტერატურა

- SMEs will work with host country to select appropriate references for each mini-module or lecture/session. [დარგის ექსპერტები გააგრძელებენ მასპინძელ ქვეყანასთან მუშაობას შესაბამისი გამოყენებული ლიტერატურის შესარჩევად თითოეული მინი-მოდულის, ან ლექცია/სესიისთვის.]

მოდული 2.2.1: აღმასრულებელი შტო

მოდულის აღწერილობა

ხელისუფლების დაყოფა სხვადასხვა შტოებად ხელისუფლების დანაწილების იდეის დედააზრს წარმოადგენს. აღმასრულებელი შტო ხელისუფლების ნაწილია, რომელსაც კანონების აღსრულების, თუ გამოყენების გზით სახელმწიფოს ყოველდღიური ადმინისტრირების უფლებამოსილება აქვს და პასუხისმგებლობა აკისრია. აღმასრულებელი შტო ასევე გამოსცემს რეგულაციებს, უწყებს მაღალ ეთიკურ სტანდარტებს სამთავრობო უწყებებს და ახორციელებს შეიარაღებული ძალების სარდლობას. ხელისუფლების ამ შტოში გარანტირებული უნდა იყოს პროცედურების, ინსტიტუტების და პროცესის მონაწილეთა (განსაკუთრებით საკვანძო თანამდებობის პირთა) კეთილსინდისიერება.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- აღმასრულებელი შტოს მოვალეობებში, პასუხისმგებლობებში, სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებში გარკვევა;
- იმის ახსნა, თუ როგორ ახორციელებს აღმასრულებელი შტო საკუთარ პასუხისმგებლობას საჯარო ადმინისტრაციის სისტემის მიმართ;
- აღმასრულებელი შტოს როლის გააზრება შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით და შეიარაღებულ ძალებზე და უსაფრთხოების სამსახურებზე სამოქალაქო კონტროლის ცნების, კეთილსინდისიერების სტანდარტების და პოლიტიკის კონტექსტში.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Joel Aberbach, Mark Peterson, The Executive Branch, Oxford University Press, 2005. [ჯოელ აბერბახი, მარკ პეტერსონი, აღმასრულებელი შტო, Oxford University Press, 2005 წ.]

მოდული 2.2.2: საკანონმდებლო შტო

მოდულის აღწერილობა

საკანონმდებლო შტო კანონშემოქმედი ორგანოა, რომელიც აღჭურვილია უფლებამოსილებით გამოსცეს, შეასწოროს და გააუქმოს სახელმწიფო პოლიტიკა. საკანონმდებლო შტო ახდენს მმართველობით საქმიანობაზე ზედამხედველობას და მის წარმართვას და ჩვეულებებისამებრ ფლობს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას შეასწოროს პროცესით გათვალისწინებული ბიუჯეტი, თუ ბიუჯეტები. თავდაცვის სექტორი რთული სფეროა ეფექტური ზედამხედველობისთვის, რადგან პარლამენტარებს მოეთხოვებათ ანგარიშვალდებულების მოთხოვნის ფარგლებში საკუთარი პასუხისმგებლობის აღსრულებისას გაითვალისწინონ საიდუმლოების გარკვეული დონის დაცვის აუცილებლობა. თუმცა, საკანონმდებლო პროცესი თავდაცვის სფეროში რამდენადაც შესაძლებელია უნდა უახლოვდებოდეს სამოქალაქო სფეროში მოქმედ პროცესს. გარდა ამისა, პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ თავდაცვითმა ინსტიტუტებმა იმოქმედონ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე და კონსტიტუციის და სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, რაც მათ საქმიანობას ანიჭებს კანონიერებას, ლეგიტიმურობას და კეთილსინდისიერს ხდის.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- საკანონმდებლო შტოს მოვალეობებში, პასუხისმგებლობებში, სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებში გარკვევა;
- საკანონმდებლო შტოს როლის გააზრება თავდაცვის სექტორის და ეროვნული უსაფრთხოების მართვის, კონტროლის და ანგარიშვალდებულების საკითხებში;
- იმის ახსნა, თუ როგორ ინარჩუნებენ პარლამენტარები შესაბამის ბალანსს საჯარო ანგარიშვალდებულებას და თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის საიდუმლოების დაცვის მოთხოვნას შორის, ამავე დროს შეიარაღებული ძალების სამოქალაქო მართვის პრინციპის შენარჩუნებით და მაღალი სამართლებრივი და ეთიკური სტანდარტების დაცვით.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Karre Strom, Rules, reasons and routines: Legislative roles in parliamentary democracies, The Journal of Legislative Studies 3, Issue 1, 1997. [კარე სტრომი, წესები, მოსაზრებები და რუტინები: საკანონმდებლო შტოს როლი საპარლამენტო დემოკრატიებში, The Journal of Legislative Studies 3, ნომერი 1, 1997წ.]
- Thomas Saalfeld, Wolfgang Muller, Roles in legislative studies: A theoretical introduction, The Journal of Legislative Studies, 3, Issue 1. [თომას საალფელდი, ვოლფგანგ მიულერი, როლები კანონმდებლობის კვლევაში: თეორიის შესავალი, The Journal of Legislative Studies, 3, ნომერი 1.]

მოდული 2.2.3: სასამართლო შტო

მოდულის აღწერილობა

სასამართლო შტო არის სამართლებრივი დევნის და სასამართლოთა სისტემა, რომელიც ეწევა კანონების ინტერპრეტაციას და გამოყენებას. სასამართლო შტო, გარდა ამისა, უზრუნველყოფს დავების მოგვარების მექანიზმს და ახორციელებს კონტროლს ადმინისტრაციული აქტების კანონიერებაზე. ხელისუფლების დანაწილების დოქტრინის თანახმად სასამართლო შტო ზოგადად არ წარმოადგენს კანონშემოქმედ, ან კანონის აღმასრულებელ ორგანოს, არამედ ახდენს კანონის ინტერპრეტაციას და გამოყენებას ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს სამართლებრივი ნორმების ცალკე კოდექსები, რომლებიც ახდენს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა ქცევის რეგლამენტირებას და ამისთვის ხშირად იყენებს განსხვავებულ სამართლებრივ მექანიზმებს ამ კანონების აღსასრულებლად. დამოუკიდებელი და ქმედითი სასამართლო შტო მოწოდებულია უზრუნველყოს საჯარო ინსტიტუტების და თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულება და სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მათ შორის თავდაცვის სტრუქტურებში. უკანონო და არაეთიკურ ქცევაში შემჩნეულ უმაღლესი თანამდებობის პირთა სამართლიანი და ქმედითი სანქცირება გადამწყვეტ როლს თამაშობს საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებაში საჯარო და თავდაცვითი ინსტიტუტებისადმი.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- სასამართლო შტოს ფუნქციებში გარკვევა თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების საკითხებზე ყურადღების გამახვილებით;
- იმის ახსნა, თუ როგორ უნდა წარმართავდეს სასამართლო სისტემა საჩივრების პროცედურას შეიარაღებული ძალებში უმაღლეს სამართლებრივ და ეთიკურ სტანდარტებზე დაყრდნობით;
- ადმინისტრაციული სამართლის სისტემის როლში გარკვევა აღმასრულებელი შტოს და საჯარო ადმინისტრაციის საქმიანობაში კანონის უზენაესობისა და კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის კუთხით, შეიარაღებულ ძალებზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Fabio Padovano, Grazia Sgarra, Fiorino, N. Judicial Branch, Checks and Balances and Political Accountability, Constitutional Political Economy, 2003:14-47. [ფაბიო პადოვანო, გრაცია სგარა, ნადინ ფიორინო, სასამართლო შტო, კონტროლი და ბალანსი და პოლიტიკური ანგარიშვალდებულება, Constitutional Political Economy, 2003:14-47.]

ბლოკი მესამე: კონტროლი და ბალანსი

ბლოკის აღწერილობა

კონტროლი და ბალანსი გადამწყვეტ როლს თამაშობს ისეთი სისტემების შექმნისას, რომლებიც ხელს უწყობს კეთილსინდისიერების ამაღლებას. წინამდებარე ბლოკი შეისწავლის სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობებს, საპარლამენტო ზედამხედველობას, სასამართლო კონტროლს, მას-მედიის როლს და ურთიერთობას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და კორუფციასთან ბრძოლის სპეციალიზირებულ ორგანოებთან, როგორც კონტროლისა და ბალანსის უზრუნველყოფის პოტენციურ საშუალებებთან. ამ საკითხების შესწავლა უფრო მეტ გაგებას გვძენს იმ ზემოქმედებაზე რასაც ზემოთხსენებული ფაქტორები ახდენს კეთილსინდისიერებაზე თავდაცვის სექტორში.

ბლოკის სასწავლო ამოცანები

- იმის გაგება, თუ როგორ ხორციელდება საპარლამენტო და სასამართლო ზედამხედველობა თავდაცვის სექტორში;
- სამოქალაქო საზოგადოების და მას-მედიის ურთიერთობებისა და როლების გააზრება, როგორც ინსტიტუციური ფაქტორების, რომლების გამოიყენება კეთილსინდისიერების ასამაღლებლად;
- იმის ახსნა, თუ როგორ ახორციელებენ ინიციატივებს კორუფციასთან ბრძოლის სპეციალიზირებული ორგანოები და როგორ თანამშრომლობენ თავდაცვით ინსტიტუტებთან მათი კეთილსინდისიერების ასამაღლებლად.

განსახილველი საკითხები

- კონტროლსა და ბალანსთან და კორუფციასთან ბრძოლის ქმედებებთან დაკავშირებული რა პრობლემები არსებობს თქვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოებასა და მას-მედიასთან ურთიერთობისას?
- რომელია პარლამენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტები თავდაცვის სექტორზე ზედამხედველობისთვის?
- როგორია სამოქალაქო საზოგადოებასა და შეიარაღებულ ძალებს შორის ურთიერთობა თქვენს ქვეყანაში?
- რა გავლენას ახდენს მას-მედია პოლიტიკურ მონაწილეობაზე და თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში კორუფციისა და მმართველობის საკითხთა საჯარო განხილვაზე?

სასწავლო მეთოდოლოგია

- მოცემული სასწავლო მეთოდოლოგია შეიცავს ექვს მოდულს, რომლებიც განიხილავს ზედამხედველობის ცალკეულ მექანიზმებს.

მოდული 2.3.1: სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობები

მოდულის აღწერილობა

მოცემული მოდული აღწერს ურთიერთობას მთლიანობაში სამოქალაქო საზოგადოებასა და მის დასაცავად შექმნილ შეიარაღებულ ძალებს და სამხედრო სტრუქტურებს შორის და იმას, თუ როგორ შეიძლება ამ პროცესის გამოყენება კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესის ხელშეწყობის მიზნით. უფრო ვიწრო გაგებით იგი აღწერს ურთიერთობას კონკრეტული საზოგადოების სამოქალაქო ხელისუფლებას და მის სამხედრო ხელმძღვანელობას შორის კეთილსინდისიერების ამაღლების საკითხებთან დაკავშირებით.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობების ცნების და კეთილსინდისიერების ამაღლების მიზნით თანამშრომლობის გააზრება;
- იმის გაგება, თუ რა მექანიზმები უდევს საფუძვლად სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობებს კეთილსინდისიერების ამაღლების სფეროში;
- სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობების თეორიის გაგება განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებთან მიმართებით, კეთილსინდისიერების ამაღლების კონტექსტში.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Samuel P. Huntington, *The Soldier and the State, The Theory and Politics of Civil-Military Relations*, Harvard University Press, 1981. [სემიუელ ჰანტინგტონი, ჯარისკაცი და სახელმწიფო, სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობების თეორია და პოლიტიკა, Harvard University Press, 1981 წ.]
- Thomas C. Bruneau, Florina Cristiana Matei, *The Routledge Handbook of Civil-Military Relations*, Routledge, 2013. [თომას ბრიუნო, ფლორინა კრისტინა მატეი, Routledge-ის სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობები ცნობარი, Routledge, 2013 წ.]

მოდული 2.3.2: საპარლამენტო ზედამხედველობა კეთილსინდისიერებაზე თავდაცვის სექტორში

მოდულის აღწერილობა

პარლამენტის საქმიანობა ზეგავლენას ახდენს კეთილსინდისიერებაზე თავდაცვის სექტორში, რაც მიიღწევა ბიუჯეტირების პროცესით, ხარჯების გასაკონტროლებლად დაწესებული ზედამხედველობის მექანიზმებით და თავდაცვის სექტორისგან საკანონმდებლო შტოს მიერ სანქცირებული პროგრამების შესრულებაზე ანგარიშგების მოთხოვნით.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- საკანონმდებლო შტოს და თავდაცვის სექტორის შორის ურთიერთქმედების გააზრება პროგრამების შეთავაზების და დაფინანსების პროცესში;
- სხვადასხვა საშუალებებში გარკვევა, რომელთა მეშვეობით პარლამენტი ახორციელებს ზედამხედველობას თავდაცვის სექტორზე, მათ შორის: საპარლამენტო კომიტეტებში გაგზავნილი ანგარიშები თავდაცვის პროგრამების ხარჯების მიმდინარეობის და ეფექტურობის შესახებ, პრობლემების წარგზავნა გენერალურ ინსპექციასა და აუდიტის ოფისებში დეტალური განხილვისათვის, უწყვეტი მსჯელობის ხელშეწყობა დაფინანსებული პროგრამების განხორციელებაზე;
- ხელისუფლების ამ შტოს მნიშვნელობის გააზრება და აღმასრულებელ შტოსთან მისი ურთიერთქმედების გაგება თავდაცვის მისიის განსაზღვრის და წარმართვის მიზნით.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Ceranic J, Parliamentary Oversight of the Defence Sector, in Alexandra Rabrenovic, Legal Mechanisms for Prevention of Corruption in Southeast Europe with Special Focus on the Defence Sector, Institute of Comparative Law, 2013. [სერანიკ ჯ., თავდაცვის სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა, კრებულში ალექსანდრა რაბრენოვიჩის რედაქციით, კორუფციის თავიდან აცილების სამართლებრივი მექანიზმები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით თავდაცვის სექტორზე, შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, 2013 წ.]
- Hans Born, Philippe Fluri, Anders Johnson, Parliamentary Oversight of the Security Sector: Principles Mechanisms and Practices, Handbook for Parliamentarians, Nr. 5, Inter-Parliamentary Union and Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces, 2002. [ჰანს ბორნი, ფილიპ ფლური, ანდერს ჯონსონი, თავდაცვის სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა: პრინციპები, მექანიზმები და პრაქტიკა, ცნობარი პარლამენტარებისათვის, Nr. 5, პარლამენტთაშორისი კავშირი და შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, 2002 წ.]
- Hans Born, Philippe Fluri, Simon Lunn, Oversight and Guidance: The Relevance of Parliamentary Oversight for the Security Sector, DCAF, 2010 [ჰანს ბორნი, ფილიპ

ფლური, სიმონ ლუნი, ზედამხედველობა და წარმართვა: უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის რელევანტურობა, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი DCAF, 2010 წ.]

- Katarina Djokic, Vladimir Erceg, Parliamentary Oversight and Integrity Building in Security Institutions, BCSP, 2014. [კატარინა ჯოკიჩი, ვლადიმერ ერცეგი, საპარლამენტო ზედამხედველობა კეთილსინდისიერების უსაფრთხოების სტრუქტურებში, ბელგრადის უსაფრთხოების საკითხთა შემსწავლელი ცენტრი BCSP, 2014 წ.]
- Simon Lunn S, The Democratic Control of Armed Forces in Principle and Practice, DCAF working paper, 2002. [სიმონ ლუნი, დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე პრინციპში და პრაქტიკაში, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის სამუშაო დოკუმენტი, 2002 წ.]
- Willem F. van Eekelen, Democratic Control of Armed Forces, DCAF, No. 2, 2002. [ვილემ ვან ეეკელენი, დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებული ძალებზე, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, No. 2, 2002 წ.]

მოდული 2.3.3: სასამართლო ზედამხედველობა კეთილსინდისიერებაზე თავდაცვის სექტორში

მოდულის აღწერილობა

სასამართლო შტო უზრუნველყოფს, რომ ქმედებები თავდაცვის სექტორის პროგრამების ფარგლებში, თუკი მოხდება მათი გასაჩივრება სასამართლოში, შეესაბამებოდეს მოქმედ კანონებს და რეგულაციებს კეთილსინდისიერების სტანდარტების ჩათვლით. სასამართლო შტო პასუხისმგებელია შემოსულ საქმეებზე, სადაც ფიგურირებს თავდაცვის სექტორის პირადი შემადგენლობა, გადაწყვეტილებების მიღებაზე იმასთან დაკავშირებით იყო თუ არა ჩადენილი კანონდარღვევა და სანქციების დაწესებაზე, თუკი ეჭვმიტანილი დამნაშავედ იქნება ცნობილი.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- სასამართლო სისტემის მიერ განხორციელებული ნაბიჯების გააზრება საჩივრების მიღებისა და დამუშავებისას;
- იმის გარკვევა, თუ როგორ ახდენდა სასამართლო სისტემა სამართლებრივი სტანდარტების ინტერპრეტაციას იმ კანონებზე, რეგულაციებზე და სასამართლო პრეცედენტებზე დაყრდნობით, რომლებიც მიესადაგება თავდაცვის სექტორის პირადი შემადგენლობის წევრის მიერ ჩადენილ საქციელს;
- საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებას და საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი შტოს მიერ იგივე, ან მსგავს საქმეებზე რეაგირების პროცესში განხორციელებულ შემდგომ ნაბიჯებს შორის დამოკიდებულების გააზრება.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- John McDaniel, The Availability and Scope of Judicial Review of Discretionary Military Administrative Decisions, Military Legal Review, Vol. 89, 1985. [ჯონ მაკდენიელ, სამხედრო-ადმინისტრაციულ დისკრეციულ გადაწყვეტილებებზე სასამართლო ზედამხედველობის არსებობა და სფერო, Military Legal Review, ტომი 89, 1985 წ.]
- Gerri Rubin, United Kingdom Military Law: Autonomy, Civilianisation, Juridification, The Modern Law Review, Vol. 65, No. 1, 2002. [გერი რუბინი, გაერთიანებული სამეფოს სამხედრო სამართალი: ავტონომია „სამოქალაქო“ იერის მიცემა, იურიდიზაცია, The Modern Law Review, ტომი 65, No. 1, 2002 წ.]

მოდული 2.3.4: მედია

მოდულის აღწერილობა

ზოგადად ითვლება, რომ მედია ორგანიზაციები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს დემოკრატიულ ქვეყნებში, თუმცა მათი გავლენა და ეფექტურობა განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. ზემოთქმულის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ მედია თავისუფლების უფრო მაღალი დონის მქონე ქვეყნები, სადაც შესაბამისად აღინიშნება პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფრო მაღალი ხარისხი და ნაკლები კორუფცია. მედიას შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება თავდაცვის სექტორის ზედამხედველობის მხრივ და აგრეთვე შეუცვლელი იყოს კორუფციის მხილებისას.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- მედიასა და კარგ მმართველობას შორის კავშირის გააზრება;
- თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესში მედიასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს და სახელმწიფოს, პოლიტიკური და კომერციული ერთეულების გავლენას შორის არსებული ურთიერთობის აღწერა;
- იმის განხილვა თუ როგორ და რატომ თამაშობს მედია მნიშვნელოვან როლს თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლების კონტექსტში?

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Peters, B., The media's role: covering or covering up corruption?, Global Corruption Report, Ch. 6, Transparency International, 2003. [ბ. პიტერსი, მედიას როლი: კორუფციის მიმოხილვა, თუ ხელის დაფარება?, გლობალური ანგარიში კორუფციაზე, თავი 6, საერთაშორისო გამჭვირვალობა, 2003 წ.]
- Rafael Di Tella, Ignacio Franceschelli, Government Advertising and Media Coverage of Corruption Scandals, American Economic Journal: Applied Economics 3(4), 2011. [რაფელ დი ტელა, იგნასიო ფრანჩესკელი, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან რეკლამირება და მედია კორუფციული სკანდალების მედია რეპორტაჟი, American Economic Journal: Applied Economics 3(4), 2011 წ.]

მოდული 2.3.5: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

მოდულის აღწერილობა

სამოქალაქო საზოგადოებას გაეროს აღწერილობის მიხედვით ეწოდება საზოგადოების „მესამე სექტორი“, ხელისუფლებასა და ბიზნესთან ერთად. იგი მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს. სულ უფრო და უფრო ფეხს იკიდებს ის აზრი, რომ განვითარების ხარვეზები შეიძლება დაიძლიოს მხოლოდ კარგი მმართველობის ინსტიტუტების შექმნით (მაგ. სამართლებრივი და საგადასახადო სისტემების) და სამოქალაქო საზოგადოების რეალური მონაწილეობით. კეთილსინდისიერების ამადლება კარგი მმართველობის, ამ ცნების ფართო გაგებით, განუყოფელი ნაწილია, რომელიც არსებითია საჯარო ინსტიტუტების საქმიანობაში ანგარიშვალდებულების შექმნისათვის, მათ შორის თავდაცვით ინსტიტუტებში. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა საგრძნობი წვლილი შეიძლება შეიტანონ თავდაცვითი ინსტიტუტების საქმიანობისთვის უფრო მეტი გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების შეძენით, მათ შორის ეთიკური სტანდარტების დაცვის და კეთილსინდისიერების გამუდმებით გაუმჯობესების გზით.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- იმის ახსნა, თუ როგორ შეუძლიათ სამოქალაქო საზოგადოების წევრებს შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორების მართვაში;
- იმის ახსნა, თუ როგორ შეუძლიათ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს იმის უზრუნველყოფა, რომ საჯარო ინსტიტუტებში (მათ შორის თავდაცვაში) წარმოებდეს მაღალი სამართლებრივი და ეთიკური სტანდარტების დანერგვა და მუდმივი გაუმჯობესება

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ADB/OECD Anti-Corruption Initiative in Asia and the Pacific, The role of civil society in curbing corruption in public procurement in Fighting Bribery in Public Procurement in Asia and the Pacific, Ch. 6, 2008. [აზიის განვითარების ბანკის/ეთგო-ს ანტი-კორუფციული ინიციატივა აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში, სამოქალაქო საზოგადოების როლი კორუფციის მოთოვვაში სახელმწიფო შესყიდვებისას, მექრთამეობასთან ბრძოლა სახელმწიფო შესყიდვებისას აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში, თავი 6, 2008 წ.]
- Alina Mungiu-Pippidi., The Experience of Civil Society as an Anti-Corruption Actor in East Central Europe, Civil Society Against Corruption, 2014. [ალინა მუნგიუ პიპიდი, სამოქალაქო საზოგადოების, როგორც კორუფციასთან მებრძოლის გამოცდილება აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, სამოქალაქო საზოგადოება კორუფციის წინააღმდეგ, 2014 წ.]

მოდული 2.3.6: -კორუფციასთან ბრძოლის სპეციალიზირებული ორგანოები

მოდულის აღწერილობა

კორუფციასთან ბრძოლის სპეციალიზირებული ორგანოების შექმნა ფართოდ განიხილება, როგორც კორუფციის აღაგმვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივა, როგორც ზოგადად საჯარო სექტორში, ასევე თავდაცვით ინსტიტუტებში. თუმცა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კორუფციასთან ბრძოლის ორგანოების ეფექტურობა დიდად განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კორუფციასთან ბრძოლის ქმედითი ორგანოები კარგად უნდა იყვნენ მომარაგებული რესურსებით, ჰყავდეთ მტკიცე, თვალშისაცემად კეთილსინდისიერი და თავდადებული ხელმძღვანელობა, ხოლო კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებების ჩატარებისას მოქმედებდნენ სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან ერთ ქსელში. მეორეს მხრივ, კორუფციასთან ბრძოლის უფრო სუსტი უწყებების საქმიანობა ხშირად მერყევ ხასიათს ატარებს სუსტი პოლიტიკური ნების გამო, რაც აისახება მწირ რესურსებში და კოლექტივის შეზღუდულ უნარიანობაში.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- თავდაცვის სექტორში კორუფციასთან ბრძოლის საკვანძო ორგანოების დადგენა (რისკის შეფასების პროცესის დახმარებით) და იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ისინი კორუფციასთან საბრძოლველად;
- იმის ახსნა, თუ რატომაა კორუფციასთან ბრძოლის ზოგი ორგანო წარმატებული, ზოგი კი წარუმატებელი;
- შეიარაღებულ ძალებში და თავდაცვით ინსტიტუტებში კორუფციასთან ბრძოლის ორგანოების წარმატებული საქმიანობისთვის საჭირო სპეციფიკური გარემოს განხილვა და აღწერა;
- თავდაცვის სექტორის სისტემებში კორუფციასთან ბრძოლის ორგანოებისთვის ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების და რესურსების დადგენა.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილ-

ვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Francisco Cardona, Anti-Corruption Policies and Agencies, Guide to Good Governance 3, Centre for Integrity in the Defence Sector, Norwegian Ministry of Defence, 2015. [ფრანცისკო კარდონა, კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა და უწყებები, კარგი მმართველობის გზამკვლევი. 3, თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამალგების ცენტრი, ნორვეგიის თავდაცვის სამინისტრო 2015 წ.]
- Eser Albin, Kubiciel Michael, Institutions against Corruption: A Comparative Study of the National Anti-corruption Strategies Reflected, GRECO's First Evaluation Round, 2004. [ესერ ალბინი, მიხაილ კუბიჩელი, ინსტიტუტები კორუფციის წინააღმდეგ: კორუფციასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიების შედარებითი კვლევა GRECO-ს პირველი შეფასების რაუნდის მასალების მიხედვით, 2004 წ.]
- Matic M, Specialised Anti-Corruption Agencies in Alexandra Rabrenovic A., Legal Mechanisms for Prevention of Corruption in Southeast Europe with Special Focus on the Defence Sector, Institute of Comparative Law, 2013. [მ. მატჩი, კორუფციასთან ბრძოლის სპეციალიზირებული უწყებები კრებულიდან ალექსანდრა რაბრენოვიჩის რედაქციით, კორუფციის პრევენციის სამართლებრივი მექანიზმები სამხეთ-აღმოსავლეთ ევროპაში თავდაცვის სექტორზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით, შედარებითი სამართალმცოდნეობის ინსტიტუტი, 2013 წ.]
- OECD, Specialised Anticorruption Institutions – Review of Models, OECD publishing, 2008. [ეთგო, კორუფციასთან ბრძოლის სპეციალიზირებული ინსტიტუტები – მოდელების მიმოხილვა, ეთგო-ს პუბლიკაციები, 2008 წ.]
- UNDP, Practitioners' Guide: Capacity Assessment of Anti-Corruption Agencies, UNDP publishing, 2011. [გაეროს განვითარების პროგრამა, პრაქტიკოსების გზამკვლევი: კორუფციასთან ბრძოლის უწყებების პოტენციალის შეფასება, გაეროს განვითარების პროგრამის პუბლიკაციები, 2011 წ.]

3

კეთილსინდისიერების ამაღლება
მართვასა და მომარაგებაში

თემის აღწერილობა

წინამდებარე თემა უზრუნველყოფს სტუდენტებს მთავარი კორუფციული რისკების გაგებით თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორების მართვისა და უზრუნველყოფის პროცესებში. იგი მიმოიხილავს ადამიანურ რესურსებს, ფინანსების მართვას და ბიუჯეტირებას, შეძენას და შესყიდვებს, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის კეთილსინდისიერებას და კეთილსინდისიერების გეგმების შემუშავებას.

თემის სასწავლო ამოცანები

- საკადრო რესურსების მართვის როლის ახსნა კორუფციის რისკების შემცირების მხრივ, მათ შორის გენდერის გავლენის განხილვა;
- თავდაცვის დაგეგმვის, ბიუჯეტირების და ფინანსების მართვის როლის ახსნა კორუფციის რისკების შემცირების კუთხით;
- შეძენასა და შესყიდვებში კორუფციის რისკების ახსნა, შეფასება და შემცირება;
- კეთილსინდისიერების როლის ახსნა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და კორუფციის რისკების შემცირებაში;
- შიდა კონტროლის და ბალანსის როლის ახსნა კორუფციასთან ბრძოლაში;
- იმაზე მსჯელობა, თუ როგორ უნდა მოხდეს კეთილსინდისიერების ამაღლების ეროვნული პროგრამების შემუშავება და მართვა.

განსახილველი საკითხები

- ვინაა თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესის მთავარი მონაწილე?
- რომელი ძირითადი საკითხები უნდა მოიცვას კეთილსინდისიერების ამაღლების გეგმამ?
- როგორ ახორციელებენ ქვეყნები თავიანთი კეთილსინდისიერების ამაღლების გეგმების აღსრულების მონიტორინგს და შეფასებას?
- როგორ შეუძლიათ ქვეყნებს ჩართონ კეთილსინდისიერების ამაღლება თავიანთ განათლების და მომზადების პროგრამებში?

სასწავლო მეთოდოლოგია

ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ლექცია, სიტუაციური ანალიზის, პრაქტიკული დავალებების შესრულება, ინტერვიუ, მიღებული გამოცდილების განზოგადება და ინსტრუქტორების მომზადება

თემების ჩამონათვალი

ბლოკი პირველი: ადამიანური რესურსების მართვა

მოდული 3.1.1: ადამიანური რესურსების სტრატეგია

მოდული 3.1.2: გადაწყვეტილებების მიღება ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით

მოდული 3.1.3: თანამდებობის პირთა ეთიკური ქცევა და მამხილებელთა დაცვა

მოდული 3.1.4: გენდერი

ბლოკი მეორე: ფინანსები და შესყიდვები

მოდული 3.2.1: თავდაცვის დაგეგმვა, ბიუჯეტირება და ფინანსების მართვა

მოდული 3.2.2: გამჭვირვალობა და კორუფციის რისკები შესყიდვებში

ბლოკი მესამე: კეთილსინდისიერების ამაღლების ფართო დანერგვა

მოდული 3.3.1: კეთილსინდისიერება გადაწყვეტილებების მიღებისას

მოდული 3.3.2: შიდა კონტროლი და ბალანსი

მოდული 3.3.3: კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამების შემუშავება და მართვა

ბლოკი პირველი: ადამიანური რესურსების მართვა

ბლოკის აღწერილობა

მოცემული ბლოკი გვთავაზობს სამართლებრივი და მარეგულირებელი მექანიზმების შესავალს, პრინციპებს და სტანდარტებს, რაც საფუძვლად უდევს ადამიანური რესურსების მართვის მოდელებს და თანაც არეგულირებს თანამედროვე და ქმედითი ადამიანური რესურსების მართვის სისტემებს საჯარო სექტორში, მათ შორის შეიარაღებულ ძალებსა და უსაფრთხოების სამსახურებში. აღნიშნული პრინციპები და სტანდარტები იცავს საჯარო მოხელეებს პოლიტიკური ძალაუფლების, ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისგან. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ისეთ აშკარა ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, როგორიცაა პროფესიული სტანდარტები, რომლებიც აუცილებელია როგორც ხელქვეითების მიმართ ხელმძღვანელ მუშაკთა ქცევის წარმართვისათვის, ასევე ადამიანური რესურსების მუშაკთა მოქცევის წესებით, ქცევის კოდექსებით, ეთიკით, კადრების დენადობის დამოუკიდებელი ინსტრუმენტებით, მეთოდებით და ა. შ. უზრუნველსაყოფად და, ამასთან ერთად ნაგულისხმები მეთოდებით, როგორიცაა ის, თუ როგორი ქცევაა მისაღები და აუცილებელი კარიერული ზრდისთვის და რა მოეთხოვებათ ხელმძღვანელ მუშაკებს, რომ იმოქმედონ სამართლიანად და მიუკერძოებლად ხელქვეითებისთვის პროფესიული და პირადი განვითარების შესაძლებლობების შეთავაზებისას.

ბლოკის სასწავლო ამოცანები

- ადამიანური რესურსების სტრატეგია: მოდულის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტებს შეეძლებათ: ჩაატარონ რაციონალური ფუნქციური ანალიზი; განსაზღვრონ ობიექტური ორგანიზაციული მოთხოვნები; განახორციელონ ადამიანური რესურსების სტრატეგიული დაგეგმარება, ისეთი ქმედითი წახალისების სისტემის ჩათვლით, რომელიც არ დაემორჩილება ზეწოლას; და შეიმუშავონ სამოქალაქო პირადი შემადგენლობის უფლებების დაცვის სისტემები და პროფესიული სტანდარტები ხელმძღვანელ და კადრების მუშაკთათვის რესურსებზე ორიენტირებული მიდგომის პოზიციიდან;
- ადამიანური რესურსების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება: მოდულის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტები შეძლებენ: გააცნობიერონ გამჭვირვალობის მნიშვნელობა ადამიანური რესურსების მართვის პროცესში ადამიანური რესურსების მართვის თითოეული კომპონენტის რისკების და პრობლემების წარმოქმნის მიზეზებზე ყურადღების გამახვილებით (მაგ. რისკების საკვანძო ინდიკატორების გამოყენებით); შეიმუშავონ სამართლიანი და გამჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღების პროცესი საკადრო საკითხებთან დაკავშირებით; და განსაზღვრონ აუცილებელი ინსტიტუციური წინაპირობები, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციები;
- ოფიციალური პირების ეთიკა, ქცევა და მამხილებელთა დაცვა: მოდულის წარმატებით გა-

ვლის შემდეგ სტუდენტებს შეეძლებათ: განსაზღვრონ ადამიანური რესურსების მართვის როლი ეთიკისა და მორალური საქციელის მოთხოვნათა დაწესებაში, მამხილებელთა დაცვასა და უკანონო ქმედებათა შეტყობინების პროცედურაში; იმსჯელონ სპეციალური სამხედრო წესების და დაცვის ზომების ზეგავლენაზე; გაიგონ, თუ როგორ ხორციელდება ეთიკისა და ქცევის რეგულირება ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმების დახმარებით;

- გენდერი: მოდულის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტებს შეეძლებათ: აღწერონ გენდერთან დაკავშირებული რისკები ადამიანური რესურსების მართვის პროცესში; იმსჯელონ და შეაფასონ აღნიშნული პრობლემების პრევენციულ და ინსტიტუციური რეაგირების მექანიზმებზე.

განსახილველი საკითხები

- ადამიანური რესურსების მართვის რა ძირითადი წესები, როლები და რეგულაციები მოქმედებს?
- რომელია კორუფციის მთავარი რისკები ამ სფეროში და რა სახის საკვანძო ინდიკატორები შეიძლება გამოვიყენოთ ამ რისკების არსებობის და მასშტაბის აღმოსაჩენად?
- როგორ შეიძლება უზრუნველყოთ გაწონასწორებული, გამჭვირვალე მიდგომა ადამიანური რესურსების ქმედითი მართვის მისაღწევად?
- რა განათლება სჭირდება ადამიანური რესურსების ექსპერტების და ხელმძღვანელების ცოდნის განვითარებას კადრების სფეროში?
- როგორ შეუძლია ქცევის კოდექსს და ეთიკურ მიდგომას დაეხმაროს ადამიანური რესურსების მართვის სისტემას კორუფციის რისკის შემცირებაში? რომელი საკვანძო ეთიკური წესები შეგვიძლია გამოვიყენოთ თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორების კადრების მართვაში?
- როგორ შევქნათ მამხილებელთა დაცვის სისტემა?
- როგორ გვეხმარება/აფერხებს კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივების განხორციელებაში კეთილსინდისიერება/კორუფცია ადამიანური რესურსების სფეროში?

სასწავლო მეთოდოლოგია

- სასწავლო მეთოდოლოგია მოიცავს ოთხ მოდულს, რომელთაგან თითოეული განიხილავს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და კეთილსინდისიერების დონის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ერთ კონკრეტულ პრინციპს ან/და სტანდარტს ადამიანური რესურსების მართვის სფეროში. ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ლექცია, სიტუაციური ანალიზი, პრაქტიკული დავალებების შესრულება, ინტერვიუ, მიღებული გამოცდილების განზოგადება.

მოდული 3.1.1: ადამიანური რესურსების სტრატეგია

მოდულის აღწერილობა

მოცემული მოდული გვაწვდის საბაზისო ცოდნას, თუ როგორ ჩავატაროთ ფუნქციების ანალიზი ადამიანური რესურსების სისტემების სხვადასხვა დონეზე. გარდა ამისა, იგი გვთავაზობს იმ აუცილებელი მოთხოვნების ცოდნასაც, რაც სასწავლო კურსების მეშვეობით წახალისების/დაწინაურების ისეთი ქმედითი სისტემის შექმნაში გვეხმარება, რაც თანამშრომელთა უფლებების დაცვას ემსახურება.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- ადამიანური რესურსების სისტემის რაციონალური ფუნქციური ანალიზის ჩატარება;
- ორგანიზაციული მოთხოვნების განსაზღვრა ორი თვალსაზრისით: პირადი შემადგენლობის/სამოქალაქო პერსონალის ბალანსი და კადრების სპეციალისტების და (უფროს) ხელმძღვანელ მუშაკთა კომპეტენტურობისადმი წაყენებული მოთხოვნები;
- ადამიანური რესურსების სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობის გააზრება წახალისების/დაწინაურების ქმედითი სისტემის შექმნის ჩათვლით, რომელსაც შეუძლია გაუძლოს ზეწოლას, ორგანიზაციის მოთხოვნა - მიწოდების ბალანსის უზრუნველყოფისას და თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის/პირადი ცხოვრების წონასწორობის დაცვის გზით, სისტემის და ცალკეული პიროვნებების კეთილსინდისიერების შენარჩუნებას ისახავს მიზნად;
- კეთილსინდისიერების სფეროში შედეგების დონეზე ადამიანური რესურსების დაგეგმვით გამოწვეული ხარვეზების აღმოჩენა: შრომითი რესურსების სქემები (მაგ. ბალანსი სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო თანამშრომლებს შორის); ორგანიზაციული სტრუქტურა და განვითარება (მაგ. ჯგუფის რიცხოვნება და სტრუქტურა, ცენტრალიზაციის დონე, ქვეკონტრაქტორების გამოყენება); რეკრუტირება და შერჩევა (მაგ. საჭირო უნარების და გამოცდილების კომბინაცია, კანდიდატთა მთავარი წყაროები თანამდებობის დასაკავებლად, შესაფერის კანდიდატთა მიზიდვის მეთოდები, პერსონალის რეკრუტირების მორატორიუმები); შრომითი რესურსების მრავალფეროვნება (მაგ. თანაბარი შესაძლებლობები, სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნების ტრენინგი); ანაზღაურება და დაჯილდოება (ფინანსური და არა-ფინანსური ჯილდოების კომბინაცია); შრომის ეფექტურობის და ნაყოფიერების მართვა (მაგ. სამსახურობრივი ატესტაცია, შრომის ნაყოფიერებაზე მიბმული წახალისება); კადრების შენარჩუნება (მაგ. ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა, თანამშრომელთა განვითარება, სამუშაო პირობები); ტრენინგი და განვითარება (მიდგომები, თანამდებობაში შესვლის/ორიენტაციის პროგრამები, ტრენინგის პროგრამები, განვითარების შეფასებები, განათლება); შრომითი ურთიერთობები (კომუნიკაცია, გასაჩივრების და დისციპლინური პროცედურები); გათავისუფლება (მაგ. კადრების ბუნებრივი კლება, დათხოვნის მუშაკთა შრომითი მოწყობა, ზედმეტი კადრების შემცირებები);
- ინტეგრაციული და კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული მრავალსისტემური მიდგომის აუცილებლობის გააზრება თანამშრომელთა კარიერის მართვის, კომპენსაციის და პენსიაში გასვლის სფეროში;

- თანამშრომელთა უფლებების დაცვის მექანიზმებში გარკვევა.

სასწავლო მეთოდოლოგია/შეფასება

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Albert A. Robbert, Brent R. Keltner, Kenneth J. Reynolds, Mark D. Spranca, Beth A. Benjamin, Differentiation in Military Human Resource Management, RAND, 1997. [ალბერტ რობერტი, ბრენტ კელტნერი, კენეტ რეინოლდსი, მარკ სპრანკა, ბეთ ბენჯამინი, დიფერენცირება სამხედრო ადამიანური რესურსების მართვაში, RAND, 1997 წ.]
- Anthony Hartle, Moral issues in military decision making, University Press of Kansas, 1989. [ენტონი ჰარტლი, მორალური საკითხები სამხედრო გადაწყვეტილებების მიღებისას, University Press of Kansas, 1989 წ.]
- Carol Gill, Use of Hard and Soft Models of HRM to illustrate the gap between Rhetoric and Reality in Workforce, No. WP 99/13, 1999. [კეროლ გილი, ადამიანური რესურსების მართვის რბილი და ხისტი მოდელების გამოყენება შრომით კოლექტივში რიტორიკასა და რეალობას შორის არსებული ნაპრალის საილუსტრაციოდ, No. WP 99/13, 1999 წ.]
- California State Department Of Finance, Strategic Planning Guidelines, 1998. [კალიფორნიის შტატის ფინანსთა დეპარტანტის, სტრატეგიული დაგეგმვის გაიდლაინები, 1998 წ.] <https://www.calhr.ca.gov/Documents/wfp-department-of-finance-strategic-plan-guidelines.pdf>
- Elliot Turiel, The development of Social Knowledge: Morality and Convention, Cambridge University Press, 1983. [ელიოტ ტურიელი, სოციალური ცოდნის განვითარება: მორალი და პირობითობა, Cambridge University Press, 1983 წ.]
- Harry Thie, A Future Officer Career Management System: An Objectives-based Design, Rand, 2001. [ჰარი თი, მომავალი ოფიცრის კარიერის მართვის სისტემა: ამოცანებზე დაფუძნებული სქემა, Rand, 2001 წ.]
- Harry J. Thie, Roland J. Yardley, Margaret C. Harrell, Kevin Brancato, Alignment of Department of Defense Manpower, Resources, and Personnel Systems, RAND, 2007. [ჰარი თი, როლანდ იარდლი, მარგარეტ ჰარელი, კევინ ბრანკატო, თავდაცვის დეპარტამენტის სისტემების შეთანხმებულობა შრომითი კონტიგენტის, რესურსების პირადი შემადგენლობის სისტემების ნაწილში, RAND, 2007 წ.]
- Lawrence M. Hinman, Ethics: A pluralistic approach to moral theory. Ft Worth: Harcourt Brace & Co., 2004. [ლორენს ჰინმანი, ეთიკა: პლურალისტული მიდგომა მორალის თეორიისადმი. Ft Worth: Harcourt Brace & Co., 2004 წ.]
- Michael Armstrong, Strategic Human Resource Management: A guide to action, Kogen Page, Cambridge University Press, 2006. [მაიკლ არმსტრონგი, სტრატეგიული ადამიანური რესურსების მართვა: სამოქმედო სახელმძღვანელო, Kogen Page, Cambridge University Press, 2006 წ.]
- NATO HRM Framework. [ნატო-ს ადამიანური რესურსების მართვის ჩარჩო მექანიზმი] [http://ftp.rta.nato.int/public//PubFullText/RTO/TR/RTO-TR-SAS-059///\\$TR-SAS-059-Report.pdf](http://ftp.rta.nato.int/public//PubFullText/RTO/TR/RTO-TR-SAS-059///$TR-SAS-059-Report.pdf)
- Wayne Brockbank, David Ulrich, Mike Ulrich, Jon Younger, HR from the Outside In Six Competencies for the Future of Human Resources, McGraw-Hill, 2012. [უეინ ბროკბენკი, დევიდ ულრიხი, მაიკ ულრიხი, ჯონ იანგერი, გარედან დანახული ადამიანური რესურსები კომპეტენციების ექვსი სფერო მომავალი ადამიანური რესურსებისთვის, McGraw-Hill, 2012 წ.] <http://mams.rmit.edu.au/d4lhtsmk45c.pdf>

მოდული 3.1.2: გადაწყვეტილებების მიღება ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით

მოდულის აღწერილობა:

მოცემული მოდული გვასწავლის თუ რა მიდგომების გამოყენება შეუძლიათ ადამიანური რესურსების სპეციალისტებს საკუთარი გადაწყვეტილებების პროცესის გამჭვირვალობის მისაღწევად.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- ადამიანური რესურსების პროცესებში გამჭვირვალობის საჭიროების გააზრება, გამჭვირვალობის დანერგვისას წარმოქმნილი რისკების და ამ რისკების წარმომშობი მიზეზების გათვალისწინებით ადამიანური რესურსების მართვის თითოეულ კომპონენტში (მაგ. რისკების საკვანძო ინდიკატორების გამოყენებით);
- გადაწყვეტილებების მიღების უნარების მნიშვნელობის გააზრება კარგი მმართველობის პრინციპებზე დაყრდნობით;
- ადამიანური რესურსების სფეროში სამართლიანი და გამჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღების პროცესების შემუშავება;
- აუცილებელი ინსტიტუციური წინაპირობები განსაზღვრა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციების.

სასწავლო მეთოდოლოგია/შეფასება

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Andras Hugi, Prevention and combating corruption: for conducting the training course in the educational establishments of the Border Guard and Customs agencies, OSCE, EUBAM, 2013. [ანდრას ჰუგი, კორუფციის პრევენცია და მასთან ბრძოლა: სახელმძღვანელო საზღვრის დაცვის და საბაჟო უწყებების სასწავლო დაწესებულებებში სწავლების კურსის ჩასატარებლად, ეუთო, ევროკავშირის სასაზღვრო დახმარების მისია, 2013 წ.] <http://www.antykorupcja.gov.pl/download/4/13971/entionandCombatingCorruptionManualMoldawiaNACC.pdf>
- Kirsten Edwards, Dr. Martin Edwards, Predictive HR Analytics, Kogan Page, 2016. [კირსტენ ედვარდსი, დოქტ. მარტინ ედვარდსი, ადამიანური რესურსების პროგნოზირებადი ანალიტიკა, Kogan Page, 2016 წ.]
- Patricia Ward Biederman, James O'Toole, Daniel Goleman, Warren Bennis, Transparency: How Leaders Create a Culture of Candor, Jossey-Bass, 2008. [პატრიცია ვარდ ბიდერმანი, ჯეიმს ო'ტოლი, დენიელ გოულმანი, უორენ ბენისი, გამჭვირვალობა: როგორ ქმნიან ლიდერები მიუკერძოებლობის კულტურას, Jossey-Bass, 2008 წ.]

მოდული 3.1.3: თანამდებობის პირთა ეთიკური ქცევა და მამხილებელთა დაცვა

მოდულის აღწერილობა

აღნიშნული მოდული სთავაზობს სტუდენტებს ეთიკური და მორალური ქცევის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებზე დაყრდნობით ადამიანური რესურსების სისტემის შესაქმნელად აუცილებელ ცოდნას. გარდა ამისა იგი აცნობს მამხილებელთა დაცვის და ინფორმაციის უსაფრთხო მართვის იდეებს.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- ადამიანური რესურსების მართვის როლის განსაზღვრა ეთიკური და მორალური ქცევის, მამხილებელთა დაცვის და უკანონო ქმედებების შეტყობინების მოთხოვნების დადგენაში;
- სპეციალური სამხედრო წესების და დაცვის ზომების ზეგავლენაზე მსჯელობა;
- კონსულტაციური პროცედურების, ინფორმაციაზე წვდომის, ეფექტურობის კრიტერიუმების და საჯარო ანგარიშვალდებულების მნიშვნელობის ხაზგასმა ადამიანური რესურსების მართვის სფეროში;
- იმის გააზრება, თუ როგორ შეიძლება ეთიკისა და ქცევის რეგულირება ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმებით.

სასწავლო მეთოდოლოგია/შეფასება

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- OECD, Protecting Whistleblowers: Encouraging Reporting, 2012. [ეთიკა, მამხილებელთა დაცვა: შეტყობინების წახალისება, 2012 წ.] <http://www.oecd.org/cleangovbiz/toolkit/50042935.pdf>

მოდული 3.1.4: გენდერი

მოდულის აღწერილობა

წინამდებარე მოდული აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას გენდერთან დაკავშირებული კორუფციის რისკების შესახებ ადამიანური რესურსების მართვის პროცესში.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- ადამიანური რესურსების მართვის პროცესში გენდერთან დაკავშირებული კორუფციის რისკების გაგება და აღწერა;
- აღნიშნული პრობლემების პრევენციის და შერბილების მეთოდების და ინსტიტუციური რეაგირების მექანიზმების განხილვა და შეფასება.

სასწავლო მეთოდოლოგია/შეფასება

- სწავლება მოიცავს ლექციებს, კონკრეტულ მაგალითებს, პლენარულ და ჯგუფებში განხილვას, თვითშეფასების დღიურების წარმოებას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Kirsten Edwards, Martin Edwards, Predictive HR Analytics, Kogan Page, 2016. [კირსტენ ედვარდსი, დოქტ. მარტინ ედვარდსი, ადამიანური რესურსების პროგნოზირებადი ანალიტიკა, Kogan Page, 2016 წ.]
- Max Muller, The Manager's Guide to HR, 2nd Edition, AMACOM, 2013. [მაქს მიულერი, ადამიანური რესურსების გზამკვლევი ხელმძღვანელ მუშაკთათვის, 2-ე გამოცემა, AMACOM, 2013 წ.]
- NATO ACT Gender Training Package. [ნატო-ს გარდაქმნის სტრატეგიული სარდლობის გენდერის სასწავლო პაკეტი.] <http://www.act.nato.int/gender-training-documents>
- Transparency International, Gender, Inequality and Corruption – What are the linkages?, 2004. [საერთაშორისო გამჭვირვალობა, გენდერი, უთანასწორობა და კორუფცია – რა კავშირები არსებობს?, 2004 წ.] http://file.sttransparency.org/content/download/1067/9235/file/2014_Policybrief1_GenderEqualityCorruption_EN.pdf

ბლოკი მეორე: ფინანსები და შესყიდვები

ბლოკის აღწერილობა

აღნიშნული ბლოკი აცნობს სტუდენტებს ფინანსების მართვის და შესყიდვების მთავარ ასპექტებს თავდაცვის სფეროში და ხაზს უსვამს ამ სფეროების მნიშვნელობას კორუფციის პრევენციის კუთხით. ფინანსები და შესყიდვები ის სფეროებია, რომლებიც მეტად მოწყვლადია კორუფციის წინაშე და კორუფციის ძირითადი რისკების, ისევე როგორც მათთან ბრძოლის მეთოდების მკაფიოდ გააზრებას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ბლოკის სასწავლო ამოცანები

- თავდაცვის სტრატეგიის და ოპერატიული ბიუჯეტირების პროცესის გააზრება;
- ბიუჯეტირების პროცესის და ფინანსური კორუფციის რისკების გაგება;
- იმის ახსნა, თუ როგორ უნდა მოხდეს გამჭვირვალობის მაქსიმალურად გაზრდა და კორუფციის რისკების მინიმუმამდე დაყვანა თავდაცვის სექტორის ფინანსების მართვის სფეროში;
- შესყიდვების სფეროში არსებული კორუფციის რისკების განსაზღვრა და შეფასება და მათი მართვა შესყიდვების სრული ციკლის განმავლობაში (შერჩევის რისკები, ტენდერების რისკები, საკონტრაქტო რისკები, ვალდებულებათა შესრულების რისკები);
- ინტერესთა კონფლიქტის, ურთიერთ ჩათვლების, სახელმწიფო-კერძო სექტორის თანამშრომლობის და მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში თანმდევი ხარჯების გაგება და ახსნა და თუ როგორ უკავშირდება ეს კორუფციის რისკებს.

განსახილველი საკითხები

- რა უპირატესობები და კორუფციის რისკები ახლავს პროგრამების დაფინანსებას?
- როგორ შეუძლიათ თავდაცვის სამინისტროებს მოთხოვნების პრიორეტიზაცია და რესურსების შესაბამისად განაწილება?
- რომელი ძირითადი კორუფციის რისკები ახლავს შესყიდვებს?
- როგორ გვეხმარება თანმდევი ხარჯების გათვლა მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში კორუფციის პრევენციაში?
- როგორ უნდა დავაზალანსოთ ეფექტურობა და გამჭვირვალობა შესყიდვების ციკლში?

სასწავლო მეთოდოლოგია

- ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ლექცია, სიტუაციური ანალიზი, პრაქტიკული დავალებების შესრულება, ინტერვიუ, მიღებული გამოცდილების განზოგადება.

მოდული 3.2.1: თავდაცვის დაგეგმვა, ბიუჯეტირება და ფინანსების მართვა

მოდულის აღწერილობა

მოცემული მოდული მიმოიხილავს თავდაცვის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებას, ისევე როგორც დაგეგმვას, ბიუჯეტირებას და რესურსების მართვას, რომლებიც წარმოადგენს იმ სფეროებს, სადაც აუცილებელია გაზრდილი გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, ეფექტურობა და ქმედითობა თავდაცვის სამინისტროებში. მოდული ასევე განიხილავს ხარვეზების გამოცნობას და რისკების თავიდან აცილებას.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- ბიუჯეტირების პროცესის და ფინანსური კორუფციის რისკების გაგება;
- თავდაცვის სფეროს დაფინანსების მოდელის გაგება, კერძოდ თავდაცვის სტრატეგიული დაგეგმვის და ოპერატიული ბიუჯეტირების აცდენის თავიდან აცილების მნიშვნელობის გააზრება;
- თავდაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალობის დანერგვის გზების და საშუალებების განხილვა;
- თავდაცვის მთლიანი ბიუჯეტის დაგეგმვის, პროგრამირების, ბიუჯეტირების და აღსრულების ციკლის თანხლები რისკების გაგება კონკრეტული საბიუჯეტო პრობლემების მიღმა;
- კორუფციის რისკების გაგება და ბიუჯეტირებისას მათი დამლევითვის აუცილებელი გამჭვირვალობის ღონისძიებების გააზრება.

განსახილველი საკითხები

- რომელია პროგრამების ბიუჯეტირების სისტემის მთავარი კომპონენტები?
- რა უპირატესობას იძლევა პროგრამების ბიუჯეტირება?
- რა ზემოქმედება აქვს დაგეგმვის და ბიუჯეტირების პროცესს რესურსებზე?
- როგორ საზღვრავენ თავდაცვის სამინისტროები თავდაცვის სექტორის პრიორიტეტებს და როგორ ხდება მათი დაწყობა რესურსების შესაბამისად?
- რა შედეგები მოყვება კორუფციას თავდაცვის სისტემების ფინანსური სახსრების მართვაში?

სასწავლო მეთოდოლოგია

- ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ლექცია, სიტუაციური ანალიზი, პრაქტიკული დავალებების შესრულება, ინტერვიუ, მიღებული გამოცდილების განზოგადება.

გამოყენებული ლიტერატურა

- Anderson, Douglas J. and Eubanks, Gina, Leveraging COSO across the three lines of defense, The Institute of Internal Auditor, 2005. [დუგლას ანდერსონი და ჯინა იუბენქსი, COSO-ს შიდა კონტროლის ინტეგრირებული ჩარჩო მოდელის გამოყენება თავდაცვის სამ ხაზზე, შიდა აუდიტის ინსტიტუტი, 2005 წ.]
<http://www.coso.org/documents/COSO-2015-3LOD-PDF.pdf>
- CIDS, Integrity Action Plan - a handbook for practitioners in defence establishments, 2014. [თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი, კეთილსინდისიერების სამოქმედო გეგმა - თავდაცვის სტრუქტურებში მომუშავე პრაქტიკოსების სახელმძღვანელო, 2014 წ.]
http://cids.no/wp-content/uploads/2014/12/Integrity-Action-Plan-handbook_web.pdf
- DCAF, Building Integrity and Reducing Corruption in Defence: A Compendium of Best Practices, 2010. [შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის შემცირება თავდაცვის სფეროში: საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების ცნობარი, 2010 წ.]
http://www.nato.int/nato_static/assets/pdf/pdf_topics/20120607_BI_Compendium_EN.pdf
- Transparency International – Defence and Security Programme, The Transparency of National Defence Budgets, 2011. [საერთაშორისო გამჭვირვალობა – თავდაცვისა და უსაფრთხოების პროგრამა, ეროვნული თავდაცვის ბიუჯეტების გამჭვირვალობა, 2011 წ.]

მოდული 3.2.2: გამჭვირვალობა და კორუფციის რისკები შესყიდვებში

მოდულის აღწერილობა

მოცემული მოდული აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას გაიგონ შეძენის პროცესის მთავარი ელემენტები (შესყიდვა, კონტრაქტირება, ხარჯების ანალიზი, მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში თანმდევი ხარჯების გამთვლელი მოდელების შემუშავება, კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობა), კორუფციის რისკები, რომლებიც ახლავს შეძენის პროცესს და მათი პრევენციის, ან შემცირების მექანიზმები. კორუფციის მთავარი რისკების ჩამოთვლის გარდა სტუდენტებს შეეძლება კორუფციის რისკის დონის შეფასება სხვადასხვა სცენარის და გარემოს პირობებში.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- შესყიდვების სფეროში არსებული კორუფციის რისკების განსაზღვრა და შეფასება და მათი მართვა შესყიდვების სრული ციკლის განმავლობაში (შერჩევის რისკები, ტენდერების რისკები, საკონტრაქტო რისკები, ვალდებულებათა შესრულების რისკები);
- შერჩევის რისკების შეფასება (სისტემის მოთხოვნათა ჩამოყალიბების, სტრატეგიული დაგეგმვის და ოპერატიული ბიუჯეტირების აცდენის, მინიმალური მოთხოვნების, შესასყიდი საქონლის ოდენობების ჩათვლით);
- ტენდერების რისკების შეფასება (მათ შორის იმ რისკის, რომელიც ახლავს არჩევანს დაბალ ღირებულებას და სარგებელს შორის, მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში თანმდევი ხარჯების, მოწოდების ერთადერთი წყაროს და არაკონკურენტული პროცესების ბოროტად გამოყენების, ტენდერის მონაწილეთა შეთქმულების და ფასების დაფიქსირების, ხარჯების რეალურობის ხარისხთან შედარებით, კერძო მომწოდებელთა შეთქმულების, „საიდუმლო“ გრიფის ზედმეტად გამოყენების, რაც არ უზრუნველყოფს ბენეფიციარის სრულ გამჭვირვალობას);
- საკონტრაქტო რისკების შეფასება (გაბერილი ფასების, ქვეკონტრაქტორების სრული თვითღირებულების გაუმჟღავნებლობის, მომწოდებელთა მუშაობის ხარისხიანობის არ ცოდნის, მაგალითად კარგი და ცუდი მომწოდებლების სიების, არასრული და არეული კონტრაქტების ჩათვლით, რაც იწვევს დამატებით ხარჯებს);
- ვალდებულებათა შესრულების რისკების შეფასება (მათ შორის, სამუშაოს ხარისხის, სამუშაოს ვადების დაცვის, სამუშაოს მოცულობის, კონტროლის არ არსებობის როდესაც მომწოდებელი არღვევს კონტრაქტს ნებისმიერი ზემოთ აღწერილი გზით, კონტრაქტის სისრულე მისი ბოლომდე შეუსრულებლობის მხრივ);
- ინტერესთა კონფლიქტის, როგორც გამჭოლი პრობლემის შეფასება;
- შესყიდვებისას კორუფციის რისკების შემცირების სხვადასხვა მეთოდების ჩამოთვლა და აღწერა;

- დისკრეციული უფლებამოსილებების თანმხლები პრობლემების ახსნა;
- ურთიერთ ჩათვლის კორუფციის რისკების განსაზღვრა და შეფასება;
- კერძო და სახელმწიფო სექტორების პარტნიორობის უპირატესობების და ნაკლოვანებების შეფასება;
- ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ჩატარება

განსახილველი საკითხები

- როგორაა შესაძლებელი შესყიდვების საჭიროების საუკეთესოდ განსაზღვრა თავდაცვის პრიორიტეტებთან მიმართებით?
- რომელია შესყიდვების ძირითადი მეთოდები?
- კორუფციის რომელი რისკები არსებობს ამ სფეროში და რა შედეგები ახლავს?
- რა სარგებელი მოაქვს მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში თანმდევი ხარჯების გათვლას?
- როგორ შეიძლება გამჭვირვალედ მოხდეს სისტემის ეფექტურობის და სისტემის ხარჯ-ეფექტურობის შედარება შესყიდვების ციკლში?
- როგორ უნდა მოხდეს შესყიდვების გეგმების შედარება იმ მოთხოვნებთან, რომლებიც გამომდინარეობს სტრატეგიული დაგეგმიდან და არსებული პოტენციალიდან?

სასწავლო მეთოდოლოგია

- ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ლექცია, სიტუაციური ანალიზი, პრაქტიკული დავალებების შესრულება, ინტერვიუ, მიღებული გამოცდილების განზოგადება

გამოყენებული ლიტერატურა

- DCAF, Building Integrity and Reducing Corruption in Defence: A Compendium of Best Practices, 2010. [შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის შემცირება თავდაცვის სფეროში: საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების ცნობარი, 2010 წ.] http://www.nato.int/nato_static/assets/pdf/pdf_topics/20120607_BI_Compendium_EN.pdf
- Transparency International UK, Anti-bribery due diligence for transactions, 2012. [საერთაშორისო გამჭვირვალობა დიდი ბრიტანეთი, ტრანსაქციების კომპლექსური იურიდიული შემოწმება კორუფციასთან ბრძოლის მიზნით, 2012 წ.] https://www.transparency-france.org/wp-content/uploads/2016/04/2012_-Anti_Bribery_Due_Diligence_for_Transactions.pdf
- Transparency International UK, Defence spending: how to reduce corruption risks, 2014 [საერთაშორისო გამჭვირვალობა დიდი ბრიტანეთი, თავდაცვის ხარჯები: როგორ შევამციროთ კორუფციის რისკები, 2014 წ.] http://www.transparency.org/news/feature/defence_spending_how_to_reduce_corruption_risks

ბლოკი მესამე: კეთილსინდისიერების ამაღლების ფართო დანერგვა

ბლოკის აღწერილობა

მოცემული ბლოკი ყურადღებას ამახვილებს ორგანიზაციაში კეთილსინდისიერების ამაღლების დანერგვაზე

– აქცევს რა მას გადაწყვეტილებების მიღების ყველა პროცესის, კონტროლის და ბალანსის შიდა სისტემების და კეთილსინდისიერების ამაღლების ეროვნული პროგრამების შემუშავებისა და მართვის ნაწილად.

ბლოკის სასწავლო ამოცანები

- გადაწყვეტილებების მიღების პროცესების გაგება და იმის შეფასება, თუ რა მხრივ არიან ისინი მოწყვლადი კორუფციის წინაშე;
- ცოდნის გამოყენება იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება გადაწყვეტილებების მიღების პროცესების გაუმჯობესება კორუფციის რისკების შესამცირებლად;
- შიდა კონტროლის ზომების გააზრება, აუდიტის და გენერალური ინსპექციის ჩათვლით და იმის გათვალისწინება, თუ როგორ ამცირებენ ისინი კორუფციის რისკებს;
- კეთილსინდისიერების ამაღლების თვით-შეფასების კითხვარში და საექსპერტო შეფასებაში გარკვევა;
- კეთილსინდისიერების სამოქმედო სამოქმედო გეგმის შემუშავება და პრაქტიკულად განხორციელება ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის დახმარებით.

განსახილველი საკითხები

- ეფექტური და არაეფექტური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდოლოგიების მაგალითების დასახელება.
- როგორ შეგვიძლია გადაწყვეტილებების მიღების სხვადასხვა მეთოდოლოგიების შედეგების ეფექტური მონიტორინგის და შეფასების განხორციელება?
- რა თვისებები ახასიათებს აუდიტის და კონტროლის ეფექტურ სისტემებს და როგორ შეუძლია ამ სისტემებს ეფექტურობის შენარჩუნება მუდმივად ცვლად გარემოში?
- როგორია იმ ქვეყნების გამოცდილება რომლებმაც მანამდე გაიარეს კეთილსინდისიერების ამაღლების თვით-შეფასების კითხვარის და საექსპერტო შეფასების პროცედურები?
- როგორ შეუძლიათ ქვეყნებს მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენონ აღნიშნული პროცესი თავიანთი თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორების მართვის სისტემის და მდგრადობის გასაუმჯობესებლად?

სასწავლო მეთოდოლოგია

- ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ლექცია, სიტუაციური ანალიზი, პრაქტიკული დავალებების შესრულება, ინტერვიუ, მიღებული გამოცდილების განზოგადება.

მოდული 3.3.1: კეთილსინდისიერება გადაწყვეტილებების მიღებისას

მოდულის აღწერილობა

მოცემული მოდული მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის გადაწყვეტილებების მიღების პროცესების მეთოდოლოგიის ახსნის შეთავაზებას და იმის გაგებას, თუ როგორ შეიძლება წარმოიშვას კორუფციის რისკები ამ პროცესის დროს. სტუდენტები გარდა ამისა შეიტყობენ, თუ როგორ შეიმუშავონ ზომები კორუფციის რისკების ასალაგმად და ჩაატარონ პროცესის ანალიზი და მიაღწიონ მის გაუმჯობესებას.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- გადაწყვეტილებების მიღების ეროვნული მეთოდოლოგიების ახსნა;
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კორუფციის რისკების შეფასების უნარი (რისკების კარტოგრაფია);
- რისკების მართვის ეფექტური მეთოდოლოგიის შემუშავება;
- სპეციფიკური ეროვნული ზომების შემუშავება კორუფციის რისკების შესამცირებლად;
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მონიტორინგის სისტემის შექმნა.

განსახილველი საკითხები

- დაასახელეთ გადაწყვეტილებების მიღების მეთოდოლოგიის მაგალითები?
- შეგვიძლია, თუ არა შევადაროთ და შევაჯეროთ სხვადასხვა ქვეყნის გადაწყვეტილებების მიღების მეთოდოლოგიები?
- კორუფციის რა რისკები და შედეგები ახლავს გადაწყვეტილებების მიღების პროცესს?
- რა სარგებელი მოაქვს რისკის მართვის მეთოდოლოგიის დანერგვას?
- როგორ შეგვიძლია შევიმუშავოთ და შევაფასოთ კონკრეტული ზომები თითოეულ ქვეყანაში კორუფციის რისკების შესამცირებლად?
- რა სარგებელი მოაქვს გადაწყვეტილებების მიღების პროცესების მონიტორინგის სისტემის დანერგვას?

სასწავლო მეთოდოლოგია

- ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ლექცია, სიტუაციური ანალიზი, პრაქტიკული დავალებების შესრულება, ინტერვიუ, მიღებული გამოცდილების განზოგადება.

გამოყენებული ლიტერატურა

- DCAF, Building Integrity and Reducing Corruption in Defence: A Compendium of Best Practices, 2010. [შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის შემცირება თავდაცვის სფეროში: საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების ცნობარი, 2010 წ.] http://www.nato.int/nato_static/assets/pdf/pdf_topics/20120607_BI_Compendium_EN.pdf
- OECD, Integrity in Public Procurement: good practice from A to Z, 2007. [ეთვო, კეთილსინდისიერება სახელმწიფო შესყიდვებში: კარგი პრაქტიკა ანიდან ჰომდე, 2007 წ.] <http://www.oecd.org/development/effectiveness/38588964.pdf>
- Transparency International UK, Defence spending: how to reduce corruption risks, 2014. [საერთაშორისო გამჭვირვალობა დიდი ბრიტანეთი, თავდაცვის სფეროს ხარჯები: როგორ შევამციროთ კორუფციის რისკები, 2014 წ.] http://www.transparency.org/news/feature/defence_spending_how_to_reduce_corruption_risks

მოდული 3.3.2: შიდა კონტროლი და ბალანსი

მოდულის აღწერილობა

მოცემული მოდული სთავაზობს სტუდენტებს კონტროლის და ბალანსის შიდა სისტემების ყველაზე ეფექტური მეთოდების ახსნას და იმას, თუ რა ზომების გატარება საჭირო გამჭვირვალობის და რისკის შემცირების მისაღწევად.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- შიდა კონტროლის ზომების როლის ახსნა თავდაცვით ინსტიტუტებში;
- იმის ახსნა, თუ რატომ ამცირებს კორუფციის რისკებს ხელისუფლების და უფლებამოსილებათა დონეების დანაწილება;
- იმის ახსნა, თუ რატომ ამცირებს კორუფციის რისკებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის სხვადასხვა დეპარტამენტებში დანაწილება;
- შიდა კონტროლის და აუდიტის სისტემებისთვის კრიტერიუმების და კორუფციის რისკების ჩამოყალიბება გადახედვის პროცესის დასაწყებად;
- შიდა აუდიტის ახსნა კორუფციასთან ბრძოლის კონტექსტში;
- გენერალური ინსპექციის და წინასწარი (ex-ante) შეფასების როლის ახსნა კორუფციისგან დაცვის კონტექსტში.

განსახილველი საკითხები

- რა როლები აკისრია შიდა აუდიტის და კონტროლის სისტემებს კორუფციის რისკებისგან დაცვაში?
- ვინ თამაშობს ძირითად როლს შიდა კონტროლის და ბალანსის შემოღებაში?
- რა ძირითადი მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს შიდა აუდიტის და კონტროლის სისტემის ეფექტურობის მისაღწევად?
- მუდმივად ცვლად გარემოში რა გზით შეიძლება შევინარჩუნოთ ეფექტური შიდა კონტროლის და ბალანსის სისტემა?

- როგორ შევინარჩუნოთ სწორი ბალანსი კორუფციის პრევენციის მიზნით მონიტორინგის საქმიანობას და ეფექტურ მუშაობას შორის?

სასწავლო მეთოდოლოგია

- ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ლექცია, სიტუაციური ანალიზი, პრაქტიკული დავალებების შესრულება, ინტერვიუ, მიღებული გამოცდილების განზოგადება.

გამოყენებული ლიტერატურა

- DCAF, Building Integrity and Reducing Corruption in Defence: A Compendium of Best Practices, 2010. [შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის შემცირება თავდაცვის სფეროში: საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების ცნობარი, 2010 წ.] http://www.nato.int/nato_static/assets/pdf/pdf_topics/20120607_BI_Compendium_EN.pdf
- Henderson, William T, Anti-corruption internal audits – a crucial element of anti-corruption compliance, Ernst and Young, 2010. [უილიამ ჰენდერსონი, შიდა აუდიტები როგორც კორუფციასთან ბრძოლის საშუალება – ანტი-კორუფციული რეგლამენტის დაცვის გადამწყვეტი ელემენტი, Ernst and Young, 2010 წ.] [http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/EY-FIDS-Anti-corruption-internal-audits/\\$FILE/EY-FIDS-Anti-corruption-internal-audits.pdf](http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/EY-FIDS-Anti-corruption-internal-audits/$FILE/EY-FIDS-Anti-corruption-internal-audits.pdf)
- Protiviti Inc, Guide to internal audit, 2009. [Protiviti Inc, შიდა აუდიტის გზამკვლევი, 2009 წ.] http://www.protiviti.com/en-US/Documents/Resource-Guides/Guide_to_Internal_Audit.pdf
- The Institute of Internal Auditors, The audit committee: internal audit oversight: [შიდა აუდიტორების ინსტიტუტი, აუდიტის კომიტეტი: შიდა აუდიტის ზედამხედველობა: https://na.theiia.org/about-ia/PublicDocuments/08775_QUALITY-AC_BROCHURE_1_FINAL.pdf

მოდული 3.3.3: კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამების შემუშავება და მართვა

მოდულის აღწერილობა

მოცემული მოდული აცნობს სტუდენტებს ნატო-ში კეთილსინდისიერების ამაღლების მთლიან პროცესს. იგი მიმოიხილავს კეთილსინდისიერების ამაღლების თვით-შეფასების კითხვარს, საექსპერტო შეფასების პროცესს, კეთილსინდისიერების ამაღლების სამოქმედო გეგმის შემუშავებას და გაუმჯობესების მუდმივი პროცესის განხორციელებას.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- თვით-შეფასების კითხვარის შევსება და შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრა;
- საექსპერტო შეფასების ვიზიტის მიზანსა და პროცესში გარკვევა;
- ქვეყნისთვის შესაბამისი კეთილსინდისიერების ამაღლების სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის დახმარების სხვადასხვა ვარიანტში გარკვევა, მათ შორის ტრენინგებში, მიზნობრივ კურსებში, სემინარებში და პროფილური ექსპერტების დახმარებაში;
- პროგრესის შეფასებისას განმეორებადი ციკლის მნიშვნელობის გააზრება.

განსახილველი საკითხები

- ვინ თამაშობს ძირითად როლს თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის შემუშავებაში და როგორ დავარწმუნოთ ისინი, რომ საჭიროა შემოუერთდნენ პროგრამას?
- როგორ ვუზრუნველყოთ ზუსტი და გულახდილი პასუხების გაცემა თვით-შეფასების კითხვარის შევსებისას?
- რა ნაბიჯები გადავდგათ, რომ საექსპერტო შეფა-

სება მისაღები გავხადოთ ქვეყნისთვის?

- როგორ შეძლია ქვეყანას კეთილსინდისიერების ამაღლების სამოქმედო გეგმაში განათლების და ტრენინგის ღონისძიებების ჩართვა?

სასწავლო მეთოდოლოგია

- ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ლექცია, სიტუაციური ანალიზის, პრაქტიკული დავალებების შესრულება, ინტერვიუ, მიღებული გამოცდილების განზოგადება და ინსტრუქტორების მომზადება

გამოყენებული ლიტერატურა

- CIDS, Integrity Action Plan - a handbook for practitioners in defence establishments, 2014. [კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი თავდაცვის სფეროში, კეთილსინდისიერების ამაღლების სამოქმედო გეგმა - თავდაცვის სტრუქტურებში მომუშავე პრაქტიკოსების სახელმძღვანელო, 2014 წ.] http://cids.no/wp-content/uploads/2014/12/Integrity-Action-Plan-handbook_web.pdf
- DCAF, Building Integrity and Reducing Corruption in Defence: A Compendium of Best Practices, 2010. [შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის შემცირება თავდაცვაში: საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების ცნობარი, 2010 წ.] http://www.nato.int/nato_static/assets/pdf/pdf_topics/20120607_BI_Compendium_EN.pdf
- Transparency International UK, Defence spending: how to reduce corruption risks, 2014. [საერთაშორისო გამჭვირვალობა დიდი ბრიტანეთი, თავდაცვის ხარჯები: როგორ შევამციროთ კორუფციის რისკები, 2014 წ.] http://www.transparency.org/news/feature/defence_spending_how_to_reduce_corruption_risks

4

ოპერაციები
და
თავდაცვითი ჩართულობა

თემის აღწერილობა

წინამდებარე თემა ყურადღებას ამახვილებს კორუფციის და სუსტი მმართველობის ზეგავლენაზე სამხედრო ოპერაციებზე და თავდაცვით ჩართულობაზე. იგი გვიხსნის კეთილსინდისიერების ამაღლების პრინციპების რელევანტურობას ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩატარებული ოპერაციების და თავდაცვითი ჩართულობის მიმართ და ხაზს უსვამს, რომ კეთილსინდისიერების ამაღლება მისიის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. ეს მისცემს მონაწილეებს შესაძლებლობას გაიაზრონ კორუფციის პრევენციის და ალაგმვის მნიშვნელობა ოპერაციების ჩატარებისას და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის პროცესში და დაეხმარება მათ დანერგონ კეთილსინდისიერების ამაღლება საკუთარ საქმიანობაში. ოპერაციის ჩატარების რაიონში არსებული რისკების შემცირებასთან ერთად თემა ყურადღებას ამახვილებს კორუფციის რისკებისგან დაცვაზე მისიის შესასრულებლად მოხილნიერებულ ძალებშიც.

თემის სასწავლო ამოცანები

- კორუფციის რისკების და გამოწვევების გააზრება სამხედრო ოპერაციის ყველა ფაზაზე;
- ტაქტიკურ, ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეებზე კორუფციის ზეგავლენის გააზრება და გამოვლენა (მათ შორის, მექრთამეობის; ნეპოტიზმის; ვერტიკალურად ინტეგრირებული კორუფციის; კრიმინალური მფარველობის ქსელების; და სახელმწიფოს მიტაცების);
- კორუფციის ინდიკატორების და გამაფრთხილებელი ნიშნების დადგენა და გაგება. კორუფციის გამომომი ინსტრუმენტების სარგებლიანობის და შეზღუდვების გაგება;
- იმის გაგება, თუ რა გზებით შეუძლია მისიის ქმედებებს ოპერაციის ჩატარების რაიონის გარემოსთან იმგვარად ურთიერთქმედება, რაც შეიძლება ხელს უწყობდეს კორუფციის დამკვიდრებას, ან შემცირებას;
- კორუფციის რისკების, გავრცელების გზების, გამოვლინებების და მის მიერ თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის მიმართ შექმნილი გამოწვევების დადგენა და გააზრება;
- მოსამზადებელი ქმედებების და სამხედრო ოპერაციების თეატრში განსახორციელებელი გზების დადგენა და გამოყენება კორუფციის რისკების შესარბილებლად ოპერაციების მსვლელობისას და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობისას;
- სამხედრო ოპერაციამდე და მის შემდეგ ჩართული და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის პროცესში მონაწილე სხვა მხარეების

დადგენა და მათი როლის გააზრება კორუფციასთან ბრძოლაში მმართველობის სხვადასხვა დონეზე;

- ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გააზრება, კორუფციის მიერ წარმოქმნილი რისკებიდან და მისიის წარმატებულ შედეგზე მისი შესაძლო ზემოქმედებიდან გამომდინარე;
- მეთოდების, პრაქტიკის და პროცესების გამოყენება, რომლებიც შეიძლება დაგვეხმაროს კორუფციის რისკებისგან დაცვაში ოპერაციების მსვლელობისას და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის პროცესში;
- კეთილსინდისიერების ამაღლების როლის გააზრება თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის პროცესში.

განსახილველი საკითხები

- როგორ შეუძლია მისიას შეაფასოს რისკი, რომელსაც კორუფცია უქმნის მისიის მიზნებს და წარმატებას?
- როგორ შეგვიძლია კორუფციის გავრცელების გზების, და გამოვლინებების დიაგნოსტიკა (მათ შორის, ის, თუ რა გზით არის კორუფცია ჩართული კრიმინალური მფარველობის ქსელებში, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციაში, საერთაშორისო დახმარებაში და ა. შ.)?
- რა მხრივ შეუძლია მისიის ქმედებებს დაამძიმოს კორუფციის პრობლემები ოპერაციის ჩატარების რაიონში? როგორ შეიძლება ამის გამოსწორება?
- რა გავლენას ახდენს კორუფცია მასპინძელი ქვეყნის სამთავრობო ინსტიტუტების, მათ შორის, თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალების ეფექტურობასა და ლეგიტიმურობაზე?
- როგორ შეუძლია მისიაში ჩართულ პერსონალს საუკეთესოდ მოემზადოს კორუფციის პრობლემებთან საბრძოლველად?
- რა გავლენას ახდენს კორუფცია თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის პროგრამებზე?
- რა როლს თამაშობს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამა თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის პროცესსა და თავდაცვით ჩართულობაში?

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს.

ბლოკი პირველი: კეთილსინდისიერების ამაღლება სამხედრო ოპერაციებისას

მოდული 4.1.1: სამხედრო ოპერაციების მსვლელობაზე გავლენის მქონე კორუფციის ტიპები და გავრცელების გზები

მოდული 4.1.2: კორუფციის რისკები და მისი წარმატება

მოდული 4.1.3: კორუფციასთან ბრძოლა ნატო-ს და გეგმვის პროცესის მეშვეობით

მოდული 4.1.4: სტანდარტული ოპერატიული პროცედურები: მეთოდები, პრაქტიკა და პროცესები კორუფციის რისკის შესამცირებლად სამხედრო მისიის დროს

მოდული 4.1.5: მეთოდები, პრაქტიკა და პროცესები ოპერაციებისას კორუფციის რისკის შესამცირებლად

მოდული 4.1.6: კორუფციის რისკები მისიის ზურგის უზრუნველყოფისას

მოდული 4.1.7: კორუფციასთან ბრძოლა კომპლექსური მიდგომის მეშვეობით

მოდული 4.1.8: ხელმძღვანელობა და გადაწყვეტილებების მიღების ეფექტური მექანიზმი

მოდული 4.1.9: მასპინძელი ქვეყნის სამხედრო, უსაფრთხოების და პოლიციის ძალების განვითარება

მოდული 4.1.10: სამხედრო ოპერაციებისას კორუფციასთან ბრძოლის და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შეფასება და მონიტორინგი

ბლოკი მეორე: თავდაცვითი ჩართულობა და პოტენციალის გაზრდა

მოდული 4.2.1: კორუფციის რისკები თავდაცვით ჩართულობაში, უსაფრთხოების ძალების მხარდაჭერაში, პოლიციის მიერ სტაბილურობის უზრუნველყოფაში და თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის პოტენციალის გაზრდაში

მოდული 4.2.2: კორუფციის გავრცელების გზების და კორუფციის რისკის შეფასება მასპინძელი ქვეყნის თავდაცვის კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესში

მოდული 4.2.3: კორუფციის რისკების შერბილება თავდაცვით ჩართულობაში: კეთილსინდისიერების ამაღლება, პოტენციალის გაზრდა

მოდული 4.2.4: კორუფციის რისკების შერბილება თავდაცვით ჩართულობაში: გარე პარტნიორებთან მუშაობა

მოდული 4.2.5: მდგრადი ზედამხედველობის სისტემის შექმნის, კორუფციასთან ბრძოლის და შიდა კონტროლის სტრუქტურების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები

ბლოკი პირველი: კეთილსინდისიერების ამაღლება სამხედრო ოპერაციებისას

ბლოკის აღწერილობა

მოცემული ბლოკი ითვალისწინებს სამხედრო ოპერაციებისას კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესის გააზრების ჩამოყალიბებას, ხელშეწყობას და განვითარებას. იგი ყურადღებას ამახვილებს იმ რისკებზე, რასაც კორუფცია უქმნის სამხედრო ოპერაციებს, მიზნად ისახავს რა მონაწილეთა გათვითცნობიერებას სხვადასხვა ტიპის რისკებსა და სამხედრო ოპერაციების მიზნებზე მათი გავლენაში, მათ შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, საბაზისო მომსახურების მიწოდების და მართვის სტრუქტურების სტაბილიზების კუთხით. იგი გვაცნობს 'არ დაუშავო'-ს პრინციპს და განიხილავს სხვადასხვა გზას, რითაც მისიის საქმიანობამ უნებურად დაამძიმოს კორუფცია. საბოლოოდ იგი ეხება კორუფციის ზემოქმედებას თავად მისიის ეფექტურობასა და ლეგიტიმურობაზე.

ბლოკის მიზანია შეასწავლოს სამხედრო და სამართალდამცავი სტრუქტურების შერჩეულ ოფიცერებს პრაქტიკული ხერხები და პროცესები, რომლებიც დაეხმარებათ გაერკვნენ და დაძლიონ კორუფციის სხვადასხვა გამოვლინებები, რომლებიც ძირს უთხრის სამხედრო ოპერაციების მისიის წარმატებას ტაქტიკურ, ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეებზე. ბლოკი აგრეთვე ითვალისწინებს თანამშრომლობის ხელშეწყობას შესაბამის დარგობრივ ექსპერტებთან ნატო-ს დაგეგმვის პროცესში მოდულის ჩართვით, რომელიც მიზნად ისახავს დარგობრივი ექსპერტებით ნატო-ს ძალების გაძლიერებას.

ბლოკის სასწავლო ამოცანები

- კორუფციის რისკების და გამოწვევების გააზრება სამხედრო ოპერაციების ყველა ფაზაზე;
- კორუფციის გავრცელების გზების, გამოვლინებების და ტაქტიკურ, ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეებზე მისი ზეგავლენის გააზრება და დადგენა (მათ შორის, მექრთამეობის; ნეპოტიზმის; ვერტიკალურად ინტეგრირებული კორუფციის; კრიმინალური მფარველობის ქსელების; და სახელმწიფოს მიტაცების);

- კორუფციის ინდიკატორების და გამაფრთხილებელი ნიშნების დადგენა და გაგება;
- კორუფციის გამზომი ინსტრუმენტების სარგებლიანობის გააზრება.
- იმის გაგება, თუ რა გზებით შეუძლია მისიის ქმედებებს ოპერაციის ჩატარების რაიონის გარემოსთან იმგვარად ურთიერთქმედება, რაც შეიძლება ხელს უწყობდეს კორუფციის დამკვიდრებას, ან შემცირებას (მისიის ზურგის უზრუნველყოფის ჩათვლით);
- იმ მეთოდების, პრაქტიკის და პროცესების დადგენა და გაგება, მისიის მოსამზადებელი და სამხედრო ოპერაციების თეატრში განსახორციელებელი ქმედებების ჩათვლით, რომლებიც დაგვეხმარება კორუფციის რისკების შერბილებაში;
- სამხედრო ოპერაციებში ჩართული სხვა მონაწილეების დადგენა და კორუფციის პრევენციაში მათი როლის გააზრება;
- გადაწყვეტილებების მიღების ეფექტური პროცესის გააზრება კეთილსინდისიერების ამაღლებაზე ყურადღების გამახვილებით მისიის წარმატების მისაღწევად.

განსახილველი საკითხები

- როგორ შეუძლია მისიას შეაფასოს რისკები, რომელსაც კორუფცია უქმნის მისიის მიზნებს და წარმატებას?
- როგორ შეგვიძლია კორუფციის გავრცელების გზებისა და გამოვლინებების დიაგნოსტიკა?
- რა მხრივ შეუძლია მისიის ქმედებებს დაამძიმოს კორუფციის პრობლემები ოპერაციის ჩატარების რაიონში? როგორ შეიძლება ამის გამოსწორება?
- რა გავლენას ახდენს კორუფცია სამთავრობო ინსტიტუტებზე, მათ შორის, თავდაცვის ძალებზე?

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლების პროცესი ამ ბლოკში ემყარება ათ მოდულს. თითოეული მოდული მოიცავს გასაცნობიერებებს, რომლებსაც ატარებენ პრაქტიკოსი/მკვლევარი სპეციალისტები, რასაც მოჰყვება კონკრეტული მაგალითების ანალიზი და მოკლე წერილობითი დავალება. წერილობითი დავალება შეიძლება აგრეთვე შესრულდეს მოდულის დაწყებამდე, რათა მონაწილეებს ჰქონდეთ დრო, რომ გაეცნონ საკითხავ მასალას.

მოდული 4.1.1: სამხედრო ოპერაციების მსვლელობაზე გავლენის მქონე კორუფციის ტიპები და გავრცელების გზები

მოდულის აღწერილობა

სტუდენტები გაერკვევიან კორუფციის და ნეგატიური ქცევის სხვადასხვა ტიპში, რომლებსაც შეუძლია ძირითადი გამოუთხაროს სამხედრო ოპერაციებს და კონფლიქტის შემდგომი აღდგენის მცდელობებს.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- კორუფციასა და კონფლიქტს შორის არსებული კავშირის გააზრება;
- მისიაში არსებული კორუფციის რისკების დადგენა და გააზრება;
- სხვადასხვა ტიპის და ფორმის კორუფციის დადგენა და გააზრება (მექრთამეობის; ნეპოტიზმის; ვერტიკალურად ინტეგრირებული კორუფციის; კრიმინალური მფარველობის ქსელების; და სახელმწიფოს მიტაცების) და აგრეთვე ოპერაციის ჩატარების რაიონში არსებული კორუფციის სპეციფიური რისკების და გავრცელების გზების (მათ შორის, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის, საერთაშორისო დახმარების და ა. შ.) და მათი გავლენის მისიის წარმატებაზე;
- იმის გააზრება, თუ რა გზით უთხრის კორუფცია ძირს მისიის ზონაში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა, ადგილობრივი მოსახლეობის და სხვათა უსაფრთხოებას, დაცვას და ნდობას

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Joint Analysis and Lessons Learned Centre, Counter and Anti-Corruption. Theory and Practice from NATO Operations, NATO, 2013. [ერთობლივი ანალიზის და გამოცდილების განზოგადების ცენტრი, კორუფციასთან ბრძოლა და მისგან დაცვა. ნატო-ს ოპერაციების თეორია და პრაქტიკა, ნატო, 2013 წ.] http://www.jallc.nato.int/products/docs/jallc_report_corruption_releasable.pdf
- Joint and Coalition Operation Analysis, Operationalizing Counter/Anti-Corruption Study, 2014. [ერთობლივი და კოალიციური ოპერაციების ანალიზი, კორუფციასთან ბრძოლის და მისგან დაცვის კვლევის პრაქტიკული რეალიზაცია, 2014 წ.] <http://nust.edu.pk/INSTITUTIONS/Schools/>

NIPCONS/nipcons-institutions/CIPS/Download%20Section/JCOA%20CAC%20Final%20Report_U.pdf

- SIGAR, Corruption in Conflict: Lessons Learned from the US Experience in Afghanistan, 2016. [ავღანეთის აღდგენის საგანგებო გენერალური ინსპექცია, კორუფცია კონფლიქტისას: ავღანეთში აშშ-ს ქმედებათა გამოცდილების განზოგადება, 2016 წ.] <https://www.sigar.mil/pdf/LessonsLearned/SIGAR-16-58-LL.pdf>
- Transparency International Defence and Security, Corruption – Lessons from the International Mission in Afghanistan, 2015. <https://www.transparency.org/files/content/pressrelease/2015> [საერთაშორისო გამჭვირვალობა, თავდაცვა და უსაფრთხოება, კორუფცია – ავღანეთში არსებული საერთაშორისო მისიის გამოცდილების განზოგადება 2015 წ.] https://www.transparency.org/files/content/pressrelease/2015_Corruption_Lessons_From_Afghanistan_EN.pdf
- Transparency International Defence and Security, Corruption – Lessons from the International Mission in Afghanistan, 2015. [საერთაშორისო გამჭვირვალობა, თავდაცვა და უსაფრთხოება, კორუფცია – ავღანეთში არსებული საერთაშორისო მისიის გამოცდილების განზოგადება 2015 წ.] https://www.transparency.org/files/content/pressrelease/2015_Corruption_Lessons_From_Afghanistan_EN.pdf
- Transparency International Defence and Security, Corruption and Peacekeeping. Strengthening Peacekeeping and the United Nations, 2013. [საერთაშორისო გამჭვირვალობა, თავდაცვა და უსაფრთხოება, კორუფცია და სამშვიდობოები, სამშვიდობო ოპერაციების და გაეროს გაძლიერება, 2013 წ.] http://ti-defence.org/wp-content/uploads/2016/03/2013-10_-Corruption-PK-report.pdf
- UK Department for International Development, Why Corruption Matters: Understanding Causes, Effects and how to Address Them, Evidence Paper on Corruption. Ch. 1, 4.8, 2015. [დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი, რატომაც მნიშვნელოვანი კორუფცია: გარკვევა მიზეზებში, შედეგებში და როგორ ვებრძოლოთ მათ. დოკუმენტი კორუფციის ფაქტებზე, 2015 წ.] https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/406346/corruption-evidence-paper-why-corruption-matters.pdf

მოდული 4.1.2: კორუფციის რისკები და მისიის წარმატება

მოდულის აღწერილობა

მოდული საშუალებას აძლევს მონაწილეებს ღრმად ჩაიხედონ ტაქტიკურ დონეზე არსებული კორუფციის რისკების უფრო დეტალურ ანალიზში და მათ შესაძლო გავლენაზე ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეებზე. მოდული თვალს ადევნებს კორუფციის ზეგავლენას სტაბილიზაციის მისიების სამ მიზანზე: უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, საზოგადოებრივი უზრუნველყოფაზე და მასპინძელი ქვეყნის მთავრობის სტაბილიზაციაზე. გვიჩვენებს რა თუ როგორ შეუძლია სხვადასხვა ტიპის კორუფციას გავლენა იქონიოს სამხედრო მისიის კონკრეტულ საქმიანობაზე. საბოლოოდ, მოდული აღწერს, თუ როგორ შეუძლია თავად მისიას დაამძიმოს კორუფცია და თუ როგორ შეუძლია სოციალურ ნორმებსა და პრაქტიკას კორუფციის ხელშეწყობა, ან შემცირება

მოდულის სასწავლო ამოცანები

- კორუფციის რისკების გააზრება ყოვლისმომცველი სიტუაციური შეფასების ფარგლებში;
- სოციალურ ნორმებისა და პრაქტიკის დადგენა, რომლებიც მხარს უჭერს, ან ებრძვის კორუფციას;
- ადგილობრივი სამხედრო, უსაფრთხოების და პოლიციის ძალების ეფექტურობასა და ლეგიტიმურობაზე კორუფციის ზეგავლენის გააზრება;
- იმ ფაქტორების გააზრება, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მისიების მხრიდან კორუფციასთან გამკლავების სურვილის არქონა;
- იმ ვითარებაში გარკვევა, რომლის დროსაც მისიებს შეუძლია გავლენა იქონიონ/გააუარესონ კორუმპირებული პრაქტიკა ოპერაციის ჩატარების რაიონში (კონტრაქტორების ჩათვლით);
- პრაქტიკული პრევენციური მიდგომების მნიშვნელობის გააზრება კორუფციასთან ბრძოლაში;
- კორუფციასთან ბრძოლის არსებული საუკეთესო პრაქტიკის გააზრება სამხედრო ოპერაციებისას გატარებული კონტრ-ზომების მხრივ.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს

გამოყენებული ლიტერატურა

- Anand Gopal, No Good Men among the Living: America, the Taliban, and the War through Afghan Eyes, American Empire Project, 2014. [ანანდ გოპალი, არ არსებობენ მართალნი ცოცხალთა სამყაროში: ამერიკა, ტალიბანი და ომი ავღანეთის თვალში, ამერიკის იმპერიული პროექტი, 2014 წ.]
- Christine Cheng, Dominik Zaum, Key Themes in Peacebuilding and Corruption, Special Issue of International Peacekeeping Journal, 2008. [კრისტინ ჩენგი, დომინიკ ზაუმი, საკვანძო თემები მშვიდობის მშენებლობასა და კორუფციაში, საერთაშორისო სამშვიდობო ჟურნალის სპეციალური გამოშვება, 2008 წ.]
- COMISAF Initial Assessment, 2009. საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების სარდალის პირველადი შეფასება, 2009 წ.] <http://sclr.stabilisationunit.gov.uk/top-10-reads/thematic/counterinsurgency/13-isaf-commander-s-initial-assessment?path=counterinsurgency>
- Committee on Oversight and Government Reform, Extortion and Corruption Along the U.S. Supply Chain in Afghanistan, 2010. [ზედამხედველობისა და სამთავრობო რეფორმის კომიტეტი, გამომძაღველობა და კორუფცია აშშ-ს მომარაგების ჯაჭვში ავღანეთში, 2010 წ.]
- Marie Cheene, Lessons Learned in Fighting Corruption in Post-Conflict Countries, U4, 2012. [მერი ჩიინი, პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში კორუფციასთან ბრძოლის გამოცდილების განზოგადება, U4, 2012 წ.] <http://www.u4.no/publications/lessons-learned-in-fighting-corruption-in-post-conflict-countries/>
- Transparency International Defence and Security, Corruption and Peacekeeping. Strengthening Peacekeeping and the United Nations, 2013. [საერთაშორისო გამჭვირვალობა, თავდაცვა და უსაფრთხოება, კორუფცია და სამშვიდობოები, სამშვიდობო ოპერაციების და გაეროს გაძლიერება, 2013 წ.] http://ti-defence.org/wp-content/uploads/2016/03/2013-10_-Corruption-PK-report.pdf

მოდული 4.1.3: კორუფციასთან ბრძოლა დაგეგმვის მეშვეობით: ნატო-ს დაგეგმვის პროცესი

მოდულის აღწერილობა

სტუდენტები გაეცნობიან ნატო-ს ოპერაციათა დაგეგმვის პროცესს (ოდპ) და იმას, თუ როგორ უნდა ჩაერთოს და გათვალისწინებულ იქნას მისიასთან დაკავშირებული კორუფციის საკითხები ოპერაციათა დაგეგმვის პროცესის სხვადასხვა ფაზაზე. მოცემული კურსი გათვლილია ექსპერტებზე კეთილსინდისიერების ამაღლების და-რგში, ვისაც მუშაობა მოუწევთ ოპერატიულ გარემოში.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- სამხედრო ოპერაციების მსვლელობისას კორუფციასთან ბრძოლის და მისგან დაცვის ღონისძიებების დაგეგმვასთან დაკავშირებული გამოწვევების გააზრება;
- იმის გაგება, თუ რა წვლილი შეაქვთ სამხედროებს ნატო-ს კრიზისის მართვის პროცესში;
- სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის სხვადასხვა ტიპში გარკვევა;
- ნატო-ს ოპერაციათა დაგეგმვის პროცესის (ოდპ) სხვადასხვა ფაზაში გარკვევა, დაგეგმვის სხვადასხვა დონეს შორის ურთიერთქმედებების გაგება და იმის გააზრება, თუ როგორ ურთიერთქმედებს სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის სხვადასხვა დონე ერთმანეთთან;
- იმის დადგენა, თუ რა გზით უკავშირდება კორუფცია ნატო-ს ოპერაციათა დაგეგმვის პროცესის სხვადასხვა ფაზას, ვითარების შეფასებიდან დაწყებული, გარდამავალი პერიოდის ჩათვლით;
- იმის გაგება, თუ როგორ უნდა ჩაერთოს კორუფციასთან დაკავშირებული საკითხები ნატო-ს ოპერაციათა დაგეგმვის მთლიანი პროცესის სხვადასხვა პროდუქტში;
- სამხედრო ოპერაციებში კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვისას წარმოქმნილ გამოწვევებში გარკვევა;
- იმის გაგება, თუ როგორ უნდა დაისახოს ამოცანები ოპერაციების მსვლელობისას კორუფციასთან ბრძოლის და მისგან დაცვის ინიციატივების დაგეგმვასთან დაკავშირებით.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Comprehensive Operations Planning Directive v2, 2013 [ოპერაციათა დაგეგმვის კომპლექსური დირექტივა ტომი 2, 2013 წ.]
- MC 133/4, NATO's Operations Planning, 2016 (classified) [სამხედრო კომიტეტის პუბლიკაცია MC 133/4, ნატო-ს ოპერაციათა დაგეგმვა, 2016 წ. (კლასიფიცირებული)]
- NATO BI-SC Operations Assessment Handbook, 2015 [ნატო-ს სტრატეგიული სარდლობა ოპერაციათა შეფასების სახელმძღვანელო, 2015 წ.]
- NATO Crisis Response System Manual, 2016 (classified) [ნატო-ს კრიზისზე რეაგირების სისტემის სახელმძღვანელო, 2016 წ. (კლასიფიცირებული)]

მოდული 4.1.4: სტანდარტული ოპერატიული პროცედურები: მეთოდები, პრაქტიკა და პროცესები კორუფციის რისკის შესამცირებლად სამხედრო მისიის დროს

მოდულის აღწერილობა

აუდიტორია გაეცნობა სხვადასხვა მეთოდიკას, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს და პროცესებს, რომელთა გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს კორუფციის რისკის შემცირებამდე და მისიაში კეთილსინდისიერების დონის შენარჩუნებამდე. ყურადღება გამახვილდება სტანდარტულ ოპერატიულ პროცედურებზე და (ეროვნული) პირადი შემადგენლობის კონკრეტულ ტიპებსა და ფინანსურ რეგლამენტზე, რომლებიც მისიაში კორუფციის პრევენციას ემსახურება. კურსი გათვლილია დაგეგმვის სფეროს მუშაკებზე.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- კორუფციის რისკების ერთიანი ხედვის უზრუნველყოფა წინასწარი განთავსების კონტრაქტების ფაზაზე;
- მისიის და საბრძოლო დანაყოფის ერთობის და ყველა მიმართულებით ერთად მუშაობის მნიშვნელობის გააზრება;
- იმ ზომების დადგენა და გააზრება, რომლებიც შეიძლება დაგვეხმაროს პირად შემადგენლობაში კორუფციის რისკების შემცირებაში;
- კორუფციის რისკების გააზრება მისიის ზურგის უზრუნველყოფის სრულ სპექტრში;
- შეიარაღებულ ძალებში გენერალური ინსპექციის როლის გააზრება;
- კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ეროვნული კანონების და პოლიტიკის, განსაკუთრებით კი ოპერატიულ გარემოსთან კავშირის მქონე მაგალითების დადგენა და გააზრება;
- სიტუაციური შეფასების მნიშვნელობის გააზრება კორუფციის დონესთან დაკავშირებით მისიის რაიონში ადგილობრივი პრაქტიკის გათვალისწინებით.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს.

გამოყენებული ლიტერატურა

- National and NATO SOPs and doctrine. [ეროვნული და ნატო-ს სტანდარტული ოპერატიული პროცედურები და დოქტრინა.]
- NATO CIMIC Centre of Excellence, Good Governance Makes Sense – A Way to Improve Your Mission, 2012. [ნატო-ს სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის მოწინავე გამოცდილების ცენტრი, კარგ მმართველობას აზრი აქვს – თქვენი მისიის გაუმჯობესების გზა, 2012 წ.] http://www.cimic-coe.org/wp-content/uploads/2015/11/internet_Handboek-Good-Governance-CCOE.pdf

მოდული 4.1.5: მეთოდები, პრაქტიკა და პროცესები ოპერაციებისას კორუფციის რისკის შესამცირებლად

მოდულის აღწერილობა

სტუდენტები გაეცნობიან სხვადასხვა მეთოდებს, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს და პროცესებს, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ოპერაციის ჩატარების რაიონში კორუფციის რისკებთან საბრძოლველად და მისიის ამოცანებზე მათი ზეგავლენის შესამცირებლად.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- კორუფციასთან ბრძოლის მოსამზადებელი ქმედებების დადგენა (როგორიცაა საფრთხის შეფასება, სადაზვერვო მონაცემები, პირადი შემადგენლობის მართვა, კონტრაქტორების წინასწარი შემოწმება, ტრენინგი, სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთქმედება, სტრატეგიული კომუნიკაცია, სამართლებრივი საკითხები);
- ოპერაციებზე მისიის კონტრაქტირების სისტემის ზეგავლენის დადგენა და გააზრება (მათ შორის დაცვის კერძო კომპანიებთან ურთიერთობისას);
- სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ კორუფციასთან ბრძოლის მითითებებსა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებში გარკვევა;
- კორუმპირებულ სტრუქტურებთან ურთიერთობის გამოწვევებში გარკვევა;
- სიტუაციის შეფასების გამოყენება ოპერატიულ თეატრში კორუფციული ქსელების არსებობის შესახებ ცოდნის მოსაპოვებლად.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Joint and Coalition Operation Analysis, Operationalizing Counter/Anti-Corruption Study, 2014. [ერთობლივი და კოალიციური ოპერაციების ანალიზი, კორუფციასთან ბრძოლის და მისგან დაცვის კვლევის პრაქტიკული რეალიზაცია, 2014 წ.] http://nust.edu.pk/INSTITUTIONS/Schools/NIPCONS/nipcons-institutions/CIPS/Download%20Section/JCOA%20CAC%20Final%20Report_U.pdf
- Marie Cheene, Lessons Learned in Fighting Corruption in Post-Conflict Countries, U4, 2012. [მერი ჩიინი, პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში კორუფციასთან ბრძოლის გამოცდილების განზოგადება, U4, 2012 წ.]
- <http://www.u4.no/publications/lessons-learned-in-fighting-corruption-in-post-conflict-countries/>
- SIGAR, Corruption in Conflict: Lessons Learned from the US Experience in Afghanistan, 2016. [ავღანეთის აღდგენის საგანგებო გენერალური ინსპექცია, კორუფცია კონფლიქტისას: ავღანეთში აშშ-ს ქმედებათა გამოცდილების განზოგადება, 2016 წ.] <https://www.sigar.mil/pdf/LessonsLearned/SIGAR-16-58-LL.pdf>
- Transparency International Defence and Security, Corruption Threats & International Missions: Practical guidance for leaders, 2014. [საერთაშორისო გამჭვირვალობა თავდაცვა და უსაფრთხოება, კორუფციის საფრთხეები და საერთაშორისო მისიები: პრაქტიკული სახელმძღვანელო ლიდერებისთვის, 2014 წ.] https://issuu.com/tidefence/docs/corruption_threats_international_

მოდული 4.1.6: მისიის ზურგის უზრუნველყოფა

მოდულის აღწერილობა

სტუდენტები შეძლებენ კორუფციის რისკების დადგენას და გაგებას ოპერაციების ზურგის უზრუნველყოფის პროცესში და გაერკვევიან მეთოდებსა და პრაქტიკაში, რომელიც გვეხმარება კორუფციის რისკის შემცირებაში და კეთილსინდისიერების დონის შენარჩუნებაში მისიის რაიონში.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- მისიის წარმატებაზე ზურგის უზრუნველყოფის ჯაჭვში კორუფციის არსებობის ზეგავლენის გააზრება;
- ზურგის უზრუნველყოფის ქმედებათა მთელ დიაპაზონში გარკვევა განთავსებიდან დისლოცირების შეცვლამდე;
- კორუფციის რისკების გააზრება ზურგის უზრუნველყოფის ოპერაციებისას;
- ეროვნული და მრავალეროვნული სტრატეგიული მხარდაჭერის ქსელებისთვის დამახასიათებელ რისკებში გარკვევა;
- ოპერატიული მხარდაჭერის ქსელებისთვის დამახასიათებელ რისკებში გარკვევა;
- ზურგის უზრუნველყოფაში კონტრაქტორების და ადგილობრივი მუშა-ხელის ჩართულობაში და მონაწილეობის მასშტაბში გარკვევა; მათ შორის ბენეფიციარულ მფლობელობასა და ქვეკონტრაქტორებს შორის არსებულ ურთიერთობებში;
- რისკის შემცირების ეფექტური სტრატეგიების დადგენა და გამოყენება ზურგის უზრუნველყოფის ოპერაციებისას.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს.

გამოყენებული ლიტერატურა

- AJP 4 Logistics. [ნატო-ს ერთობლივი პუბლიკაცია 4 ზურგის უზრუნველყოფა.]
- AJP4.4 Allied Joint Movement and Transportation Doctrine. [ნატო-ს ერთობლივი პუბლიკაცია 4.4 გაერთიანებული შეიარაღებული ძალების გადაადგილების და ტრანსპორტირების დოქტრინა.]
- AJP 4-5 Allied Joint Host Nation Support. [ნატო-ს ერთობლივი პუბლიკაცია 4-5 მასპინძელი ქვეყნის ერთობლივი მხარდაჭერა.]
- AJP 4-6 Joint Logistics Support Group. [ნატო-ს ერთობლივი პუბლიკაცია 4-6 ზურგის უზრუნველყოფის მხარდაჭერის ერთობლივი ჯგუფი.]
- AJP 4-9 Modes of Multinational Logistics Support. [ნატო-ს ერთობლივი პუბლიკაცია 4-9 მრავალეროვნული ზურგის უზრუნველყოფის სახეობები.]
- AJP 4-10 Medical Support. [ნატო-ს ერთობლივი პუბლიკაცია 4-10 სამედიცინო მხარდაჭერა.]
- AJP 4-11 Asset Visibility. [ნატო-ს ერთობლივი პუბლიკაცია 4-11 აქტივების ხილვადობა.]
- NATO Logistics Handbook. [ნატო-ს ზურგის უზრუნველყოფის ცნობარი.]

მოდული 4.1.7: კორუფციასთან ბრძოლა კომპლექსური მიდგომის მეშვეობით

მოდულის აღწერილობა

სტუდენტები გაეცნობიან მისიის რაიონში ჩართულ სხვადასხვა მონაწილეს და იმას, თუ რა როლი შეიძლება შეასრულონ მათ კორუფციის რისკების შერბილებაში.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- ნატო-ს კომპლექსური მიდგომის გააზრება და თანამშრომლობის და კოორდინაციის აუცილებლობა კორუფციასთან ბრძოლის და მისგან დაცვის ყველა დონეზე;
- მისიის რაიონში ჩართული სხვა მონაწილეების მანდატებში, როლებში, ძლიერ მხარეებში და გადაწყვეტილებების მიღების ავტონომიურობაში გარკვევა;
- კორუფციასთან ბრძოლის მითითებების გაგება და გამოყენება, მათ შორის ნატო-ს, გაეროს, ეუთო-ს და მასპინძელი ქვეყნების მხრიდან;
- ნატოში არშემავალ სტრუქტურებთან მუშაობის მოთხოვნების და უპირატესობების გააზრება ძალისხმევითა ერთობის მისაღწევად კომპლექსური მიდგომის ფარგლებში და კეთილსინდისიერების ამაღლების ღონისძიებების გატარებისას;
- ჰუმანიტარულ კრიზისებთან დაკავშირებული კორუფციის რისკების გააზრება;
- მისიის რაიონში ჩართული სხვა მონაწილეების მიერ გამოყენებული კორუფციასთან ბრძოლის ზომების დადგენა.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Christopher Schnaubelt, Towards a Comprehensive Approach: Integrating Civilian and Military Concepts of Strategy, NATO Defence College, 2011. [კრიტოფერ შნაუბელტი, კომპლექსური მიდგომის მიმართულებით: სტრატეგიის სამოქალაქო და სამხედრო ცნებების გაერთიანება, ნატო-ს თავდაცვის კოლეჯი, 2011 წ.] <http://www.ndc.nato.int/download/downloads.php?icode=272>
- Independent Commission for Aid Impact, DFID's Approach to Anti-Corruption and Its Impact on the Poor, 2010. [გაწეული დახმარების ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისია, დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის მიდგომა კორუფციასთან ბრძოლისა და ღარიბ ქვეყნებზე მისი გავლენისადმი, 2010 წ.] <http://icai.independent.gov.uk/uploads/DFIDs-Approach-to-Anti-Corruption-and-its-Impact-on-the-Poor-FINAL.pdf>
- Transparency International, Preventing Corruption in Humanitarian Operations, 2014. [საერთაშორისო გამჭვირვალობა, კორუფციის პრევენცია ჰუმანიტარულ ოპერაციებში, 2014 წ.] http://file.transparency.org/content/download/1899/12606/file/2014_Humanitarian_Handbook_EN.pdf
- UK Department for International Development, DFID's Anti-Corruption Strategy for Nigeria, 2013. [დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი, დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის მიერ ნიგერიისთვის შემუშავებული კორუფციასთან ბრძოლის სტრატეგია, 2013 წ.] https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/213915/anti-corruption-strategy-ng.pdf

მოდული 4.1.8: ხელმძღვანელობა და გადაწყვეტილებების მიღების ეფექტური მექანიზმი

მოდულის აღწერილობა

სტუდენტები შეძლებენ ხელმძღვანელობის როლის გაანალიზებას მისი ფარგლებში და იმას, თუ რამდენიმე ვნელობა აქვს გადაწყვეტილებების მიღების ეფექტურ პროცესებს კორუფციის პრევენციასა და ალაგმვაში მისი ამოცანათა შესრულების მხარდაჭერის პროცესში.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- მეთაურის მიერ შეიარაღებულ ძალებში კეთილსინდისიერების კულტურის დანერგვის მნიშვნელობის გააზრება;
- კორუფციის რისკების გადაწყვეტის მნიშვნელობის გააზრება გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ყველა ფაზაზე;
- ხელმძღვანელობის მნიშვნელობის გააზრება პირადი შემადგენლობის და აქტივების მართვის მხრივ;
- კორუფციასთან ბრძოლისას სხვადასხვა მონაწილე მხარის ინტერესების, პრიორიტეტების და ეთიკური მიდგომების შეთანხმებისას წარმოქმნილი გამოწვევების და მათი დაძლევის მნიშვნელობის გააზრება;
- მეთაურის როლის გააზრება კორუფციასთან ბრძოლის და მისგან დაცვის ამოცანების განსაზღვრისას სამხედრო ოპერაციების პროცესში;
- მეთაურის როლის გააზრება კორუფციის ზრდის შეჩერების კონტექსტში ოპერაციის ჩატარების რაიონში ოპერაციების მსვლელობისას

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Robert L. Taylor and William E. Rosenbach. Military Leadership: In Pursuit of Excellence. Boulder, Westview Press, 2008. [რობერტ ტეილორი და უილიამ როზენბახი. სამხედრო ხელმძღვანელობა: სრულყოფილების მიღწევის მცდელობაში. Boulder, Westview Press, 2008 წ.]
- SIGAR, Corruption in Conflict: Lessons Learned from the US Experience in Afghanistan, 2016. [ავღანეთის აღდგენის საგანგებო გენერალური ინსპექცია, კორუფცია კონფლიქტისას: ავღანეთში აშშ-ს ქმედებათა გამოცდილების განზოგადება, 2016 წ.] <https://www.sigar.mil/pdf/LessonsLearned/SIGAR-16-58-LL.pdf>
- United States Army Combined Arms Centre, Operational Leadership Experiences Project (OLE). [შეერთებული შტატების სახმელეთო ძალების საერთო-საჯარისო ცენტრი, ოპერატიული ხელმძღვანელობის დახელოვნების პროექტი.] <http://usacac.army.mil/organizations/cace/csi/ole>

მოდული 4.1.9: მასპინძელი ქვეყნის სამხედრო, უსაფრთხოების და პოლიციის ძალების განვითარება

მოდულის აღწერილობა

სტუდენტები შეძლებენ გაანალიზონ კორუფციასთან ბრძოლის და მისგან დაცვის ზომების ჩართვის გზები მასპინძელი ქვეყნის სამხედრო, უსაფრთხოების და პოლიციის ძალების განვითარების პროცესში (პოსტ) კონფლიქტურ რეგიონებში.

სასწავლო ამოცანები

- მასპინძელი ქვეყნის სამხედრო, უსაფრთხოების და პოლიციის ძალების განვითარების ცნებაში და პროცესში გარკვევა;
- მასპინძელი ქვეყნის სამხედრო და პოლიციის ძალებში კორუფციის რისკების გააზრება;
- იმაში გარკვევა, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს თავდაცვისა და უსაფრთხოების პოტენციალის აღმშენებლობის ინიციატივებმა კორუფციის რისკებზე და პრაქტიკაზე მასპინძელი ქვეყნის სამხედრო და პოლიციის ძალებში;
- მასპინძელი ქვეყნის სამხედრო და პოლიციის ძალების საკუთარი პოტენციალის გაზრდის გზების დადგენა თავიანთ ინსტიტუტებში და თავიანთი მისიის აღსრულებისას კორუფციის ასალაგმად;
- მასპინძელი ქვეყნის სამხედრო და პოლიციის ძალების განვითარების პროცესში კეთილსინდისიერების ამაღლების ზომების ჩართვის გზების დადგენა.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს.

გამოყენებული ლიტერატურა

- AJP - 3.16, Allied Joint Doctrine for Security Force Assistance, 2016. [ნატო-ს ერთობლივი პუბლიკაცია 3.16, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უსაფრთხოების ძალების მხარდაჭერის დოქტრინა, 2016 წ.]
- AJP - 3.22, Allied Joint Doctrine for Stability Policing, 2015. [ნატო-ს ერთობლივი პუბლიკაცია 3.22, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების პოლიციის მიერ სტაბილურობის უზრუნველყოფის დოქტრინა 2015 წ.]
- Hans Born. Albrecht Schnabel, Security Sector Reform in Challenging Environments, DCAF, 2009. [ჰანს ბორნი. ალბრეხტ შნაბელი, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა რთულ გარემოში, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, 2009 წ.] <http://www.dcaf.ch/Publications/Security-Sector-Reform-in-Challenging-Environments>
- Mark Sedra, An Uncertain Future for Afghanistan's Security Sector, Stability: International Journal of Security and Development, 3(1), 2014. [მარკ სედრა, ავღანეთის უსაფრთხოების სექტორის გაურკვე-

ველი მომავალი, სტაბილურობა: უსაფრთხოების და განვითარების საერთაშორისო ჟურნალი, 3(1), 2014 წ.]

- Mark Sedra, Diagnosing the Failings of Security Sector Reform in Afghanistan” in Afghanistan in the Balance: Counterinsurgency, Comprehensive Approach, and Political Order, Hans-Georg Ehrhart, Sven Gareis, Charles Pentland, McGill-Queen’s University Press, 2008. [მარკ სედრა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მარცხების დიაგნოსტიკა ავღანეთში, ავღანეთი გაურკვევლობაში: მეამბოხებთან ბრძოლა, კომპლექსური მიდგომა და პოლიტიკური წყობა, ჰანს გეორგ ერჰარტი, სვენ გარეისი, ჩარლზ პენტლანდი, McGill-Queen’s University Press, 2008 წ.]
- NATO Security Forces Assistance Concept, 2013. [ნატო-ს უსაფრთხოების ძალების დახმარების კონცეფცია, 2013 წ.]
- NATO SOF Military Assistance Handbook (1st Study draft), 2014. [ნატო-ს სპეცდანიშნულების ძალების სამხედრო დახმარების ცნობარი (1-ლი კვლევა პროექტი), 2014 წ.]
- Resolute Support Security Force Assistance Guide, 2015. [მტკიცე მხარდაჭერა, უსაფრთხოების ძალების დახმარების სახელმძღვანელო, 2015 წ.]
- Transparency International Defence and Security Programme, Security Assistance, Corruption and Fragile Environments: Exploring the Case of Mali, 2015. [საერთაშორისო გამჭვირვალობა, თავდაცვისა და უსაფრთხოების პროგრამა, დახმარება უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, კორუფცია და არასტაბილური გარემო: მალის მაგალითის შესწავლა, 2015 წ.] <http://ti-defence.org/wp-content/uploads/2016/03/150818-150817-Security-assistance-corruption-and-fragile-environments-Exploring-the-case-of-Mali-2001-2012.pdf> <http://www.stabilityjournal.org/articles/10.5334/sta.ei/>

მოდული 4.1.10: სამხედრო ოპერაციებისას კორუფციასთან ბრძოლის და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შეფასება და მონიტორინგი

მოდულის აღწერილობა

სტუდენტებს გააცნობენ გარკვეულ მეთოდოლოგიებს, რომლებიც დაეხმარებათ სამხედრო ოპერაციების მსვლელობისას განხორციელებულ კორუფციასთან ბრძოლის ქმედებათა შეფასებაში.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- ნატო-ს ოპერაციათა შეფასების პროცესში გარკვევა;
- იმის გაგება, თუ როგორ უნდა მოხდეს კორუფციის ზეგავლენის შეფასების ჩართვა მთლიანად ოპერაციის შეფასების პროცესში;
- სამხედრო ოპერაციების პროცესში მონაცემთა შეგროვებისას და კორუფციის დონეების შეფასებისას წარმოქმნილი გამოწვევების და კორუფციასთან ბრძოლის ქმედებათა წარმატების ან მარცხის გააზრება;
- ეფექტურობის მაჩვენებლების და შესრულების მაჩვენებლების შესამუშავებლად შესაბამისი გზების დასახვა კორუფციასთან ბრძოლის ქმედებათა შესაფასებლად;
- იმის გაგება, თუ როგორ შემუშავდეს რეკომენდაციები ოპერაციის ჩატარების რაიონში კორუფციის ზრდის შესაჩერებლად ოპერაციების მსვლელობისას.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Centre for Army Lessons Learned, Assessments and Measures of Effectiveness in Stability Operations Handbook, 2011. [სახმელეთო ძალების გამოცდილების განზოგადების ცენტრი, სტაბილურობის უზრუნველყოფის ოპერაციების ეფექტურობის შეფასებების და ზომების სახელმძღვანელო, 2011 წ.] http://www.globalsecurity.org/military/library/report/call/call_10-41.htm
- Derick Brinkerhoff, Assessing Political Will for Counter Corruption Efforts: an analytic framework,

Public Administration and Development, Vol 20, 2000. [დერიკ ბრინკერჰოფი, პოლიტიკური ნების შეფასება კორუფციასთან ბრძოლის ქმედებებში: ანალიტიკური სტრუქტურა, Public Administration and Development, Vol 20, 2000 წ.]

- Daniel Kaufmann, Aart Kraay, Massimo Mastruzzi, Measuring Corruption: Myths and Realities, World Bank Group, 2006. [დენიელ კაუფმანი, აარტ კრააი, მასიმო მასტრუჯი, კორუფციის გაზომვა: მითები და რეალობა, მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2006 წ.]
- DCAF, Building Integrity and Reducing Corruption in Defence: A Compendium of Best Practices: [შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის შემცირება თავდაცვაში: საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების ცნობარი.] http://www.nato.int/nato_static/assets/pdf/pdf_topics/20120607_BI_Compendium_EN.pdf
- Francisco J. Urra, Assessing Corruption An analytical review of Corruption measurement and its problems: Perception, Error and Utility, Georgetown University, 2007. [ფრანცისკო ურა, კორუფციის შეფასება კორუფციის გაზომვის და თანხმლები პრობლემების ანალიტიკური მიმოხილვა: აღქმა, ცთომილება და სარგებელი, Georgetown University, 2007 წ.]
- Jesper Johnsen, How to monitor and evaluate anti-corruption agencies: Guidelines for agencies, donors, and evaluators; U4 Issue 8, Bergen Institute, 2011. [იესპერ იონსონი, როგორ მოვახდინოთ კორუფციასთან ბრძოლის უწყებების მონიტორინგი და შეფასება: გაიდლაინები უწყებებისთვის, დონორებისა და შემფასებლებისთვის; U4 ნომერი 8, Bergen Institute, 2011 წ.]
- Jonathan Schroden, Why Operations Assessments Fail. It's Not Just the Metrics, Naval War College Review 64(4), 2011. [ჯონათან შროდენი, რატომ განიცდის მარცხს ოპერაციების შეფასება. საქმე მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებში არაა, Naval War College Review 64(4), 2011 წ.] <https://www.usnwc.edu/getattachment/6ed0e5cd-621f-44c3-b40d-913cad7e8c48/Why-Operations-Assessments-Fail--It-s-Not-Just-the.aspx>
- NATO BI-SC Operations Assessment Handbook, 2015. [ნატო-ს სტრატეგიული სარდლობა ოპერაციათა შეფასების სახელმძღვანელო, 2015 წ.]

ბლოკი მეორე: თავდაცვითი ჩართულობა და პოტენციალის გაზრდა

ბლოკის აღწერილობა

მოცემული ბლოკი მიზნად ისახავს კეთილსინდისიერების გაგების ხელშეწყობას და გაღრმავებას თავდაცვით ჩართულობაში, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობისას, პოლიციის მიერ სტაბილურობის უზრუნველყოფისას და თავდაცვის და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის პოტენციალის აღმშენებლობისას. იგი ითვალისწინებს იმ რისკის განსაზღვრას, რისი მიყენებაც შეუძლია კორუფციას თავდაცვითი ჩართულობისა და პოტენციალის გაზრდის პროგრამების წარმატებისთვის; კორუფციის კონკრეტული რისკების და გავრცელების გზების დადგენას; პოტენციალის ზრდის და თავდაცვითი ჩართულობის გავლენის გაანალიზებას კორუფციულ ქსელებსა და პრაქტიკაზე; და შეძლებისდაგვარად გვთავაზობს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს კორუფციის რისკების შერბილებაში და კორუფციული პრაქტიკის ალაგმვაში. ბლოკის მიზანია ხელი შეუწყოს ჩართულობის და პოტენციალის ზრდის უფრო მდგრად ძალისხმევას.

ბლოკი გათვალისწინებულია მათთვის, ვინც მონაწილეობს თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის, პოლიციის მიერ სტაბილურობის უზრუნველყოფის და თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის პოტენციალის აღმშენებლობის პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში, მათ შორის კეთილსინდისიერების ამაღლების პროფილის ექსპერტებისთვის, რომლებიც ჩართულები არიან აღნიშნულ საქმიანობაში.

ბლოკის სასწავლო ამოცანები

- თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის, პოლიციის მიერ სტაბილურობის უზრუნველყოფის და თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის პოტენციალის აღმშენებლობის ამოცანების გააზრება;
- კორუფციის რისკების და იმ გამოწვევების გაგება და გაანალიზება, რასაც ისინი უქმნიან თავდაცვით ჩართულობას, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობას, პოლიციის მიერ სტაბილურობის უზრუნველყოფას და თავდაცვის და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის პოტენციალის აღმშენებლობას;
- კორუმპირებულ აგენტებს/თანამდებობის პირებს და თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის, პოლიციის მიერ სტაბილურობის უზრუნველყოფის და თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის პოტენციალის აღმშენებლობის პროგრამებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების გააზრება;
- კორუფციის გავრცელების გზების, გამოვლინებების და მასპინძელი ქვეყნის უსაფრთხოების სტრუქტურებზე ზეგავლენის დადგენა (მათ შორის, მექრთამეობის; ნეპოტიზმის; ვერტიკალურად ინტეგრირებული კორუფციის ზეგავლენის);

- კორუფციის პრობლემების შესახებ ინფორმაციის წყაროების დადგენა;
- კეთილსინდისიერების ამაღლების როლის გააზრება თავდაცვითი ჩართულობასა და პოტენციალის გაზრდაში და ღონისძიებების დაგეგმვისას მისი გათვალისწინების უნარის შეძენა;
- კორუფციასთან ბრძოლის და მისგან დაცვის ზომების გამოყენება პროგრამების შემუშავებისა და დანერგვისას;
- იმის გააზრება, თუ როგორ უწყობს ხელს თავდაცვის სექტორის სანდო კონტროლი თავდაცვის პოტენციალის აღმშენებლობას;
- იმის გააზრება, თუ რა როლის შესრულება შეუძლიათ გარე სტრუქტურებს პოტენციალის აღმშენებლობასა და კეთილსინდისიერების ამაღლებაში და აგრეთვე კორუფციის რისკების შემცირებაში;
- შრომის შედეგების მონიტორინგის და ზემოქმედების შეფასების მნიშვნელობის გააზრება.

განსახილველი საკითხები

- რა ზემოქმედებას ახდენს კორუფცია თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის, პოლიციის მიერ სტაბილურობის უზრუნველყოფის და თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის პოტენციალის აღმშენებლობის პროგრამებზე?
- როგორაა შესაძლებელი კორუფციის სხვადასხვა გამოვლინების, გავრცელების გზების და შედეგების დიაგნოსტიკა (მათ შორის, მექრთამეობის; ნეპოტიზმის; გავლენით ვაჭრობის და ა. შ.)?
- რა გზით არის შესაძლებელი კორუფციის რისკების შერბილება და როგორ უნდა ებრძოლონ ცალკეული პირები კორუფციულ პრაქტიკას?
- რა როლის შესრულება შეუძლიათ დამოუკიდებელ ორგანიზაციებს (საერთაშორისო ორგანიზაციებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს) თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის და თავდაცვის და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის პოტენციალის აღმშენებლობის ღონისძიებების გატარებისას კეთილსინდისიერების ამაღლების მიმართებაში?
- რა მნიშვნელობა აქვს თავდაცვის სექტორის კონტროლს აღნიშნული სექტორის პოტენციალის აღმშენებლობისათვის?
- რითია მნიშვნელოვანი მონიტორინგი და ზეგავლენის შეფასება? როგორ გვეხმარება ეს კორუფციის რისკების დაძლევაში?

სასწავლო მეთოდოლოგია

- კურსის სწავლება წარმოდგენილია ხუთ მოდულში. თითოეული მოდული მოიცავს გასაცნობ ლექციებს, რომლებსაც ატარებენ პრაქტიკოსი/მკვლევარი სპეციალისტები, რასაც მოჰყვება კონკრეტული მაგალითების ანალიზი და მოკლე წერილობითი დავალება. წერილობითი დავალება შეიძლება აგრეთვე შესრულდეს მოდულის დაწყებამდე, რათა მონაწილეებს ჰქონდეთ დრო, რომ გაეცნონ საკითხავ მასალას.

მოდული 4.2.1: კორუფციის რისკები თავდაცვით ჩართულობაში, უსაფრთხოების ძალების მხარდაჭერაში, პოლიციის მიერ სტაბილურობის უზრუნველყოფაში და თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის პოტენციალის გაზრდაში

მოდულის აღწერილობა

მოდული აცნობს მონაწილეებს თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის მიზნებს და სთავაზობს აღნიშნული პროგრამების ეფექტური რეალიზაციის პრინციპებს. მოდული აგრეთვე განიხილავს კორუფციას და აღნიშნულ პროგრამებს შორის ურთიერთობას: თუ რა გზით შეუძლია კორუფციას დაზარალოს ამ პროგრამების ეფექტურობა და ასევე შეისწავლის იმის რისკს, რომ პროგრამებმა უნებურად შეიძლება ხელი შეუწყონ კორუფციული პრაქტიკის გავრცელებას.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის და პოტენციალის აღმშენებლობის პროგრამების მიზნების გაგება და იმ პირობების გააზრება, რომლებიც ითხოვს თავდაცვითი ჩართულობის, ან/და უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის აქტივობების განხორციელებას;
- ეფექტური თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის ელემენტების დადგენა (საჭიროებათა შეფასება, საზიარო ინტერესების და ამოცანების დადგენა, შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება/დანერგვა, დამოუკიდებელ მხარეებთან პარტნიორობა, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, შედეგების ინტეგრირებული მონიტორინგი და ზეგავლენის შეფასება) და იმის გააზრება, თუ როგორ შეუძლია უნებურად ხელი შეუწყონ კორუფციული პრაქტიკის გავრცელებას თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის ღონისძიებებმა;
- კორუფციის კონკრეტული სახეობების გავრცელების გზების გაგება (მათ შორის, მექრთამეობის; ნეპოტიზმის; კრიმინალური მფარველობის ქსელების; სახელმწიფოს მიტაცების; პირადი შემადგენლობის კორუმპირებულობის და მომარაგების ჯაჭვის მართვის), რომელთა მეშვეობით მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ თავდაცვით ჩართულობასა და პოტენციალის გაზრდაზე (მაგალითად, რესურსების გადამისამართებით, შეუფერებელი თანამშრომლებისათვის ჯილდოს სახით ტრენინგში მონაწილეების შეთავაზებით და საკვანძო დონეებზე მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ნაკლებობით);

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Hans Born, Albrecht Schnabel, Security Sector Reform in Challenging Environments, DCAF, 2009. [ჰანს ბორნი, ალბრეხტ შნაბელი, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა რთულ გარემოში, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ქენევის ცენტრი, 2009 წ.] http://www.dcaf.ch/content/download/35748/526713/file/YEARBOOK_2009.pdf
- OECD, Handbook on Security System Reform: Supporting Security and Justice, 2008. [ეთგო, უსაფრთხოების სისტემის რეფორმის სახელმძღვანელო: უსაფრთხოების და მართლმსაჯულების მხარდაჭერა, 2008 წ.] http://www.oecd-ilibrary.org/development/the-oecd-dac-handbook-on-security-system-reform_9789264027862-en
- Sarah Chayes and the Working Group on International Security, Corruption: The Unrecognized Threat to International Security. Carnegie Endowment for International Peace, June 2014. [სარა ჩეისი და საერთაშორისო უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფი. კორუფცია: საერთაშორისო უსაფრთხოების შეუცნობელი საფრთხე. Carnegie Endowment for International Peace. Washington D.C., 2014 წლის http://carnegieendowment.org/files/corruption_and_security.pdf
- Transparency & Accountability Initiative, Open Government Guide, Security Sector. [გამჭვირვალობისა & ანგარიშვალდებულების ინიციატივა, ღია მმართველობის სახელმძღვანელო, უსაფრთხოების სექტორი.] <http://www.opengovguide.com/topics/security-sector/>
- United Nations Office on Drugs and Crime Corruption and Economic Crime Branch, Partnering in Anti-Corruption Knowledge (PACK): A Guidance Note for Development Partners, 2013. [გაეროს ნარკომანიისა და დანაშაულის ოფისი, კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის განყოფილება, პარტნიორობა კორუფციასთან ბრძოლის ცოდნაში (PACK): სარეკომენდაციო ცნობა განვითარების პარტნიორებისთვის, 2013 წ.]

მოდული 4.2.2: კორუფციის რისკების შეფასება და შერბილება თავდაცვით ჩართულობაში, უსაფრთხოების ძალების მხარდაჭერაში და თავდაცვითი სექტორის პოტენციალის გაზრდაში

მოდულის აღწერილობა

მოცემული მოდული მიზნად ისახავს დაეხმაროს მონაწილეებს კორუფციის იმ რისკების ტიპისა და სიმძიმის შეფასებაში, რომლებმაც მოახდინონ ზემოქმედება თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის პროგრამებზე; გაეცნონ წყაროებს, რომლებიც შეიცავს კორუფციის მაჩვენებლებს და ნიშნებს და სთავაზობს კორუფციის რისკების შემცირების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- კორუფციის არსებობის და სიმძიმის მაჩვენებლების დადგენა (მაგალითად, სახელმწიფო აპარატში არსებული კორუფციის დოკუმენტირებული შემთხვევები, სახელმწიფო მმართველობის ხარისხის მაჩვენებლები; საკანონმდებლო და სადამსჯელო ზომების ეფექტურობა);
- მაჩვენებლების ცოდნის გამოყენება კორუფციის რისკების რელევანტურობის დასადგენად დასაგეგმ პროგრამებში;
- კორუფციის რისკების შემცირების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებში გარკვევა;
- კორუფციასთან ბრძოლის რესურსების დადგენა (მათ შორის გარე ექსპერტების), რაც შეიძლება დაგვეხმაროს ღონისძიებების დაგეგმვასა და თავდაცვითი ჩართულობის და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის პროგრამების შედგენაში.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Andrew Lebovich, Mali's Bad Trip. Field notes from the West African Drug Trade'. Foreign Policy, 2013. [ენდრიუ ლებოვიჩი, მალის ცუდი მოგზაურობა. სავსე შენიშვნები დასავლეთ აფრიკის ნარკო-ვაჭრობის შესახებ. Foreign Policy, 2013 წ.] <http://foreignpolicy.com/2013/03/15/malis-bad-trip/>, 2015.
- Jeffrey Meiser, Dilemma of an African Soldier. War on the Rocks, 2015. [ჯეფრი მეიზერი, აფრიკელი ჯარისკაცის დილემა. ომი უკიდურეს გაჭირვებაში, 2015 წ.] <http://warontherocks.com/2015/01/the-dilemma-of-an-african-soldier/?singlepage=1>.
- Mark Sedra, An Uncertain Future for Afghanistan's Security Sector, International Journal of Security and Development, 3(1), 2014. [მარკ სედრა, ავღანეთის უსაფრთხოების სექტორის გაურკვეველი მომავალი, სტაბილურობა: უსაფრთხოების და განვითარების საერთაშორისო ჟურნალი, 3(1), 2014 წ.] <http://www.stabilityjournal.org/articles/10.5334/sta.ei/>
- Mark Sedra, Diagnosing the Failings of Security Sector Reform in Afghanistan in Hans-Georg Ehrhart, Sven Gareis, Charles Pentland, Afghanistan in the Balance: Counterinsurgency, Comprehensive Approach, and Political Order, McGill-Queen's University Press, 2012. [მარკ სედრა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მარცხების დიაგნოსტიკა ავღანეთში, ავღანეთი გაურკვეველობაში: მემბოხებთან ბრძოლა, კომპლექსური მიდგომა და პოლიტიკური წყობა, ჰანს გეორგ ერჰარტი, სვენ გარეისი, ჩარლზ პენტლანდი, McGill-Queen's University Press, 2008 წ.]
- Transparency International Defence and Security (2015), Security Assistance, Corruption and Fragile Environments: Exploring the case of Mali, 2001-2012. [საერთაშორისო გამჭვირვალობა, თავდაცვისა და უსაფრთხოების პროგრამა (2015 წ.), დახმარება უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, კორუფცია და არასტაბილური გარემო: მალის მაგალითის შესწავლა, 2001-2012 წ.] <http://ti-defence.org/wp-content/uploads/2016/03/150817-Security-assistance-corruption-and-fragile-environments-Exploring-the-case-of-Mali-2001-2012.pdf>

მოდული 4.2.3: კეთილსინდისიერების ამაღლება, პოტენციალის გაზრდა: კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამების დანერგვა უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობისა და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის პროცესში

მოდულის აღწერილობა

მოცემული მოდული ყურადღებას ამახვილებს კეთილსინდისიერების ამაღლების /კორუფციასთან ბრძოლის პროგრამების დანერგვაზე თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის ელემენტების სახით. იგი მონაწილეებს საშუალებას აძლევს გაერკვნენ მთელ რიგ ხელმისაწვდომ ინსტრუმენტებში და კორუფციასთან ბრძოლის პროგრამის დანერგვის გზებში და გაეცნონ გარე პარტნიორების პოტენციურ როლს (მათ შორის, პარლამენტის და სამოქალაქო საზოგადოების), კორუფციის რისკების შერბილების და კეთილსინდისიერების ამაღლებისა და მდგრადობის მიღწევის მხრივ. იგი ითვალისწინებს კეთილსინდისიერების ამაღლების პროფილის ექსპერტების ჩართულობას აღნიშნულ პროგრამებში; გარდა ამისა იგი შეიძლება აგრეთვე გამოადგეთ იმათ, ვისაც სურს გაერკვეს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამების სტრუქტურაში და იმ როლში, რასაც ეს პროგრამები თამაშობენ თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის პროცესში.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- კეთილსინდისიერების ამაღლების ზომების გამოყენება, მათი კონკრეტულ კონტექსტზე მორგებით;
- გარე სტრუქტურების როლის გააზრება კეთილსინდისიერების ამაღლების და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის პროცესში

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Federation of American Scientists, International Military Education and Training [ამერიკელ მეცნიერთა ფედერაცია, საერთაშორისო სამხედრო სწავლება და მომზადება.] http://fas.org/asmp/campaigns/training/IMET2.html#_ftn38,
- OECD, Handbook on Security System Reform: Supporting Security and Justice, 2008. [ეთგო, უსაფრთხოების სისტემის რეფორმის სახელმძღვანელო: უსაფრთხოების და მართლმსაჯულების მხარდაჭერა, 2008 წ.] http://www.oecd-ilibrary.org/development/the-oecd-dac-handbook-on-security-system-reform_9789264027862-en
- OECD, Security System Reform: What Have We Learned?, 2009. [ეთგო, უსაფრთხოების სისტემის რეფორმა: რა ვისწავლეთ?, 2009 წ.] <https://www.oecd.org/dac/conflict-fragility-resilience/docs/44391867.pdf>
- Paul, Christopher, Colin P. Clarke, Beth Grill, Stephanie Young, Jennifer D. P. Moroney, Joe Hogler and Christine Leah, What Works Best When Building Partner Capacity and Under What Circumstances? RAND Corporation, 2013. [პოლ კრისტოფერი, კოლინ კლარკი, ბეთ გრილი, სტეფანი იანგი, ჯენიფერ მორონი, ჯო ჰოგლერი და კრისტინ ლეა, რა ამართლებს ყველაზე ძალიან პარტნიორი სახელმწიფოს პოტენციალის გაზრდისას და რა ვითარებაში? RAND Corporation, 2013 წ.] <http://www.rand.org/pubs/monographs/MG1253z1.html>.

მოდული 4.2.4: თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის მონიტორინგი და შეფასება

მოდულის აღწერილობა

მოცემული მოდული ყურადღებას ამახვილებს თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის პროგრამების მონიტორინგის და ზემოქმედების შეფასების მნიშვნელობაზე და განმარტავს კორუფციის დონის და პროგრამის წარმატებაზე მისი ზემოქმედების მონიტორინგის გზებს.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- შესრულების მაჩვენებლებს და ეფექტურობის მაჩვენებლებს შორის განსხვავების გაგება;
- თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის პროგრამების დაგეგმვაში და დაფინანსებაში მონიტორინგის ღონისძიებების ჩართვის მნიშვნელობის გაგება;
- კორუფციის დონის და პროგრამის წარმატებაზე მისი ზემოქმედების მონიტორინგის გზების დადგენა;
- იმის ახსნა, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ შესრულების და ეფექტურობის მონიტორინგის შედეგები თავდაცვითი ჩართულობის, უსაფრთხოების ძალების შექმნის ხელშეწყობის და თავდაცვითი პოტენციალის აღმშენებლობის ღონისძიებების და ამოცანების კორექტირებისათვის, კერძოდ კორუფციის რისკებთან მიმართებაში.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Federation of American Scientists, End-Use Monitoring of Defence Articles and Services. Government-to-Government Services, 2005. [ამერიკელ მეცნიერთა ფედერაცია, თავდაცვითი მომარაგების საგნების და მომსახურების საბოლოო მოხმარების მონიტორინგი. სამთავრო-ბოთაშორისი სამსახურები, 2005 წ.] <http://fas.org/asmp/resources/govern/109th/EUM05.pdf>
- Jennifer Moroney, Aidan Kirby Winn, Jeffrey Engstrom, Joe Hogler, Thomas-Durell Young and Michelle Spencer, Assessing the Effectiveness of the International Counter proliferation Program, RAND, 2011. [ჯენიფერ მორონი, აიდან კირბი უინი, ჯეფრი ენგსტრომი, ჯო ჰოგლერი, თომას დარელ-იანგი და მიშელ სპენსერი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საწინააღმდეგო პროგრამის ეფექტურობის შეფასება, RAND კორპორაცია, 2011 წ.] http://www.rand.org/pubs/technical_reports/TR981.html
- Jennifer Moroney, Joe Hogler, with Benjamin Bahney, Kim Cragin, David R. Howell, Charlotte Lynch, and Rebecca Zimmerman, Building Partner Capacity to Combat Weapons of Mass Destruction, RAND Corporation, 2011. [ჯენიფერ მორონი, ჯო ჰოგლერი, ბენჯამინ ბანის, კიმ კრაგინს, დევიდ ჰოუელს, შარლოტ ლინჩსა და რებეკა ციმერმანთან ერთად, პარტნიორი სახელმწიფოს პოტენციალის გაზრდა მასობრივი განადგურების იარაღთან საბრძოლველად, RAND Corporation, 2011 წ.] <http://www.rand.org/pubs/monographs/MG783.html>
- Jennifer Moroney, Joe Hogler, Jefferson P. Marquis, Christopher Paul, John E. Peters, and Beth Grill, Developing an Assessment Framework for U.S. Air Force Building Partnerships Programs, RAND Corporation, 2011. [ჯენიფერ მორონი, ჯო ჰოგლერი, ჯეფერსონ მარკისი, კრისტოფერ პოლი, ჯონ პიტერსი და ბეთ გრილი, აშშ-ს ჩარჩო შეფასების შემუშავება საჰაერო ძალების პარტნიორობის შექმნის პროგრამებისთვის, RAND Corporation, 2011 წ.] <http://www.rand.org/pubs/monographs/MG868.html>

მოდული 4.2.5: მდგრადი ზედამხედველობის სისტემის შექმნის, კორუფციასთან ბრძოლის და შიდა კონტროლის სტრუქტურების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები

მოდულის აღწერილობა

მოცემულ მოდულში ყურადღება ექცევა ხანგრძლივადიანი შესაძლებლობების და პასუხისმგებლობის დაფიქსირებას მდგრადი ზედამხედველობის სისტემის, კორუფციასთან ბრძოლის და შიდა კონტროლის სტრუქტურების მისაღწევად და განიმარტება, თუ რა გზით შეგვიძლია მივაღწიოთ ამას.

მოდულის სასწავლო ამოცანები

- ზედამხედველობის სხვადასხვა ეროვნული სტრუქტურების როლის და ფუნქციონირების გააზრება (სამინისტრო, სამთავრობო და საპარლამენტო);
- ამ ინსტიტუტების გაძლიერების გზების დადგენა, მათი დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის შენარჩუნების პირობებში;
- იმის ახსნა, თუ როგორ შეუძლია ზედამხედველობის ეროვნულ სტრუქტურებთან თანამშრომლობას გააძლიეროს სამხედრო ოპერაციების ზეგავლენა.

სასწავლო მეთოდოლოგია

- სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული მაგალითების, ჯგუფში განხილვების და აუდიტორიაში ჩასატარებელი პრაქტიკული სავარჯიშოების პაკეტს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Cole Eden, Kerstin Eppert & Katrin Kinzelbach. Public Oversight of the Security Sector. DCAF Handbooks series. [კოულ ედენი, კერსტინ ეპერტი & კატრინ კინცელბახი. საჯარო ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორზე. შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის ცნობარების სერია.] <http://www.dcaf.ch/Publications/Public-Oversight-of-the-Security-Sector>
- OECD DAC Handbook, Security System Reform Supporting Security and Justice: Supporting Security and Justice. OECD Publishing. [ეთგო-ს განვითარების ხელშეწყობის კომიტეტის ცნობარი, უსაფრთხოების სისტემის რეფორმა უსაფრთხოების და მართლმსაჯულების მხარდასაჭერად: უსაფრთხოების და მართლმსაჯულების მხარდასაჭერად. ეთგო-ს პუბლიკაციები. <http://www.oecd.org/dac>
- Rick Stapenhurst, Legislative Oversight and Budgeting: A World Perspective, World Bank Publications, 2008. [რიკ სტაპენჰურსტი, საკანონმდებლო ზედამხედველობა და ბიუჯეტირება: მსოფლიო რაკურსი, მსოფლიო ბანკის პუბლიკაციები, 2008 წ.]
- William McDermott, Gilad Efra, Social Media Guide for Ombuds Institutions for the Armed Forces, DCAF, 2016. [უილიამ მაკდერმოტი, გილად ეფრა, სოციალური ქსელების სახელმძღვანელო შეიარაღებული ძალების ომბუდსმენების ინსტიტუტებისათვის, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, 2016 წ.] <http://www.dcaf.ch>

დანართი 1

აუდიო-ვიზუალური მეთოდური მასალები რეკომენდებულია დიალოგის სტიმულაციისათვის და რეალური ცხოვრების სიტუაციების გამოსაკვლევად, რომლებსაც შეიძლება გადააწყდნენ სტუდენტები თავიანთი პროფესიული მოვალეობების აღსრულების პროცესში. მასალა აღებულია კერძო სექტორიდან, თუმცა მისი გამოყენება შეიძლება საჯარო სექტორშიც. აქ მოცემულია მსახიობების მიერ წარმოდგენილი მოკლე ამბები, რომლებიც მიზნად ისახავს პირადი შემადგენლობის სისტემებში გამჭვირვალობის, ანგარიშგაღებულების და კეთილსინდისიერების დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევების და მკაფიო პრაქტიკის აუცილებლობის ხაზგასმას ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის, ქვეყნის კოდექსების მიღებული ნორმების შესაბამისად.

CD NR1.

შინაარსი: ინტერვიუ რიჩარდ ბისტრონგთან, რომელმაც ათ წელზე მეტხანს დაჰყო ვიცე-პრეზიდენტად საერთაშორისო გაყიდვების დარგში, ქრთამავდა უცხოელ თანამდებობის პირებს, ფარულად თანამშრომლობდა საერთაშორისო სამართალდამცავ სტრუქტურებთან და მოხვდა ციხეში.

- რატომ მოხდა ეს და რა ფაქტორები უნდა გავითვალისწინოთ მისი გამოცდილებიდან?
- შეიძლებოდა თუ არა ამ სიტუაციის თავიდან აცილება და რა გავლენა მოახდინა მან ამ პიროვნებაზე?
- არსებობს თუ არა მსგავსი მაგალითები თქვენს ქვეყანაში?

CD. 2. 3. 4

შინაარსი: წარმოდგენილი ამბები ყურადღებას ამახვილებს კერძო კომპანიებში მომუშავე აუდიტორების როლზე და საჯარო თანამდებობის პირთა ქცევაზე, რომლებსაც მივყავართ არამართლზომიერ და უკანონო ქმედებებამდე.

- რა გააკეთეს არასწორად საჯარო თანამდებობის პირებმა?
- არსებობს თუ არა განსხვავება აქტიურ და პასიურ კორუფციას შორის, რა დამოკიდებულება უნდა გვქონდეს ამის მიმართ?
- ითვალისწინებს თუ არა „მესამე პირთა“ „შემოწმებას“ თქვენი ქვეყნის წესები და რეგულაციები?

CD NR 4.

შინაარსი: ვიდეოში ნაჩვენებია ამბავი წარმოგვიდგენს გადაწყვეტილების მიღებამდე ბიზნეს სიტუაციის ყველა მხრიდან შეფასების პროცესს (კომპლექსური შეფასება).

- როგორ მოქმედებს ეროვნულ სამართლებრივ ბაზაში განხორციელებული ცვლილებები კერძო სექტორზე და გზას უხსნის უკანონო პრაქტიკას?
- ვინ მოიქცა არასწორედ ამ ამბავში?
- კერძო სექტორის-სახელმწიფოს დიალოგი და პარტნიორობა კეთილსინდისიერების ამაღლების კუთხით.

კეთილსინდისიერების ამაღლების სასწავლო გეგმის შედგენის სამუშაო ჯგუფი

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	ნეილ ბესტი	ნატო-ს შტაბ-ბინა	
სამუშაო ჯგუფის თანა-ხელმძღვანელი	მარკ ჰუბერი	აშშ-ს თავდაცვის ხელმძღვანელობის და მართვის ჯგუფი	
ქვეყანა	სახელი/გვარი	ორგანიზაცია	
ბოსნია და ჰერცეგოვინა	ვიცე პოლკოვნიკი ოსმო ჰასიჩი	მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების სასწავლო ცენტრი	
ბულგარეთი	პროფ. ტოდორ ტაგარევი	შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი	
კანადა	დოქტ. დევიდ ემელიფეონგუ	კანადის თავდაცვის აკადემია /კანადის სამეფო სამხედრო კოლეჯი	
ჩრდილო მაკედონიის რესპუბლიკა	აფრდიტა ვოლინა	ჩრდილო მაკედონიის თავდაცვის სამინისტრო	
ჩრდილო მაკედონიის რესპუბლიკა	ვიცე პოლკოვნიკი მარიო ჯურშიჩი	ჩრდილო მაკედონიის სახმელეთო ძალები	
საქართველო	დავით გიუნაშვილი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	
საქართველო	მაკა პეტრიაშვილი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	
საქართველო	ვასილ გარსევანიშვილი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	
იტალია	პოლკოვნიკი ანტონიო ჯენოვეზე	კორუფციასთან ბრძოლის და გამჭვირვალობის მხარდაჭერის ოფისი იტალიის გაერთიანებული სამხედრო შტაბი	
იტალია	ვიცე პოლკოვნიკი მარკო რიცო	ბიუჯეტის და ფინანსების ცენტრალური დეპარტამენტი იტალიის თავდაცვის სამინისტრო	
იტალია	მაიორი ფილიპო ტანკონ ლუტერი	ნატო-ს პოლიციის მიერ სტაბილურობის უზრუნველყოფის დახელოვნების ცენტრი	

მოლდოვა	მაიორი იონ როტარუ	მოლდოვას სახმელეთო ძალები	
მონტენეგრო	სანელა ჯიოზიძიჩი	მონტენეგროს თავდაცვის სამინისტრო	
მონტენეგრო	ვანია ვუკოვიჩი	მონტენეგროს თავდაცვის სამინისტრო	
ნორვეგია	პოლკოვნიკი ტერიე ჰავესტაადი	თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლების ცენტრი	
სერბეთი	კომანდორი სტანკო ლეკიჩი	სერბეთის რესპუბლიკა, თავდაცვის სამინისტრო, თავდაცვის პოლიტიკის სექტორი, სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი	
სერბეთი	მილან მილუტინოვიჩი	სერბეთის რესპუბლიკა, თავდაცვის სამინისტრო, თავდაცვის პოლიტიკის სექტორი, სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი, ევროპული ინტეგრაციის და პროექტების მართვის დირექტორატი	
უკრაინა	ვიცე-პოლკოვნიკი სტანისლავ ფილიპოვი	უკრაინის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახური	
უკრაინა	პოლკოვნიკი იური პრიზიგლეი	კეთილსინდისიერების ამაღლების სასწავლო და მომზადების ცენტრი, ივან ჩერნიახოვსკის სახელობის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტი	
უკრაინა	პოლკოვნიკი ოლენა ჰოლოტა	კეთილსინდისიერების ამაღლების სასწავლო და მომზადების ცენტრი, ივან ჩერნიახოვსკის სახელობის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტი	
დიდი ბრიტანეთი	ვიცე პოლკოვნიკი დეივ ალენი	დიდი ბრიტანეთის თავდაცვის აკადემია	
შეერთებული შტატები	დოქტ. ანკე რიხტერი	სამხედრო საზღვაო აკადემია	
შეერთებული შტატები	დოქტ. ჯო ჰოგლერი	RAND კორპორაცია	

შეერთებული შტატები	ტიმოთი შულცი	ბიზნესის ეთიკური წარმოების საერთაშორისო ფორუმი	
ნატო	უფროსი სერჟანტი ლუიზ მაკლაფლინი	გაერთიანებული ძალების სარდლობა ნეაპოლში	
ნატო	ვიცე პოლკოვნიკი მასიმო მორეტი	გაერთიანებული ძალების სარდლობა ნეაპოლში	
ნატო	ვიცე პოლკოვნიკი ფრანჩესკო პელეგრინო	გაერთიანებული ძალების სარდლობა ნეაპოლში	
ნატო	კიმ ვეტინგი	ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის შტაბი	
ნატო	ვალენტინ პოპონეტე	ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის შტაბი	
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია	გევინ რეიმონდი	საერთაშორისო გამჭვირვალობა დიდი ბრიტანეთი, თავდაცვისა და უსაფრთხოების პროგრამა	
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია	კაროლინა მაქლაქლანი	საერთაშორისო გამჭვირვალობა დიდი ბრიტანეთი, თავდაცვისა და უსაფრთხოების პროგრამა	

[illegible]

Handwriting practice lines consisting of 28 horizontal dotted lines.

დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ
შემდეგ მისამართზე:

ქალბ. ბენედიქტ ბორელი

პროგრამის კოორდინატორი კეთილსინდისიერების ამაღლების
პროგრამა

თავდაცვითი ინსტიტუტების პოტენციალის აღმშენებლობის
დირექტორატი ოპერატიული განყოფილება

ნატო-ს შტაბ-ბინა

ელ-ფოსტა: borel.benedicte@hq.nato.int

დამატებითი ინფორმაციისთვის ნატო-ს კეთილსინდისიერების
ამაღლების პროგრამის შესახებ გთხოვთ ეწვიოთ შემდეგ ბმულებს:

ვებ-საიტი: <https://buildingintegrity.hq.nato.int/>

LinkedIn: NATO Building Integrity

ელ-ფოსტა: building-integrity@hq.nato.int